პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 აპრილი **სამშაბათი** 2010

№ 078 (13066) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## იფიქრე, არსენ!

» გვერდი 7

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე [illegible] ფოტო



შაბათს გლდანში. გაგრა-დინამო 0:1. მიკოლა ნაკონეჩნი (მარცხნივ) და ლევან კაკუბავა ბურთისთვის ბრძოლაში

# ესეც ევროპული ბრინჯაო



» გვერდი 15

# დინამომ მეორეზე აინაცვლა

საქართველოს ჩემპიონატი » გვერდი 2



» გვერდი 5-6

ლეგიონერი

# ოთხი გოლი, სერიოზული დრამა და ჩხუბი

ალექსანდრე ამისულაშვილის შედეგიანი პენალტი

## დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

# საბედისწერო 37

03.04. თბილისი. ამერი.
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 0 |
| დინამო | 1 |

0:1 გ. კაშია (37)

გაგრა: თევდორაძე, ხარაბაძე, ტყეშელაშვილი, ქორთუა, ჭაავა (46. გაბუნია) - ოქრიაშვილი, ნაკონეჩნი, ჯ. ჯიშკარიანი (65. გედენიძე), ნ. ჯიშკარიანი - ოვონიკოკო, პავლიაშვილი (85. კიკნაძე).

*სათადარიგოები: სტურუა, შარიქაძე, ზ. ჩხეტიანი, ცაავა*

დინამო: ლორია - თომაშვილი, კრსტესკი, გ. კაშია, ჩიკვილაძე - შ. კაშია, მენდესი, კაკუბავა (83. ფირცხალავა), კახელიშვილი - თექთუმანიძე (78. რობერტინიო) - აკირემი (84. ვანაძე).

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჩადუნელი, მამუჩაშვილი, ლექვთაძე*

გაფრთხილება: ნაკონეჩნი (25), თექთუმანიძე (40), კრსტესკი (50), გაბუნია (61)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია



შეხვედრა მძიმე კლიმატურ პირობებში მიმდინარეობდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცხრილის ფსკერზე მყოფი „გაგრასთვის" ყოველ ქულას ოქროს ფასი რომ აქვს, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ლიგაში ადგილის შენარჩუნების მიზნით, აუტსაიდერის პრეზიდენტმა **ბესიკ ჩიხრაძემ** მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთელები უკრაინიდან ჩამოიყვანა. ამდენად, „ოლიმპის" ყოფილი თავკაცებისთვის - **ანატოლი პისკოვეცისა** და **ვარლამ კილასონიასთვის** (თანაშემწედ იმუშავებს - ავტ) გაგრელთა გუნდის ხელმძღვანელის პოსტზე „დინამოსთან" მატჩი სადებიუტო იყო. მასპინძელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა უკრაინელ ნახევარმცველ **მიკოლა ნაკონეჩნისაც**, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ვწერდით, ნაკონეჩნის გარდა ჩამოვიდნენ ჩვენთვის კარგად ნაცნობი მცველი **ვასილი გრიგორევიჩი** და თავდამსხმელი **ალექსანდრ ომელიანოვიც** (წინა სეზონში ორივე „მგლებში" ცდიდა ძალებს). თუმცა თამაშის წინ არ იყო ჩამოსული მათი სატრანსფერო ფურცელი, შესაბამისად, გრიგოროვიჩისა და ომელიანოვის დებიუტი გადაიდო.

არანაკლებ მოტივირებული იყო სტუმარიც. მეორე საფეხურზე მყოფმა „ზესტაფონმა" წინა დღით „ლოკომოტივთან" ორი ქულა დაკარგა და მოგების შემთხვევაში **კახა კაჭარავას** გუნდი მეორე ადგილზე აინაცვლებდა...

„გაგრას" ახალ თავკაც პისკოვეცს 37 ცუდად დაამახსოვრდება - „დინამოსთან" შეხვედრაში ერთადერთი გოლი სწორედ 37- ე წუთზე გავიდა და მისი ავტორი დინამოელთა 37 ნომერი **გურამ კაშია** გახლდათ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს: დასაწყისიდან უკეთ მასპინძლები გამოიყურებოდნენ. თუმცა დინამოელები დაცვაში ყურადღებით თამაშობდნენ. მე-7 წუთზე **ილია პავლიაშვილის** ძლიერი დარტყმის შემდეგ სტუმართა მეკარე **გიორგი ლორიამ** რთული ბურთი აილო. პირველი 15 წუთის შემდეგ დინამოელებმა თამაში დაალაგეს, ორგანიზებულად შეუტიეს მეტოქეს და გოლიც მოამწიფეს...

მანამდე კი **შოთა კაშიას** დარტყმული მცირედით ასცდა **რევაზ თევდორაძის** კარს. ორიოდე წუთში იმავე თევდორაძემ ჯერ უფროსი კაშიას თავურისას იმარჯვა, მერე კი **გიორგი თექთუმანიძის** დარტყმულზეც იყოჩაღა. აქვე უნდა ითქვას, რომ ძმები კაშიების გარდა, სტუმართა რიგებში **გიორგი კახელიშვილი** და ახალბედა თექთუმანიძე გამოირჩეოდნენ. ნახევარდაცვაში დიდი სამუშაო გასწია **ლევან კაკუბავამ**, უმცროსი კაშიას დარად, დაცვით ოპერაციებთან ერთად შეტევაში აქტიურად მონაწილეობდა **თენგიზ ჩიკვილაძე**. გაგრელთა შორის კი, დებიუტანტ ნაკონეჩნის გარდა, ბევრი იბრძოლეს **ნოშრევან** და **ნიკოლოზ ჯიშკარიანებმა**.

ამასობაში კი მასპინძელთა მეკარე თევდორაძემ 26-ე წუთზე გურამ კაშიას ძლიერი დარტყმა კუთხურზე მოიგერია, მერე კი ჩიკვილაძის თავური მცირედით ასცდა მიზანს. 35-ე წუთზე გაგრელთა ნიგერიელ ლეგიონერ **ოვონიკოკოს** მცირედით უმტყუნა მიზანმა. 37-ე წუთზე კი გურამ კაშიას მიერ ოსტატურად შესრულებულ საჯარიმო დარტყმას გოლიც მოჰყვა - 0:1.

შესვენების შემდეგ ანატოლი პისკოვეცმა დაცვა **ჯემალ გაბუნიათი**, ნახევარდაცვა კი **ბიჭიკო გედენიძით** გააძლიერა, ხოლო მატჩის ბოლო წუთებში პავლიაშვილი (დაიღალა) ფორვარდ **ირაკლი კიკნაძით** ჩაანაცვლა, მაგრამ გაგრელებმა წონასწორობის აღდგენა ვერ შეძლეს.

ვიზავის არც კაჭარავა ჩამორჩა. „დინამოს" თავკაცმა ნახევარდაცვასა და შემტევ პოტენციალს **ნიკოლოზ ფირცხალავას, რობერტინიოსა** და **მათე ვანაძის** თამაშში ჩართვით „გადაუსხა ახალი სისხლი".

მეორე ტაიმიდან გამოვარჩევთ პავლიაშვილის დარტყმას, რომელსაც ლორია გადაეფარა, მერე კი ჩიკვილაძისა და თექთუმანიძის აქტიურობამ ჩაიარა უშედეგოდ. სტუმრები თავს საიმედოდ იცავდნენ და ორგანიზებულადაც უტევდნენ. გაგრელებიც ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ პავლიაშვილის, ნაკონეჩნისა და ოვონიკოკოს გარჯა ამაო გამოდგა.

ამ გამარჯვებით „დინამომ" მეორე ადგილზე აინაცვლა. ცხრილის ფსკერზე მყოფ „გაგრას" კი „ვიტ ჯორჯიასთან", „ზესტაფონსა" და „ოლიმპთან" რთული მატჩები ელის.

## მატჩის შემდეგ

**ანატოლი პისკოვეცი (გაგრა)**: „დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოდგა. ჩემმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა ქულის გადასარჩენად, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. მომდევნო ტურებშიც რთული მატჩები გველის. ჩვენთვის ახლა თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს და შემდეგ შეხვედრებში აუცილებლად წარმატებით უნდა ვიასპარეზოთ".

**კახა კაჭარავა (დინამო)**: „რთული თამაში იყო და კმაყოფილი ვარ, რომ მორიგი 3 ქულა მოვიპოვეთ. „გაგრას" ახალი მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს, რაც მათი გუნდისთვის დამატებითი სტიმულია. ჩემმა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ".

**დავით ცაბაძე**

# ჩემპიონი წვიმიან სამტრედიაშიც დაეცა

03.04. სამტრედია. ე. მანჯგალაძე.
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 ბაკურაძე (42. ჩომახიძის პასით)

სამტრედია: შენგელია - კუპრეიშვილი, კირთაძე, დვალიშვილი, ნინუა - ჩომახიძე (65. ბარამიძე), ილურიძე, ტყემალაძე (88. ეცადეიშვილი), ბაკურაძე, ჩალაძე - ზ. ხაჭიპერაძე (82. შ. ფირცხალავა).

*სათადარიგოები: ბანძავა, ლომიძე, ჩხაიძე*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა (51. ჩიმაკაძე), კვახაძე, ადამაძე, ჯაფარიძე - ბეჭვაია, ვასაძე, გ. დათუნაიშვილი, გურეშიძე (83. მაისაშვილი), კლიმიაშვილი - ბერიაშვილი.

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, როსტიაშვილი, ბაქრაძე, კორიფაძე, კასრაძე*

გაფრთხილება: კვახაძე (41)

არბიტრი. მ. ბეუქლიშვილი

ვერა და ვერ ელირსა სამტრედია საფეხბურთო მატჩის დროს კარგ ამინდს. თითოოროლა გამონაკლისის გარდა, წლეულს ისე ხდება, რომ „მუდამ მზიან" ქალაქში ფეხბურთელებს ან ძლიერ ქართან უწევთ გამკლავება, ანდაც წვიმისაგან დატბორილ მინდორზე უხდებათ ტალახის ზელა. ბუნებამ მორიგი სამტრედიული მატჩიც „არ დატოვა უყურადღებოდ" და თამაშის დაწყებამდე წამოსულმა წვიმამ სამტრედიის მთავარ არენას თავისი კვალი ისევ დაატყო. მატჩის დაწყებიდან 15-20 წუთის შემდეგ ზოგიერთი ფეხბურთელი ტალახში ისე იყო ამოსვრილი, თამაშზე დაგვიანებით მოსულ გულშემატკივრებს აფრიკელი ლეგიონერები ეგონებოდათ...

ცუდი ამინდის მიუხედავად, სტადიონი მაინც ბოლომდე გაივსო. მაყურებლების მიერ ტრიბუნებზე „დანთებულმა ცეცხლმა" ფეხბურთელებზეც დადებითად იმოქმედა და მოედანზე უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა. მართალია, ტექნიკური წუნი ორივე მხარეს საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ მატჩს (ქართული მასშტაბების გათვალისწინებით) ტემპი და დინამიკა არ აკლდა. „ვიტ ჯორჯიამ", რომელიც ბოლო ხანებში ჩვეულ ფეხბურთს ველარ თამაშობს, ამ შეხვედრისთვის ოთხი წამყვანი ფეხბურთელი - **ლომაია, რაზმაძე, ლიპარტია** და **კვარაცხელია** მოისაკლისა. ლიდერები გუნდს აშკარად დააკლდნენ, განსაკუთრებით წინა ხაზში, სადაც თანაგუნდელებს ერთადერთ ფორვარდად გამწესებულ **ბერიაშვილთან** „აულიარებელ სახელმწიფოსავით" ჰქონდათ კავშირი გაწყვეტილი და ისიც ბურთს იშვიათად ეხებოდა. მეკარე **ხარძეიშვილისა** და დისკვალიფიცირებული **გოგიას** სახით დანაკლისი სამტრედიელებსაც ჰქონდათ, თუმც ვიტელთა საკადრო პრობლემებთან შედარებით ეს რა მოსატანია?

მატჩის საწყისი წუთები თბილისელთა უპირატესობით წარიმართა. პირველად კარის მიმალთულებით მათ დაარტყეს, თუმცა **ჯაფარიძის** მიერ შორიდან გასროლილი ბურთი სამტრედიელთათვის არცთუ სახიფათო გამოდგა. საერთოდაც, სტუმრები ხშირად მიმართავდნენ შორეულ დარტყმებს, რაც ასეთ ამინდში სავსებით გამართლებული იყო. სველი და დამძიმებული ბურთის დამორჩილება მეკარისთვის იოლი არ იქნებოდა, თანაც, ვიტელებმა, ალბათ, მეკარე **შენგელიას** მიერ წინა ტურში „დინამოსთან" დაშვებული შეცდომებიც გაითვალისწინეს...

მე-18 წუთზე **დათუნაიშვილის** შორეული დარტყმა სამტრედიელთა კიპერმა უხერხულად მოიგერია, თუმცა ამ ეპიზოდში ჩემპიონი მხოლოდ კუთხურს გამორჩა. ცოტა ხანში **ხურცილავამ** აუტიდან პირდაპირ მეკარის საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, შენგელია შეცდა, მაგრამ იქვე მყოფი ბერიაშვილი ასეთ საჩუქარს არ ელოდა და საგოლე დარტყმაც ვერ შედგა. პირველი ტაიმის შუა წელიდან კი უკვე მასპინძლები გააქტიურდნენ და რამდენიმე სახიფათო იერიში მიიტანეს მეტოქის კართან. 34-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებთან მყოფმა **ტყემალაძემ** ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ძირს დაშვება არ აცალა, მარცხენა ამოჰკრა და რომ არა **ბედიაშვილის** თავგანწირული ნახტომი, ანგარიში უთუოდ გაიხსნებოდა...

მასპინძელთა უპირატესობამ შედეგი 42-ე წუთზე გამოიღო. **კვახაძემ** საჯარიმოს ხაზთან **ჩალაძე** წააქცია და ყვითელ ბარათთან ერთად სახიფათო ჯარიმაც „აიკიდა". **ჩომახიძემ** ჯარიმიდან მეკარის საჯარიმოსთან ჩაკიდა ბურთი, სადაც **ბაკურაძემ** დასწრებაზე ითამაშა და თანაგუნდელები მოხდენილი თავურით დააწინაურა - 1:0.

შესვენების შემდეგ უპირატესობას „ვიტ ჯორჯია" დაეუფლა, თუმცა სამტრედიელები თავს კარგად იცავდნენ და სახიფათო კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ. ვიტელებმა რამდენჯერმე შტურმისმაგვარიც მოაწყვეს - კვახაძეს ორჯერ მიეცა თავის გამოჩენის შანსი, თუმცა პირველად ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, 63-ე წუთზე კი, დათუნაიშვილის პასის შემდეგ, ვარდნაში ურტყამდა და მასპინძელი მეკარე შენგელიამ იხსნა. ამას მოჰყვა **ვასაძის** სახიფათო დარტყმაც, რომელიც კართან ახლოს მცველებს მოხვდათ, მათგან ასხლეტილ ბურთს კი მეკარე დაეუფლა.

არანაკლებ სახიფათო იყო სამტრედიელთა კონტრშეტევებიც. ჯერ ბაკურაძე და **ხაჭიპერაძე** გავიდნენ მეკარესთან პირისპირ და ბედიაშვილმა განმუხტა სიტუაცია, 73-ე წუთზე კი ბაკურაძის სახიფათო საჯარიმო დარტყმისას ბურთი მცველს მოხვდა და ვიტელთა კარის ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. ბოლოს ვიტელები მთლად აირივნენ და მასპინძლებს მათი დასჯა რამდენჯერმე შეეძლოთ, თუმცა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კინაღამ საკუთარ კარში მიიღეს ბურთი - **კირთაძე** ნახტომში თავით ცდილობდა ბურთის მოგერიებას, მაგრამ ბურთს ასცდა და **ჩიმაკაძე** მარტოდმარტო დარჩა მეკარესთან პირისპირ, თუმცა სამტრედიელთა გასახარად ბურთთან შენგელია უფრო ახლოს აღმოჩნდა და ვიტელებს გოლის გატანის ბოლო შანსიც მოუსპო.

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი XXVIII ტური

# კაჭუნიას დღე

03.04. გორი. ქართლი.
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| სიონი | 3 |

0:1 ლ. მელქაძე (16. უგრეხელიძის პასით), 0:2 გოგობერიშვილი (24. პენალტით), 1:2 კლოვისი (55. ბურდულის პასით), 1:3 უგრეხელიძე (70. კობაურის პასით)

სპარტაკი: ბათიაშვილი - ფოფხაძე, ბოიომო, მგელაძე, მაისურაძე - მედ ნალო (53. მგალობლიშვილი), ჩივაძე, შონია (59. კანდელაკი), ჩირიკაშვილი - ბურდული (83. დეკანოიძე), კლოვისი.

სათადარიგოები: ნონოსი, გ. კვახაძე, ბუზალაძე

სიონი: ზუხბაია - ქელიძე, ქემოკლიძე, დიდავა, კობაური - უგრეხელიძე (75. ჯოხაძე), ნოზაძე, გოგობერიშვილი, გ. მელქაძე (59. შენგელია), დეკანოსიძე - ლ.მელქაძე (71. რუსეიშვილი).

სათადარიგოები: ბობლიაშვილი, მერებაშვილი, კვანტალიანი, უგულავა

გაფრთხილება: ბოიომო (28), დეკანოსიძე (61), მგალობლიშვილი (68), ლ. მელქაძე (71), დიდავა (87)

გაძევება: ფოფხაძე (23)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

მკითხველს ემახსოვრება, როგორი რეაქცია მოჰყვა ამ გუნდების ბოლნისურ მატჩს ერთი თვის წინ, როცა ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „სპარტაკი" და „სიონი" გარიგებაში „ამხილა", თუმცა შემდეგ სააპელაციო კომიტეტმა გადაწყვეტილება შეცვალა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ამ გუნდების გორულ მატჩსაც არ ჰქონოდა გარკვეული ინტერესი. ცნობილია, რომ „სპარტაკს" სათასო ამბიცია აქვს მხოლოდ შემორჩენილი, ხოლო „სიონმა" სახიფათო ზონას თითქმის დააღწია თავი. მოკლედ, ადვილი შესაძლებელი იყო, სტუმრებს შეხვედრა მოეგოთ და ასეც მოხდა, თუმცა ამჯერად თამაში „ემოციური" იყო...

წვიმის მიუხედავად, შეხვედრის პირველივე წუთებიდან მოედანზე სწრაფი თამაში გაჩაღდა. ბურთს უფრო მეტად „სიონი" ფლობდა, მაგრამ პირველი ხიფათი მაინც მათ კართან შეიქმნა - მე-14 წუთზე **ლადო ბურდულის** დარტყმული ხარიხას მცირედით გადაცდა. ორ წუთში კი **ვლადიმერ უგრეხელიძემ** ამ თამაშში პირველად გაიბრწყინა, როცა ფლანგზე მცველებს გაექცა და ბურთი კარის წინ მყოფ **ლევან მელქაძეს** მისცა, ამას კი თავის მხრივ არ გასჭირვებია ანგარიშის გახსნა. ბოლნისელებს გატანილი გოლის შემდეგაც არ დაუკარგავთ უპირატესობა, თუმცა მათ, ისევე როგორც მასპინძლებს, რაიმე გააზრებული კომბინაციის გათამაშება ძალიან უჭირდათ, პირველ ყოვლისა, წვიმისგან ატალახებული მოედნის გამო.

ორივე გუნდის ფეხბურთელებს გააზრებული ჰქონდათ, რომ ასეთ ვითარებაში კომბინაციური თამაში შეუძლებელი იქნებოდა და აქცენტი ძირითადად სისწრაფესა და შორეულ დარტყმებზე გადაიტანეს. ცხინვალელთა კარში მეორე გოლი კვლავ უგრეხელიძის სწრაფ გარღვევას მოჰყვა. ის კიდევ ერთხელ დაუსხლტა მეურვეებს და საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ჯერ ძელს გაარტყა, შემდეგ კი უკუგდებულს დაამატა და **ფოფხაძის** ხელიდან ბურთი რიკოშეტით კარში აღმოჩნდა... თუმცა არბიტრს საპენალტედ უკვე ჩასტვენილი ჰქონდა. ამავე დროს, ხარიტონაშვილმა 11-მეტრიანის დანიშვნასთან ერთად, ფოფხაძეც გააძევა მოედნიდან. ვფიქრობთ (და ქომაგებს შორისაც ანალოგიური აზრი გაჩნდა), არბიტრს არ უნდა ეჩქარა პენალტის დანიშვნა - სჯობდა, გოლი ჩაეთვალა და ფოფხაძეც არ გაეძევებინა, მით უფრო, რომ მას ხელით განზრახ არ უთამაშია.

ასე იყო თუ ისე, **გოგობერიშვილმა** პენალტი უნაკლოდ შეასრულა. მასპინძლებმა მეტი ჟინით შეუტიეს **ზუხბაიას** კარს, მაგრამ შესვენებამდე ხიფათი მხოლოდ **ჩირიკაშვილის** მიერ 25 მეტრიდან დარტყმულს მოჰყვა, რომლის მოგერიებაც სტუმართა გოლკიპერმა გაჭირვებით მოახერხა. შესვენების შემდეგ თავდაპირველად ისევ „სიონმა" გამოაჩინა ბრჭყალები - უგრეხელიძის მიერ „სპარტაკის" კარის მისამართით გაგზავნილი ბურთი მცირედით ასცდა მიზანს.

55-ე წუთზე სახიფათო მომენტი უკვე მასპინძლებმა შექმნეს და გოლადაც აქციეს - ბურდულის პასით **კლოვისმა** ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 1:2. თუმცა ამ დღის უდავო გმირმა უგრეხელიძემ, რომელმაც საკუთრივ ჯერ საგოლე პასი, შემდეგ კი პენალტი მოიმკა, იქამდე არ მოისვენა, ვიდრე თავადაც არ გაუტანა **ბათიაშვილს**. გოლი საკმაოდ ეფექტური გამოვიდა - უგრეხელიძემ კობაურის პასი მიწაზე დაუშვებლად, ძლიერად გაგზავნა მეტოქის კარში - 1:3.

ეს იყო მატჩის ბოლო გოლი, არადა, შეხვედრის მიწურულს ბათიაშვილთან პირისპირ გასულ **შენგელიასაც** რომ ეხეირა, ცხინვალელთათვის ანგარიში მთლად გამანადგურებელი იქნებოდა. ბოლოს ერთსაც დავძენთ - ნიშანდობლივია, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მცირერიცხოვანი მაყურებელი მხოლოდ „კაჭუნიას" (უგრეხელიძის მეტსახელი) სკანდირებდა და აქებდა. ეს მართლაც რომ მისი დღე იყო!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

03.04. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე.
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| ოლიმპი | 1 |

0:1 აკინო (7), 1:1 ჩისამბა ლუნგუ (12)

*ტექნიკური მიზეზების გამო ვერ განვდით მატჩის სრულყოფილ მიმოხილვას, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი* | 28 | 20 | 6 | 2 | 56-14 | 65 |
| 2. დინამო | 28 | 16 | 7 | 5 | 42-15 | 55 |
| 3. ზესტაფონი | 28 | 15 | 9 | 4 | 43-25 | 54 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 28 | 13 | 10 | 5 | 37-26 | 49 |
| 5. სპარტაკი | 28 | 8 | 9 | 11 | 32-44 | 33 |
| 6. სამტრედია | 28 | 8 | 7 | 13 | 35-50 | 31 |
| 7. სიონი | 28 | 6 | 12 | 10 | 20-32 | 30 |
| 8. ბაია | 28 | 5 | 8 | 15 | 22-36 | 23 |
| 9. ლოკომოტივი | 28 | 3 | 10 | 15 | 13-35 | 19 |
| 10. გაგრა | 28 | 3 | 6 | 19 | 22-48 | 15 |

*შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.*

*ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | **26 (10პენ.)** |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | **15 (1პენ.)** |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | **11 (1პენ.)** |

### მომდევნო ტური

**10 აპრილი, შაბათი**

სპარტაკი-ბაია
ზესტაფონი-სამტრედია
ვიტ ჯორჯია-გაგრა
დინამო-სიონი

**11 აპრილი, კვირა**

ლოკომოტივი-ოლიმპი

### პირველი ლიგა

კოლხეთი (ფ)-მერცხალი 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 20 | 16 | 2 | 2 | 56-10 | 50 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 19 | 13 | 3 | 3 | 48-18 | 42 |
| 3. ბათუმი | 20 | 12 | 5 | 3 | 31-10 | 41 |
| 4. ჩიხურა | 20 | 11 | 4 | 5 | 29-18 | 37 |
| 5. ნ/დინამოელი | 19 | 9 | 5 | 6 | 34-36 | 32 |
| 6. გურია | 18 | 9 | 3 | 6 | 33-24 | 30 |
| 7. მარტვილი | 20 | 9 | 2 | 9 | 30-28 | 29 |
| 8. მერცხალი | 20 | 7 | 3 | 10 | 22-28 | 24 |
| 9. IBSU | 19 | 6 | 5 | 8 | 29-25 | 23 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 20 | 7 | 2 | 11 | 27-36 | 23 |
| 11. ჰერეთი | 20 | 5 | 4 | 11 | 20-38 | 19 |
| 12. მეშახტე | 20 | 5 | 3 | 12 | 27-53 | 18 |
| 13. მესხეთი | 20 | 6 | 2 | 12 | 18-32 | 17* |
| 14. ჟიათურა | 19 | 5 | 0 | 14 | 19-46 | 15 |
| 15. 35-ე სკ | 19 | 3 | 3 | 13 | 18-40 | 12 |

### მეორე ლიგა. დასავლეთი.

**VIII ტური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 17 | 14 | 1 | 2 | 40-16 | 43 |
| 2. იმერეთი | 17 | 10 | 4 | 3 | 42-17 | 34 |
| 3. ტორპ. 2008 2 | 16 | 9 | 5 | 2 | 23-7 | 32 |
| 4. სამგურალი | 17 | 8 | 5 | 4 | 31-19 | 29 |
| 5. სძური | 17 | 8 | 3 | 6 | 21-18 | 27 |
| 6. ჩხერიმელა | 17 | 8 | 3 | 6 | 25-26 | 27 |
| 7. გურია 2 | 17 | 7 | 2 | 8 | 27-28 | 23 |
| 8. ბახმარო | 16 | 7 | 2 | 7 | 21-26 | 23 |
| 9. ჩიხურა 2 | 17 | 6 | 3 | 8 | 22-27 | 21 |
| 10. მარგვეთი | 17 | 4 | 7 | 6 | 24-27 | 19 |
| 11. ბათუმი 2 | 17 | 5 | 3 | 9 | 19-23 | 18 |
| 12. საირმე | 17 | 5 | 3 | 9 | 22-37 | 18 |
| 13. დინამო (ძ) | 17 | 5 | 1 | 11 | 12-28 | 16 |
| 14. სულორი | 17 | 3 | 4 | 10 | 25-35 | 13 |
| 15. ძ. ტორპედო | 16 | 2 | 4 | 10 | 17-37 | 10 |

### მოსალოდნელი ტრანსფერი

# ყენია ტრაბზონში უნდათ

## ლევანისთვის სეზონი დასრულებულია

საქართველოს ნაკრებისა და „შალკეს" ნახევარმცველი **ლევან ყენია** ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს აგრძელებს. ის ჯერაც ინდივიდუალურ პროგრამას გადის და წესით ოთხ-ხუთ კვირაში გუნდთან ერთად სრული დატვირთვით უნდა ივარჯიშოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე სეზონში ყენია ვეღარ ითამაშებს. ბუნდესლიგის სეზონი 8 მაისს მთავრდება. ყენიასთვის კი სეზონი უკვე დასრულებულია. ლევანის სრულად გამოჯანმრთელებას აქამდეც ელოდნენ, მაგრამ სარეაბილიტაციო კურსის დაჩქარებას ტრავმის გართულება შეეძლო და ექიმები ამას მოერიდნენ. იმედია, ყენია მაისის პირველი დეკადიდან შეუდგება სრული დატვირთვით ვარჯიშს და 30 მაისს შვეიცარიასთან ახალგაზრდულ ნაკრებს მაინც დაეხმარება.

მიუხედავად ყველაფრისა, ყენიას გადაბირების სურვილს „ტრაბზონსფორიც" გამოთქვამს. თურქული ვებგვერდების (fotospor.com, gunebakis.com.tr, stargazete.com, fanatik.net) ინფორმაციით, „ტრაბზონსფორს" 19 წლის ქართველი ნახევარმცველის აყვანა სურს და მზადაა, მის სანაცვლოდ „შალკეს" ოფიციალური წინადადებით მიმართოს. ზემოთ ნახსენები წყაროების მტკიცებით, „ტრაბზონსფორის" ხელმძღვანელობა ყენიას თაობაზე აზრს „ალკმაარის" მეორე მწვრთნელ **შოთა არველაძესაც** დაეკითხა. ცნობისთვის, „ტრაბზონი", რომელსაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი, თურქეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი **შენოლ გიუნეში** წვრთნის, სეზონის დასრულებამდე 6 ტურით ადრე მე-5 ადგილზეა.

შეგახსენებთ, ლევან ყენიას დამატების სურვილი „ტრაბზონამდე" სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა" გამოთქვა. ჩვენი ინფორმაციით, ყენიათი „ლევერკუზენი" და დორტმუნდის „ბორუსიაც" არიან დაინტერესებულნი. როგორც ამბობენ, ოფიციალურად ეს მალე გაცხადდება.

ჩვენში ბევრს არ აქვს სურვილი, რომ ლევანმა კარიერა რუსულ პრემიერლიგაში გააგრძელოს. ცხადია, ბუნდესლიგის მერე არც „ტრაბზონსფორის" ვარიანტია მომხიბლავი, მაგრამ... დაველოდოთ სხვა გუნდების ინტერესთა გამჟღავნებასაც. ჩვენი ინფორმაციით, ყენიას არ უნდა „შალკედან" წასვლა. თუმცა კლუბში არსებული არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო, „ხუმარებთან" დამშვიდობებას ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი აპირებს. თუ ეს სიტუაცია არ გამოსწორდა, გუნდს ალბათ ლევან ყენიაც შეიცვლის...



ლევან ყენია

**დავით ცაბაძე**

### ინტერვიუ

# ნიკა გუშარაშვილი

# რა ქულები დავკარგეთ პირველ წრეში...

## ლოკომოტივის კაპიტანს უმაღლეს ლიგაში დარჩენა რეალური ჰგონია


ნიკა გუშარაშვილი

**ნიკა გუშარაშვილი დიდი ხანია თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობს და მისი კაპიტანიცაა. 26 წლის გამოცდილ ცენტრალურ მცველს ჰქონდა ვარიანტი, ბევრად ძლიერ კლუბში ეთამაშა, მაგრამ მისთვის „ლოკომოტივი" მშობლიურ კლუბად იქცა და მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს წასვლას, თუ საქართველოში ან უცხოეთში ბევრად ძლიერ კლუბში თამაშს შესთავაზებენ. დამეთანხმებით, კლუბისადმი ასეთი ერთგულება საქართველოში დიდი იშვიათობაა...**

**- მეორე წრეში „ლოკომოტივმა" თამაში გამოასწორა. თქვენთან მოგება უკვე ლიდერებსაც უჭირთ, „ზესტაფონს" კი ტრადიციულად ამწარებთ - ეს ცვლილება რას მივაწეროთ?**

- ჩვენ ხომ ჩემპიონატი რეგიონალლიგაში ნათამაშები, გამოუცდელი ბიჭებით დავიწყეთ და ბუნებრივიც იყო, რომ მათ უმაღლესში თამაში უჭირდათ. მეორე წრეში შევთამაშდით და რამდენიმე კაცის დამატებამაც საკმაოდ გაგვაძლიერა. მეორე ეტაპზე ჯერ ერთი წრე დასრულდა, მეოთხეს პირველი ტურიც ჩატარდა და უკვე იმდენი ქულა მოვიპოვეთ, რამდენიც - მთელ პირველ ეტაპზე. თანაც, მიმაჩნია, რომ არც „დინამოსთან" უნდა წაგვეგო და არც „ვიტ ჯორჯიასთან".

**- აუტსაიდერმა თამაში ასე როგორ გააუმჯობესა?**

- სწორი ფეხბურთით. გელა სანაია თავიდანვე ასე გვათამაშებდა და მართალია, ქულებს ხშირად ვკარგავდით, მაგრამ ნელ-ნელა თამაშიც გამოვასწორეთ, გავძლიერდით და ამ ფეხბურთს უკვე შედეგიც მოაქვს.

**- უმაღლეს ლიგაში დარჩენა მაინც ძალიან გაგიჭირდებათ...**

- გაგვიჭირდება, მაგრამ ვიბრძოლებთ და მგონია, რომ მიზანს მაინც მივაღწევთ.

**- საამისოდ, ჯერ ზუგდიდის „ბაიას" უნდა გადაასწროთ, რომელიც ლიდერებთან წარმატებით თამაშობს.**

- გეთანხმებით, მიზეზთა გამო „ბაიასთან" ბრძოლა რთული იქნება. ახლა უფრო მწყდება გული, რა ქულები დავკარგეთ პირველ წრეში... თუმცა, წინ ცხრა ტურია და მოგებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**- „ლოკომოტივი" ახალწვეულებმა აშკარად შეცვალეს...**

- იმიტომ, რომ გიორგი ქელიძე, ლაშა ქებაძე და ზვიად მეტრეველი გამოცდილი და ძლიერ კლუბებში ნათამაშები ფეხბურთელები არიან. ბონდო გოცირიძეც ძალიან კარგად ჩაეწერა გუნდში. და მეორეც - მათ გვერდით, გამოუცდელი ბიჭები უფრო თავდაჯერებულები გახდნენ. მთავარი მაინც ის არის, რომ გუნდში ძალიან მეგობრული, ერთსულოვანი ატმოსფეროა.

**- ბევრი ქულა დავკარგეთო, თქვით. ისეთ რეალურ მომენტებს უშვებთ ხელიდან, შეუძლებელია, არ დაგეკარგათ დასანანი ქულები...**

- მე უკვე ეს ფაქტიც მიხარია. პირველ ეტაპზე მომენტებსაც ვერ ვქმნიდით. ახლა კი ლამის ყველა მატჩში სამი-ოთხი საგოლე მომენტი გვაქვს და ნახევარს მაინც გამოვიყენებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

### მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# ოთხეულიდან წინ ისევ დინამოა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც კვლავ მსოფლიოს 350 კლუბია თავმოყრილი. საქართველოდან რეიტინგში ამჯერადაც ოთხი გუნდი მოხვდა, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიცია თბილისის „დინამოს" აქვს. დედაქალაქელები 180-ე ადგილს ინარჩუნებენ; 192-ეზეა რუსთავის საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი რუსთავის „ოლიმპი", რომელმაც ერთი საფეხურით წინ წაიწია; 245-ეა „ზესტაფონი", რომელმაც დიდი დაღმასვლა განიცადა - წინა თვის რეიტინგში ფეროელები 228-ე ადგილზე იყვნენ; „ვიტ ჯორჯია" კი ერთი პოზიციით დაქვეითდა და დღეისათვის მე-300-ეა.

რეიტინგში ლიდერობა „ბარსელონამ" შეინარჩუნა, საუკეთესო ათეულში კი ყველაზე დიდი პროგრესი არგენტინულმა „ესტუდიანტესმა" განიცადა, რომელიც მე-7-დან მეორე პოზიციამდე ალზევდა.

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: **1. ბარსელონა (ესპანეთი), 2-3. ესტუდიანტესი (არგენტინა), ვერდერი (გერმანია), 4. ჩელსი (ინგლისი), 5. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 6. კრუზეირო (ბრაზილია), 7. შახტიორი (უკრაინა), 8. არსენალი (ინგლისი), 9. რომა (იტალია), 10. ბაიერნი (გერმანია).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

# ქართულ ფეხბურთს დასავლური ფერები უბრუნდება...

**პირველი** ლიგის 2009/10 წლების ჩემპიონატი უნიკალური გამოდგა. აბა გაიხსენეთ, ჩვენში ოდესმე დაბალი ლიგის ჩემპიონატი იმხელა ინტერესს იწვევდა, როგორსაც - მიმდინარე სეზონში? თავად ტურნირიც დამაინტრიგებლად ვითარდება. ქუთაისის „ტორპედო“, ფოთის „კოლხეთი“ და ბათუმის „დინამო“ მონაცვლეობით ხდებოდნენ ლიდერები და მაყურებელს აინტრიგებენ...

XXI ტურში ცენტრალური მატჩი გაიმართა ფოთში, სადაც ბესიკ შეროზიას გაწვრთნილმა „კოლხეთმა“ ოზურგეთის „მერცხალს“ 4:0 მოუგო, მეორე ადგილზე გადავიდა და ბათუმის „დინამოს“ გადაასწრო. მეორე ადგილი კი უმაღლეს ლიგაში გადასვლის გარანტია გახდება.

ამჟამად, ლიგას 50 ქულით ლიდერობს (იხ. მე-2 გვერდი) ქუთაისის „ტორპედო“, რომელიც მეორეადგილოსან ფოთის „კოლხეთს“ 8 ქულით უსწრებს (42), მესამეზე კი ბათუმის „დინამოა“ (41). ლიგაში გადასვლის თეორიულ შანსს დღემდე ინარჩუნებენ მეოთხეადგილოსანი საჩხერეს „ჩიხურა“ (37) და მეხუთეზე მყოფი ლანჩხუთის „გურია“ (33). ტურნირის დასრულებამდე 9 ტურია დარჩენილი და ბუნებრივია, ლიდერთა სამეულში ალზევება-დაქვეითება სავსებით შესაძლებელია...

თავში პირველი ლიგისადმი განსაკუთრებული ინტერესი ვახსენეთ. სხვათა შორის, „პირველი არხის“ სპორტული რედაქცია არ გამორიცხავს, რომ უმაღლესი ლიგის რომელიმე ტურის ნაცვლად, პირველი ლიგის ლიდერთა მატჩი აჩვენოს. ეს ინტერესი და ინტრიგა ბუნებრივია, რადგან პირველ ლიგაში წელს იმდენი სახელოვანი კლუბი თამაშობს, პირველი ეროვნული პირველობის მონაწილეებიც რომ იყვნენ - ქუთაისის „ტორპედო“, ფოთის „კოლხეთი“, ბათუმის „დინამო“, ლანჩხუთის „გურია“ და ოზურგეთის „მერცხალი“. განსაკუთრებულია პირველი ოთხეული. ისინი, თბილისისა და სოხუმის „დინამოსთან“, „ლოკომოტივსა“ და გორის „დილასთან“ ერთად, ქართული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი და ყველაზე ისტორიული კლუბები არიან. საბჭოთა პერიოდში სწორედ მათ შექმნეს ქართული ფეხბურთის სახე.

...სადისციპლინო კომიტეტის წევრმა **თემურ ღლანიძემ** საინტერესო მოსაზრება გაგვიზიარა: *„უკრაინასა და რუსეთში ყველაზე ტიტულოვან კლუბებს გაუფრთხილდნენ და მათ ყველანაირად ეხმარებოდნენ, მაგრამ საქართველოში ბევრი მათგანი სწორედ სახელმწიფომ გაწირა. დიდი ქალაქების ნაცვლად კი ისეთი კლუბები გამოჩნდნენ, რომელთაც არც ტრადიცია ჰქონდათ და არც მაყურებელი ჰყავდათ. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ტრიბუნებსა და ქართული ფეხბურთის დონის დაცემაში აისახა, რადგან ტრადიციულ კლუბებში გაცილებით მეტია ის ამბიცია, ცოდნა და გამოცდილება, რაც ფეხბურთს სჭირდება“.*

გავიხსენოთ რამდენიმე წლის წინანდელი მოვლენები, როცა ეკონომიკის სამინისტრომ სიტყვიერი (და არა - ოფიციალური) განკარგულებით, ფაქტობრივად, პირველ ლიგაში გაგდებისთვის გაწირა ლიგის დღევანდელი ლიდერები - „ტორპედო“, „კოლხეთი“ და ბათუმის „დინამო“. არც ერთ მათგანს კერძო სექტორი აღარ აფინანსებდა და როცა ქალაქის, ან ქალაქში მდებარე საწარმოს მათი დახმარება აუკრძალეს, ბუნებრივია, კლუბების ამბიციებსაც წყალი შეუდგა.

საბედნიეროდ, მაშინდელ გადაწყვეტილებას ქვემო ქართლში **დავით კირკიტაძემ** „წაუყრუა“ და ამის ხარჯზე გადარჩნენ რუსთავის „ოლიმპი“ და ბოლნისის „სიონი“. როგორც კირკიტაძე ამბობს, ფეხბურთისთვის დამღუპველი გადაწყვეტილება იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა **ზურაბ ნოღაიდელმა** განახორციელა.

ასე იყო თუ ისე, უმაღლესმა ლიგამ იმ ქალაქების გუნდები დაკარგა, სადაც მაყურებელი განსაკუთრებით აქტიური, ამბიციური და მრავალრიცხოვანი გახლდათ. ამან ბუნებრივი და სავალალო შედეგები გამოიღო - უმაღლესი ლიგას გულშემატკივრის რაოდენობა აშკარად და თვალში საცემად შემცირდა.




საფეხბურთო ცენტრები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარადაა მოწყობილი. ბევრ ქვეყანაში არ არის დედაქალაქი დომინანტური - საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში და ასე შემდეგ. საფრანგეთში კი რამდენიმე პროვინციული ქალაქი პოპულარული სწორედ ფეხბურთის წყალობით გახდა.

სხვაგვარადაა საქმე ბრიტანეთსა და ესპანეთში, სადაც დედაქალაქისა და „მეორე დედაქალაქის“ გუნდებს შორის მუდმივი ქიშპი და ბრძოლაა. ეს მოდელი უფრო მისაღები აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რადგან ფინანსური შესაძლებლობებით სწორედ ისინი გამოირჩევიან. მთავარი ბრძოლებიც დედაქალაქებისა და ეგრეთ წოდებული მეორე დედაქალაქის სტატუსის პრეტენზიის მქონე ქალაქებს შორის მიმდინარეობს. ოქროს მედლებსაც, უმთავრესად, ისინი ინაწილებენ - ასეა უკრაინაში, რუმინეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში, რუსეთში და ასე შემდეგ. ეს ფაქტორი „მეორე დედაქალაქის“ მცხოვრებთათვის დედაქალაქზე უპირატესობის დამტკიცების მშვენიერი საშუალებაა.

ვფიქრობ, ეს მოდელი ჩვენთვის ყველაზე მისაღები და სასურველია, რადგან საქართველოს იმ ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი), რომელთაც „მეორე დედაქალაქის“ სტატუსზე აქვთ პრეტენზია, ამ შიდა ეროვნული ფაქტორის გათვალისწინებით, სტადიონზე მაყურებლის მიზიდვის მეტი შანსი გააჩნიათ, ვიდრე სხვებს, თუნდაც თბილისურ კლუბებს. ეს ერთგვარად ბრძოლაცაა „მეორე დედაქალაქის“ სტატუსის მქონე ქალაქებს შორის, მათი როლის გასაზრდელად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფინანსური ცენტრის სტატუსის მოსაპოვებლად - ძლიერი გუნდი ხომ ქალაქისთვის სახელი და დიდი შემოსავლის წყაროა: ქალაქის სასტუმროებისთვის, მაღაზიებისთვის, ბარ-რესტორნებისა და ასე შემდეგ. საერთო ჯამში კი ეს თანხები, შემოსავლის სახით, ისევ ქალაქის მუნიციპალურ ბიუჯეტში აკუმულირდება. მართალია, საქართველოში ფეხბურთი დღემდე შემოსავლიანი არ არის, მაგრამ ყველაფერი ხომ საამისოდ კეთდება. სხვაგვარად, ფეხბურთზე მზრუნველთა მცდელობა აზრს დაკარგავდა.

სხვათა შორის, სწორედ რეგიონული ქალაქების განვითარების იმედი ჰქონდათ ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისში დამოუკიდებელი ფედერაციისა და ეროვნული ჩემპიონატის ინიციატორებს. „ქომაგთა ლიგის“ პრეზიდენტი **ზურაბ პეტრიაშვილი** იხსენებს: *„როცა წარმოვიდგენდით, რომ, მაგალითად, „ბარსელონა“ ზუგდიდის „ოდიშს“ რომელიმე ევროპული ტურნირის ეგიდით შეხვდებოდა და ზუგდიდს ესტუმრებოდა, ეს მთლიანად ქალაქს შეცვლიდა. როცა ასეთი რამ წლების განმავლობაში გაგრძელდებოდა, ბუნებრივია, ეს მთელ ქვეყანას და მის ეკონომიკასაც სასიკეთოდ დაეტყობოდა“.*

შესაძლოა, ახლა ვინმეს 20 წლის წინანდელ ოცნებაზე გაეცინოს, მაგრამ პეტრიაშვილის ნათქვამში რაციონალური მარცვალი აშკარად არის: „ბარსელონა“ სადაც ჩადის, იმ ქალაქში საკმაოდ გვარიან თანხას ტოვებს კლუბიც და მისი გულშემატკივარიც, სასტუმროში, კლუბში კი სატელევიზიო შემოსავლის სახით და ასე შემდეგ.

...საბედნიეროდ, სახელმწიფო მმართველები 5 წლის წინანდელ შეცდომას მიხვდნენ და საფეხბურთო კლუბების შენახვას სოციალური კუთხით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან „პური და სანახაობა“ კაცობრიობის შექმნის დროიდან მუდმივი სახელმწიფო პოლიტიკაა.

ახლა დიდი ქალაქების კლუბების შენახვითა და პატრონობით სწორედ სახელმწიფოა დაინტერესებული. რომ არა ეს პოლიტიკა, ქუთაისის „ტორპედო“, ფოთის „კოლხეთი“ და ბათუმის „დინამო“ დღემდე ნაფტალინმოყრილები იქნებოდნენ. მართალია, გაჭირვებული „კოლხეთი“ ბიზნესმენმა **თემურ ბარქაიამ** გადაარჩინა, მაგრამ ამბიციური კლუბის მოსალონიერებლად მხოლოდ ერთი კაცის ფინანსები საკმარისი ვერ იქნება, თუკი ის ოლიგარქი არ არის. ოლიგარქები კი ქართულ ფეხბურთში არ „თამაშობენ“.

გამონაკლისია საჩხერის „ჩიხურა“, რომელზეც ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი **ბიძინა ივანიშვილი** ზრუნავს. მან კლუბს ორი საწვრთნელი ბაზა აუშენა, მოუწყო საფეხბურთო სკოლების ქსელი, მალე კი საჩხერის ცენტრალური სტადიონის საფუძვლიან რეკონსტრუქციას აპირებს - გარემონტებული არენა დაახლოებით 8 000 მაყურებელზე იქნება გათვლილი და უეფას სტანდარტებს დააკმაყოფილებს. თუმცა, სამწუხაროდ, წელს „ჩიხურას“ გეგმაში უმაღლეს ლიგაში გადასვლა არ შედის.

ასე რომ, საქართველოშიც გამოიკვეთა პოლიტიკა: აქცენტი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური დატვირთვის მქონე ქალაქების გუნდებზე კეთდება - თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის. ალბათ, XXI საუკუნის ქართული ჭირვარამის კურიოზია, რომ დიდი ქალაქებიდან სამი - ბოლო ორი წელია უმაღლეს ლიგაში არ გვინახავს. სამწუხაროდ, სოხუმი და ცხინვალი ოკუპანტებმა წაგვართვეს და ამ ქალაქების გუნდებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდათ, მაგრამ ბოლო ორი წელია, ამასაც პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა მიეცა და ცხინვალის „სპარტაკთან“ ერთად, შესაძლოა, მალე გაძლიერებული სოხუმის „დინამო“ ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** წინამორბედებიდან პირველი გამოდგა, ვინც რეალურად დაინტერესდა სოხუმის კლუბის აღდგენითა და გაძლიერებით - სიჭინავამ ეს განცხადება აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე გააკეთა.

სამწუხაროა, რომ ქართლისა და კახეთის რეგიონები პასიურობენ. არადა, თელავისა და გორის გუნდების დაწინაურება, ქართული ფეხბურთის წინსვლასა და მაყურებლის მოზიდვაში მნიშვნელოვან ძვრას გამოიწვევდა. ბოლო წლებში ქართული ფეხბურთი მხოლოდ თბილისური შეფერადების მქონე, უფერული სანახაობა გახდა, რადგან ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორისა და თელავის გარეშე, შეუძლებელია, მრავალფეროვნება შეივსოს.

მალე უმაღლესი ლიგის პალიტრას რამდენიმე საჭირო ფერი დაემატება: პირველი ლიგის 22-ე ტური 8 აპრილს გაიმართება და შედგება ცენტრალური შეხვედრაც - ქუთაისში „ტორპედო“ ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლებს.

მოკლედ, პირველ ლიგაში მძიმე ბრძოლებია მოსალოდნელი. უმაღლეს ლიგაში გადასვლის უფლებას პირველ-მეორე ადგილზე გასული კლუბები მიიღებენ. თუმცა რამდენი გუნდი ითამაშებს მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში, ამას ზუსტად ჯერ ვერავინ ამბობს. სეზონი მთავრდება, მაგრამ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერებში ისეთი დაძაბულობა არ შეინიშნება, როგორც გასავარდნ გუნდებს აქამდე ახასიათებდათ. მიზეზი ის ხმებია, რომელიც ბოლო თვეებია ისმის - თითქოს, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზრდება. ბუნებრივია, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი უმაღლესი ლიგისთვის მართლაც დიდი შენამატი გახდება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სტაბილური დაფინანსება ექნებათ და სტადიონებსაც გადასცემენ - ასეთ შემთხვევაში, ისტორიული კლუბებით ბიზნესიც დაინტერესდება. ასეთ შემთხვევაში, ეს კლუბები მხოლოდ სახელმწიფოს კისერზე აღარ იქნებიან ჩამოკიდებულნი.

და კიდევ - ბიზნესი დაინტერესდება მხოლოდ კონკურენტუნარიანი ჩემპიონატით და ვეჭვობთ, საქართველო დღეს მზად იყოს უმაღლეს ლიგაში 16 გუნდის შესანახად. უმცროსი **ნოდარ ახალკაცის** ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ის ილუზია იყო, რომ 16-გუნდიან ჩემპიონატში მეტი ტალანტი გამოჩნდებოდა და მეტ გუნდში მეტი უკეთესი ფეხბურთელი გაიზრდებოდა. პირველივე რეფორმირებულ პირველობაზე აშკარად გამოიკვეთა სხვაობა ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის და ქართული ფეხბურთი ბიზნესისთვის კიდევ უფრო უინტერესო გახდა. ვფიქრობ, ჩვენივე შეცდომებზე მაინც უნდა ვისწავლოთ. ქართულ ფეხბურთს ხომ ბიზნესის ხელი ახლა ჰაერივით სჭირდება...

**მერაბ მამულაშვილი**



შეხვედრა წარსულთან

# არ-დავიწყება მოყვრისა...

*დასასრული. დასაწყისი ლელო №76. (02.04.2010)*

დარწმუნებული არ ვარ ჩემს კორექტულობაში, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო ბატონ ევგრაფისთან დაკავშირებული ორი ამბავი. „გურიას" გასვლითი თამაში აქვს ნალენჯიხაში, პირველი ტაიმი მოიგეს სტუმრებმა და სტადიონზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მთავარმა მსაჯმა **ნიკა ამირეჯიბმა** გადაწყვიტა, მეორე ტაიმში აღარ გასულიყო სამსაჯოდ. ცხადია, იყო ათასნაირი ხვეწნა, მუქარაც, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს გასახდელში შევიდა ბატონი ევგრაფი, რომელმაც ნიკას მიმართა - შვილო, ყველაფერში მართალი ხარ! აქ წარმოუდგენელია თამაშის ჩამთავრება, მაგრამ გთხოვ, ჩემს ხეიბრობას ეცი პატივი და მატჩი გააგრძელე, ყველაფერზე მე ვილებ პასუხისმგებლობასო. ნიკა ამირეჯიბმა ისევ ჩაიცვა სამჯსაო ფორმა და გააგრძელა თამაში, რომელიც მშვიდობიანად დასრულდა, არავითარი ექსცესები სტადიონზე! შემდგომში ნიკა ხშირად ამბობდა - ნეტავი, სხვანაირად როგორ უნდა ეთხოვა ბატონ ევგრაფის, რომ თამაში გამეგრძელებინაო...

ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. „გურიას" გასვლითი თამაში ჰქონდა სამტრედიაში. წინა დღეს ბატონმა ევგრაფიმ დამირეკა და მითხრა: შვილო, მამაშენი როგორ არის, დიდი ხანია, აღარ შევხმიანებივარ, ამ საქმეს მე და ვასო მოვუვლით, შენთან კი ასეთი სათხოვარი მაქვს - ვიცი, ხვალ სამტრედიაში ისეთი მსაჯობა იქნება, რომ ამ თამაშს გადავყვები, გული გამისკდება და მხოლოდ ერთს გთხოვ - დამდე პატივი და ჩემს დასაფლავებაზე აუცილებლად ჩამოდიო!

 აი, ასეთი ფორმით იცოდა რაიმეს თხოვნა ცხონებულმა ევგრაფი შევარდნაძემ. წერილმა მინორული ხასიათი მიიღო და, ცოტა რომ გავმხიარულდეთ, ასეთ ამბავსაც მოგიყვებით. ეს ოზურგეთში მოხდა. მთელი კვირის განმავლობაში სამსახურში არ გამოცხადდა ავტოსაწარმოს მძღოლი. ყველას რომ უგზოუკვლოდ დაკარგული ეგონა, გამოჩნდა, მაგრამ არ თქვა, სად იყო. მოიწვიეს კრება და ერთ-ერთმა ფარისეველმა საწარმოს უფროსს, ცნობილ საფეხბურთო მეცენატს ბატონ **ვაჟა ჭყონიას** მოახსენა, რომ მძღოლი მოსკოვში იმყოფებოდა „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" მატჩის საყურებლად და მოითხოვა დამნაშავის მკაცრად დასჯა. განრისხებულმა ვაჟამ კრებაზე დაგმო მძღოლის უპასუხისმგებლო საქციელი და იქვე ბულალტერს დაავალა... სასწრაფოდ აენაზღაურებინათ უდისციპლინო მძღოლისათვის მოსკოვური ხარჯები.

დიახ, ასეთი ამბებიც ხდებოდა გურიაში. საკავშირო პირველობაზე წლების განმავლობაში გამოდიოდა ოზურგეთის „მერცხალი", რაშიც დიდია **ზაზა და დუდე მასხულიების, მიშიკო გორდელაძის, თემურ გრძელიშვილის, გიგა ნორაკიძის, იურა ჩხაიძის, ზორბეგ ებრალიძის, ნიკა ამირეჯიბის, რეზო ცერცვაძის, ავთანდილ თადუმაძის, სოსო გაგუას, ოთარ კიშინსკის, კოტე გოგიტიძის, ბახვა გიორგაძის, ოტია კილაძის** დამსახურება. ჩოხატაურში - **დორმინდო ჩხიკვაძის, გოგი ჩანტლაძის, ვახტანგ ზამბახიძის და გრიშა თოდრიას** წვლილი...

საქართველოს დანარჩენ მხარეებს შეიძლება მსგავსი წარმატებები არ ჰქონიათ, მაგრამ ყველა ქალაქსა და რაიონში ბევრს შეჰქონდა მოკრძალებული წვლილი საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში. როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ გორიდან - **გურამ გაბუნია, ლურიკ ლოლაძე, გოგი მეყანწიშვილი, თენგიზ ბურჯანაძე, კობა თურაზაშვილი, ედიკ კოშკაძე**... ხაშურიდან - **გრიშა ჯომართიძე, ვახტანგ ჩიქოვანი, კარლო ხვედელიანი, ბუდლუ კიკნაძე, გია რევაზიშვილი, ნოდარ ქურდაძე, ჯემალ ანთიძე, ნოდარ ნოზაძე, ვოვა ხაჩიძე, თემურ კობერიძე, გია ლამბაშიძე**... ბორჯომიდან - **ვანო მეტრეველი, ეფიმ გედელმანი, ანზორ საფაროვი სამსონ გუგუბერიძე, ჯემალ ზეინკლიშვილი, თემურ ბორტიშვილი**...

ანყურში განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა მეურნეობის დირექტორის, ბატონ **ნიკიფორე სარჯველაძის** საქმიანობა. მან სოფელში მშვენიერი 3000-ადგილიანი სტადიონი ააშენა და მისი „სამცხე" წლების განმავლობაში საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. გარკვეული წვლილი მიუძღვის საფეხბურთო საქმიანობაში მის ვაჟს **ნუგზარ სარჯველაძეს.**

კოლორიტული ფიგურა გახლდათ ახალქალაქელი **მოსკვა.** ვერავინ გავიხსენეთ მისი გვარი იმიტომ, რომ ის ყველგან „მოსკვად" მოიხსენიებოდა. მოსკვა მისი ოფიციალური სახელი იყო, შვილს კი ასევე ოფიციალურად **ლენინგრადი** ერქვა. მინდოდა გამეგო, დღეს რას საქმიანობს მამაშვილი, ისიც მაინტერესებდა, ლენინგრად მოსკოევიჩი დღეს პეტერბურგ მოსკოევიჩი ხომ არ გახდა, მაგრამ ვერავის მივაწვდინე ხმა ახალქალაქში. აქვე უნდა გავიხსენოთ **კიმა ოვანოლლიანი,** ასპინძელი **ვასიკო ცინცაძე,** დუშელები - **აბესალომ იორდანიშვილი, ირაკლი მაისურაძე, გია პაპიაშვილი, ლომარ კობიაშვილი, გურამ ბუჩაშვილი,** თიანეთიდან - **ალიკო შენგელია,** მცხეთელები - **ვლადიმერ კაპანაძე, ჟანკლოდ კობიაშვილი, მერაბ ხუცურაული, ვიტალი გრძელიშვილი,** კასპიდან - **ავთო ჯალალი,** რუსთავიდან - **კარლო ნაჭყებია, ოთარ ჯებაშვილი, კოსტია ნაზაროვი, გურამ ქოჩიაშვილი, ცაცო ადამოვი, სილაგაძე, მამული ჩაჩავა**... თელაველები - **ალბერტ სახიევი, გურამ გომელაური, ლენტო ესიტაშვილი, რობერტ სუხიტაშვილი, შურა თარხნიშვილი, ნოშრე და ჯიმშერ კაციტაძეები, გოჩა როსტომაშვილი**... გურჯაანში - **ანზორ ჭუჭულაშვილი, ლავრო აბრამიშვილი, ალიოშა არევაძე, ვახტანგ ჯაჯანიძე, გივი ყალაბეგაშვილი.**

ბოლნისში აღიზარდნენ და შემდეგ თბილისის „დინამოში" ბრწყინავდნენ **თეიმურაზ სტეფანია, ვახტანგ რეხვიაშვილი, ფირუზ რეხვიაშვილი,** მათ დაკვალიანებაში კი დიდი შრომა აქვთ ჩადებული **ომარ უგრეხელიძეს, მურთაზ კორძაძეს, ანზორ გიგინეიშვილს, გილანი ჯაფარიძეს,** ძმებს **ზურა და მერაბ ჯაფარიძეებს, როლანდ (ლოქო) ისიანს**... გარდაბნიდან გამოვყოფდით - **სოლომონ ხელაშვილს,** საგარეჯოდან - **ვალიკო ოდიკაძეს, რეზო გოცირიძეს და ალიოშა კვერნაძეს,** ყვარლიდან - **თემურ წიწრიაშვილს, ალიკო ლონიაშვილს,** ახმეტიდან - **ნიკო ფედოტოვს, თამაზ მათიაშვილს,** ლაგოდეხიდან - **ჯემალ ჯიბლაძეს, ანზორ იობაშვილს, ნოე მახაშვილს,** სიღნაღიდან - **თეიმურაზ ბეჟაშვილს, თამაზ ბეჟანიშვილს.**

საინტერესო საფეხბურთო ცხოვრება იყო სამაჩაბლოში. აქაური ბიჭები წარმატებით თამაშობდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდში, ხოლო **გურამ ცხოვრებოვის, ბახვა თედეევის, ნოდარ პაპელაშვილის, ინალ ჯიოევის** სახელები ყველასთვის კარგად იყო ცნობილი. ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ **იგორ ძაგოევი, ჩიტო კოზაევი, გურამ ცხოვრებოვი, ზაურ კალოევი, ალან ჯიჩოევი, ჯუმბერ მეტრეველი, ჩაფი, ოთარ მარგიევი, ვალერი გაზაევი, ვალერი კოზაევი,** სპორტკომიტეტის თავმჯდომარეები - **ახსარ თედეევი და იურა სლანოვი,** განათლების მინისტრი **ფატიმა ფუხაევა.** ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაღდი ქართველი პატრიოტი კაცის **ფაცო ნასუაშვილის** დამსახურება. მისი დიდი მეცადინეობის შედეგად 1990 წლიდან 2008 წლამდე საქართველოს ჩემპიონატში, ცხინვალის „სპარტაკის" შემადგენლობაში თამაშობდნენ სამაჩაბლოელი ოსი ბიჭები.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ თბილისელი მწვრთნელები, რომლებსაც თვეობით ჰქონდათ სახლ-კარი მიტოვებული. აი, მათი სამუშაო ადგილები: **ანდრო ჟორდანია** - ქუთაისი, ტყიბული; **გიგა ნორაკიძე** - სოხუმი, ქუთაისი, გორი, ტყიბული, ოზურგეთი; **გოგი ანთაძე** - ბათუმი, ფოთი, ხაშური, ტყიბული; **ციტო ვარდიაშვილი** - გურჯაანი; **თენგიზ კუბლაშვილი** - ბოლნისი; ნიკა ამირეჯიბი - ოზურგეთი, ხაშური, სამტრედია, სოხუმი; **კუკური გიორგობიანი** - ახალციხე; **უშანგი ფურცელაძე** - მცხეთა, გარდაბანი; თამაზ ბეჟანიშვილი - სიღნაღი; შალვა კაკაბაძე - ლანჩხუთი; ბორის (ფარვიზ) ჭელიძე - ტყიბული, თელავი; **სპარტაკ შარაშენიძე** - ჩოხატაური; ჯემალ ანთიძე - ხაშური; **ილია მჭედლიშვილი** - ნალენჯიხა; **ვაჟა ბარათაშვილი** - ნალენჯიხა, სამტრედია; **შოთა ქეიშვილი** - ბათუმი; **ანზორ გრძელიძე** - ვანი, გალი, ბოლნისი, ნალენჯიხა; **ალბერტ (ბაჩუკი) ბაჩუკაშვილი** - ჩხოროწყუ; **ვახტანგ (დუკა) რამიშვილი** - ქუთაისი, ბათუმი; **ნესტორ ჩხატარაშვილი** - ბათუმი, რუსთავი; **რეზო მახარაძე** - რუსთავი; **მიხეილ მინაევი** - რუსთავი; **დოდიკ ხუნდაძე** - თელავი, გურჯაანი ხაშური; **თემურ ცერცვაძე** - თელავი; **ოთარ გეგეჭკორი** - ახალციხე; **რეზო კავსაძე** - რუსთავი; **გურამ აკობაშვილი** - ნინოწმინდა, **გურამ გომელაური** - თელავი; **თემურ მახარაძე** - თელავი; **მიშა პირაევი** - გურჯაანი; **მიშა ჯოჯუა** - ზუგდიდი; **ჯონი ჯანელიძე** - ფოთი; **ომარ (მანუჩარ) გუგუშვილი** - ყვარელი; **ვაჩი ჯორბენაძე** - ანყური; **რუიზა ტაბუცაძე** - ასპინძა; **ალიოშა კოტრიკაძე, გიორგი ბაქანიძე** - (ორივე - ლანჩხუთი); **სოსლან ნავროზაშვილი** - ყვარელი; **რობერტ ჭანჭალეიშვილი** - გორი.

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელები და მწვრთნელები, თავისი საქმიანობის მიხედვით, ოფიციალურად არ იღებდნენ ხელფასს, ამიტომ ისინი სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში იყვნენ გაფორმებულები. ზოგი მეშახტე იყო, ზოგი - მეჩაიე, მეღვინე, რიგითი კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა ან მილიციონერი, მძღოლი და ა.შ. ამ კორუფციულ საქმეს კი ადგილებზე ან მილიციის უფროსები კურირებდნენ, ან სულაც თავად რაიკომის მდივნები.

მახსენდება ერთი შემთხვევა: ხაშურის რაიკომის მდივანმა **დურმიშხან მალალაშვილმა** შეკრიბა წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობის დირექტორები და ადგილობრივ „ივერიაში" მომუშავე მწვრთნელებისა და თითო მოთამაშის „შენახვა" დაავალა. მამაჩემი მაშინ ერთ-ერთი მეურნეობის დირექტორი იყო და როდესაც მისი ჯერი დადგა, მან მდივანს უთხრა: 25 წელიწადია, ერთ ფეხბურთელს ვინახავ (მე ვყავდი მხედველობაში) და სხვის შენახვას ნუღარ დამავალებო.

არაფერი გამოუვიდა მამაჩემს და წლების განმავლობაში ორი ფეხბურთელის შენახვამ მაინც მოუწია.

ცნობილია, რომ ცხოვრება დროის მიხედვით წარმოშობს ახალ-ახალ მოთხოვნებს და მათ დასაძლევად ჰქმნის წესებსაც. იმდროინდელი საფეხბურთო პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მაშინდელი ცხოვრების წესით იყო შესაძლებელი.

**დათო კვინიკაძე**

> „გურიას" გასვლითი თამაში აქვს ნალენჯიხაში, პირველი ტაიმი მოიგეს სტუმრებმა და სტადიონზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მთავარმა მსაჯმა ნიკა ამირეჯიბმა გადაწყვიტა, მეორე ტაიმში აღარ გასულიყო სამსაჯოდ. ცხადია, იყო ათასნაირი ხვეწნა, მუქარაც, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს გასახდელში შევიდა ბატონი ევგრაფი, რომელმაც ნიკას მიმართა - შვილო, ყველაფერში მართალი ხარ! აქ წარმოუდგენელია თამაშის ჩამთავრება, მაგრამ გთხოვ, ჩემს ხეიბრობას ეცი პატივი და მატჩი გააგრძელე, ყველაფერზე მე ვილებ პასუხისმგებლობასო.

ლეგიონის უქმეები



მარცხნიდან: ლევან კობიაშვილი, ფრიდჰელმ ფუნკელი და არნე ფრიდრიხი

# ოთხი გოლი, სერიოზული ტრავმა და ჩხუბი

## ხიზანიშვილმა პრემიერლიგა დაისახა

**ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგმა" ორჯერ მოასწრო თამაში, შაბათს „როიალსი" „იფსვიჩს" ესტუმრა და 2:1 დამარცხდა, გუშინ კი ჩვენებურის გუნდმა 3:0 გაანადგურა „ქოვენთრი". პირველ მატჩში ჩვენებურმა სასტარტოში ითამაშა. პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძელი **ჯონ უოლტერსის** გასროლას ხიზანიშვილმა ოდნავ უცვალა მიმართულება და კარში შევარდა. ჩვენებურმა იმდენად მცირედ შეცვალა ტრაექტორია, რომ ის ავტოგოლის ავტორად არ ჩათვალეს. თამაშში იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, როცა ჩვენებური ყურადღების ცენტრში მოექცა, **დევიდ ნორისი** საჯარიმოში შეიჭრა, მას ქართველი მცველი დახვდა და ფორვარდი წაიქცა... მსაჯმა შეხვედრა შეაჩერა და ნორისს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი მისცა. ისე, იფსვიჩთან" მატჩში სტუმართაგან ყველაზე მეტჯერ (3) სწორედ ქართველი მცველი დაჯარიმდა. „ქოვენთრისთან" შეხვედრაშიც ზურაბმა შეუცვლელად ითამაშა. „რედინგს" 55 ქულა აქვს და ჩემპიონშიპის ცხრილის შუაშია. თავად ქართველი კი არ კარგავს პლეი ოფში მოხვედრის იმედს: *„პლეი ოფი ჩვენი მიზანია და დარჩენილ 7 მატჩში ყველაფერს გავილებთ, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ. ხუთიექვსი მატჩის მოგება ამ მიზანს რეალობად გვიქცევს"*, - განაცხადა ხიზანიშვილმა.

ქართველთა „ლე მანმა" ფრანგულ ლიგა 1-ში სიკვდილ-სიცოცხლის მატჩი წააგო სტუმრად „სენტ ეტიენთან" - 0:2. ახლა „ლე მანს" სასწაულილა თუ იხსნის დაქვეითებისგან, გუნდი 21 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და სამშვიდობოს მყოფ „სენტ ეტიენტთან" უკვე 11 ქულა აშორებს. სტუმართა კარში კვლავ **დიდიე ოვონო** იდგა, ხოლო **გიორგი მაკარიძე** სათადარიგო იყო. **ამირან სანაია** განაცხადშიც კი არ ყოფილა.

სერია A-ში მორიგი გამარჯვება იზეიმა **კახა კალაძის** „მილანმა", რომელმაც სტუმრად 3:2 მოუგო „კალიარის". საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უცქირა. „მილანი" 63 ქულით მე-3 ადგილზეა და ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებს.

### რაც კობი მივიდა...

**ლევან ყენია** სრული დატვირთვით ვარჯიშს დღე-დღეზე შეუდგება, მის გარეშე მოთამაშე „შალკემ" კი „საჩემპიონო" მატჩი დათმო მიუნხენის „ბაიერნთან" - 1:2. ყენიას გუნდი 58 ქულით მე-2 ადგილზეა. **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" ჯერჯერობით ისევ ბოლოა, მაგრამ ბოლო დროს ბერლინელთა თამაში იმედის საფუძველს გვაძლევს. „ჰერტა" 22 ქულით ბოლოა, 29-ე ტურში კობიაშვილმა და კომპანიამ სტუმრად 3:0 მოუგო „კიოლნს". ლევანმა მისთვის ბუნდესლიგის 301-ე მატჩში შეუცვლელად ითამაშა. „შპორტალისგან" მან 3 ქულა დაიმსახურა: *„მისი ტრანსფერი ერთ-ერთი მიზეზია „ჰერტას" სახეცვლილებისა. ამ მატჩში მან ბევრი სამუშაო გასწია, რაც თვალისთვის შეუმჩნეველია. ის ყოველთვის საუკეთესოდ არჩევდა პოზიციას"*, - წერს „შპორტალი".

>> მე-6 გვერდზე



ლეგიონის უჟმები

# ოთხი გოლი, სერიოზული ტრავმა და ჩხუბი

« მე-5 გვერდიდან



მარცხნივ - გიორგი მერებაშვილი

მეორე ბუნდესლიგაში **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" ბერლინში „უნიონს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. გუნდის ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. 21-ე წუთზე მან დიდებული პასით გაიყვანა თანაგუნდელი დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა კარს ააცილა. ჩვენებურმა 3,5 მიიღო. „კარლსრუე" 35 ქულით მე-14 ადგილზეა.

„მიუნხენი" შინ „ენერგისთან" 1:2 დამარცხდა. **მათე ღვინიანიძემ** 90 წუთი ითამაშა. მათეს პირველ გაშვებულ გოლში ადანაშაულებენ, თუმცა რომ არა ის, 78-ე წუთზე მესამე გოლიც გავიდოდა „ლომთა" კარში, ღვინიანიძემ თავით კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. ჩვენებურს ყველაზე დაბალი შეფასება დაუწერეს გუნდში - 5. „მიუნხენი" 41 ქულით მე-7 ადგილზეა.

## დევდარიანის ტრავმა

დანიური სასლიგიდან ვერ გვაქვს კარგი სიახლე - „ორჰუსი"-"რანდერსის" მატჩის მე-11 წუთზე თავდამსხმელთა უკან მოთამაშე **დავით დევდარიანმა** ტრავმა მიიღო და მატჩის გაგრძელება ველარ შეძლო, ის მე-16 წუთზე შეცვალეს. დევდარიანმა კარგად დაიწყო თამაში, ორი-სამი კარგი პასიც გააკეთა და... სავარაუდოდ, ჩვენებურის ტრავმა სერიოზულია. მატჩი 0:0 დასრულდა, „ორჰუსი" 32 ქულით მე-8 ადგილზეა. რანგით მე-2 ვიასატლიგაში, **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი" „ნაესტვედს" ესტუმრა და 1:0 მოუგო. გიორგი ფოფხაძე სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო შემადგენლობაში. მან ტრავმა მოირჩინა, მაგრამ მხოლოდ სათადარიგო იყო.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნომ" სტუმრად 4:1 მოუგო „ბოჰემიანს" და ადგილი გაუცვალა ცხრილში, ახლა „კლადნო" 17 ქულით ბოლოსწინაა. „კლადნომ" ერთი გამოკვეთილი ფორვარდით (ტატანაშვილი) ითამაშა, მაგრამ ჩვენებურმა თავი ვერ გამოიჩინა, ერთხელ კი მეკარესთან პირისპირ გასულს ბოლო მომენტში დარტყმა მცველმა არ დაანება.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში „შტურმის" ძირითადს დაუბრუნდა **ილია კანდელაკი**. ქართველის გუნდი შინ „კაპფენბერგს" დაუზავდა - 1:1. ილიამ შეუცვლელად ითამაშა. „შტურმი" 48 ქულით მე-4 ადგილზეა.

სერბეთში **გიორგი მერებაშვილის** „ვოივოდინამ" გამარჯვების გემო გაიხსენა და შინ 2:0 მოუგო „ბორკას". ქართველი შემტევი 92-ე წუთზე შეცვალეს. მე-20 წუთზე ჩვენებურს ლამაზი სოლოგარღვევა წამოუწყია, რომელიც „ვოივოდინას" ოფიციალურმა საიტმა მატჩის საუკეთესო მომენტად შერაცხა. „ვოივოდინა" 33 ქულით მე-5 ადგილზეა. ბოსნიაში **ლევან კუტალიას** „სლავიამ" 2:0 მოუგო „რუდარს", ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. „სლავია" 26 ქულით მე-11 ადგილზეა. ბერძნულ სუპერლიგაში აღდგომის დღესასწაულის გამო ტური არ გამართულა, ისევე როგორც არ უთამაშიათ კვიპროსში.

უნგრულ შოპრონილიგაში ქართველთა „დიორი ეტო" „ჰონვედს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. სტუმართა სასტარტოში ერთი ქართველი იყო, **რატი ალექსიძე** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა მატჩს (რატის 5 გოლი აქვს ჩემპიონატში გატანილი) და მის ადგილს **ვახტანგ ფანცხავა** იკავებდა (შეფასება - 4). შესვენების შემდეგ ფანცხავა გაიყვანეს, ხოლო მოედანზე ვიხილეთ **გიორგი განუგრავა** (შეფასება - 5). „ეტო" 38 ქულით მე-4 ადგილზეა.

მეორე დივიზიონში მოთამაშე „ეტო II" შინ „კოჟარმიშლენის" დაუზავდა - 1:1. ამ შეხვედრაში 90-90 წუთი ითამაშეს **თოთაძემ** და **შარაშენიძემ**, შეცვლაზე შევიდა **ლორთქიფანიძე**.

## ნალჩიკი ქართული გოლებით იგებს

რუსეთის ჩემპიონატს 4 ტურის შემდეგ მოულოდნელი ლიდერი ჰყავს, სამი ქართველი ლეგიონერის „სპარტაკი", ნალჩიკელებს 10 ქულა აქვთ და 2-2-ით უსწრებენ უახლოეს მდევრებს. ნალჩიკში „სპარტაკმა" 5:2 გაანადგურა „როსტოვი". მატჩის მე-4 წუთზე შესანიშნავი დარტყმით ცაციათი ანგარიში გახსნა **დავით სირაძემ**, რომლისთვისაც ეს პირველი გოლია ჩემპიონატში. სირაძე 84-ე წუთზე შეცვალეს, მან 6,5 ბალი შეფასება დაიმსახურა. 52-ე წუთზე პენალტით გაიტანა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** და ახლა „სპარტაკის" სამივე ქართველს აქვს სეზონში გოლი გატანილი. ამისულაშვილი 90 წუთი გაისარჯა და „ჩემპიონატისგან" 6 ბალი მიიღო. ასევე შეაფასეს **გოგიტა გოგუას** თამაში, რომელიც 73-ე წუთზე შეცვალეს.



დავით სირაძემ ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა

კიდევ ერთ მოსკოვურ დერბიში იმარჯვა „ლოკომოტივმა" - 3:2 მოუგო „დინამოს". **მალხაზ ასათიანმა** 90 წუთი ითამაშა და 6 ბალი დაიმსახურა. ჩემპიონი „რუბინი" „სატურნს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. „რუბინში" შემორჩენილმა ერთადერთმა ქართველმა **ლაშა სალუქვაძემ** სრულად ითამაშა (6 ბალი). კარგი სტარტი აქვს გროზნოს „ტერეკს" (8 ქულა). ჩეჩნურმა გუნდმა „კრილია სოვეტოვს" 2:0 მოუგო, მატჩის ბოლო 10 წუთი ითამაშა **ლევან გვაზავამ** და ამ ხნის განმავლობაში დასამახსოვრებელი ვერაფერი მოასწრო. „ტომისა" და „სპარტაკის" დაპირისპირებაში (2:2) პირველად მოხდა, რომ **ჯანო ანანიძეს** მოედანზე გამოსვლამ არ მოუწია. ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა „ანჟიმ", რომელმაც შინ 2:0 მოუგო „ალანიას". მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში ორი ქართველი იყო, **დავით კვირკველიამ** (6 ბალი) ბოლომდე ითამაშა, ხოლო **გოჩა ხოჯავა** (5,5) შესვენებაზე შეცვალეს, **ზურაბ არზიანი** (5) კი 63-ე წუთიდან ვიხილეთ. სათადარიგოები იყვნენ **ნუკრი რევიშვილი** და **გიორგი ილურიძე**. თუკი რევიშვილისთვის ეს მორიგი იმედგაცრუებაა, 17 წლის ილურიძისთვის რუსული პრემიერლიგის მატჩის განაცხადში კარიერაში პირველად მოხვედრა დიდი წარმატებაა.



რევაზ გენაძე (№19)

დუბლების ჩემპიონატში კვლავ ერთი ტაიმი ითამაშა **ნიკა ძალამიძემ** (ცსკა), „ანჟის" დუბლებში კი 30-ე წუთზე შეცვალეს **რევაზ ბარაბაძე**.

## რუსულს ისწავლის და...

უკრაინული ვიშალიგის 23-ე ტურში შედგა **უჩა ლობჟანიძის** დებიუტი. „დნიპრომ" 1:0 მოუგო „ზაკარპატიეს", ხოლო მასპინძელთა მარჯვენა მცველმა ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. თამაშის შემდეგ **ვლადიმირ ბესონოვს** შეეკითხნენ, თუ რა ნიშანს დაუწერდა ის ლობჟანიძეს სადებიუტო მატჩში: *„ოთხიანს. მან ჯერ რუსული არ იცის და თანაგუნდელებისა არ ესმის, რაც მის თამაშზე დალს ტოვებს, მას კარნახობენ, მაგრამ არ ესმის. საერთო ჯამში კი უჩამ ნორმალურად ითამაშა"*. დუბლების თამაშში ვიხილეთ **ბექა გოცირიძე**, რომელიც ძალზე სერიოზული ტრავმის შემდეგ ცდილობს ფეხბურთში დაბრუნებას. ბექამ 61 წუთი ითამაშა „დნიპროს" შემადგენლობაში.



დავით დევდარიანმა (მარჯვენივ) ტრავმა მიიღო

კიევის „არსენალთან" მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ფორვარდმა **ირაკლი მოდებაძემ** 73-ე წუთიდან ითამაშა, სტუმრებმა 0:2 დათმეს. **სანდრო გურულის** „კარპატი" ოდესის „ჩერნომორეცს" 1:1 დაუზავდა. გურული 69-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე, 24-ე წუთზე ბატისტამ ქართველის პასით გაათანაბრა. **გიორგი გაბედავას** „ილიჩევეცი" „ვორსკლას" ესტუმრა და 0:3 განადგურდა. გაბედავამ მატჩის ბოლო 15 წუთი ითამაშა. **ვასილ გიგიაძის** „ტავრია" ხარკოვში „მეტალისტს" დაუზავდა - 1:1. **სანდრო კობახიძის** „კრივბასმა" სტუმრად მოულოდნელი გამარჯვება იზეიმა, დონეცკის „მეტალურგი" 1:0 დაამარცხა, კობახიძე 64-ე წუთზე შეცვალეს. ქართველი ვეტერანი მატჩის 66-ე წუთზე შეცვალეს. ქართველთა გუნდების მდგომარეობა: 4. „დნიპრო" - 42 ქულა; 5. „კარპატი" - 38; 6. „ტავრია" - 37; 10. „მეტალურგი" - 26; 12. „ილიჩევეცი" - 22; 16. „კრივბასი" - 14.

ისრაელის ლიგატ ჰაალში თელ ავივის „ჰაპოელმა" სტუმრად 4:1 გაანადგურა რაანანას „ჰაპოელი". **ზურაბ მენთეშაშვილი** გამარჯვებულთა განაცხადშიც არ ყოფილა. ლეუმითლიგაში ამჯერად თავი ვერ გამოიჩინა **კოკა მიკუჩაძის** ბათ იამის „მაქაბი ირონიმ", რომელიც სტუმრად ბეერ შევას „მაქაბისთან" 0:1 დამარცხდა. სეზონში 15 გოლის გამტან ქართველ ფორვარდს ამ ტურში არ უთამაშია.

## ქართული გოლები და ისევ ჩხუბი

აზერბაიჯანში ორი ქართული გოლი გავიდა, თავი **გიორგი ადამიამ** და **გიორგი სეთურიძემ** გამოიჩინეს. ზედა ექვსეულში ბაქოური დერბი 1:1 მორჩა „ინტერსა" და „ბაქოს" შორის. **გიორგი ლომაიამ, გიორგი ნავალოვსკიმ** და **კახაბერ მჟავანაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო **დავით ოდიკაძე** მოედანზე 87-ე წუთზე შევიდა. „ინტერი" 23 ქულით ლიდერია. ადამიას „ყარაბახი" „ხაზარს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა და 62-ე წუთზე გაიტანა. „ყარაბახი" 16 ქულით მე-4 ადგილზეა. „გაბალამ" კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზა გულშემატკივარს, ამჯერად სტუმრად 2:1 დაამარცხა „ნეფთჩი". „ნეფთჩის" რიგებში 90 წუთი ითამაშა **ვალერი აბრამიძემ** (გააფრთხილეს). სტუმართა შორის შეუცვლელად იყო მოედანზე **რევაზ გენაძე**, რომელსაც ამ შეხვედრაში მეტოქე გუნდის ფეხბურთელებთან ჩხუბი მოუვიდა. „ნეფთჩი" 16 ქულით მე-5 ადგილზეა, „გაბალა" 14 ქულით ზედა ექვსეულს ასრულებს.

ქვედა ექვსეულში ორი აუტსაიდერის დაპირისპირებაში „სტანდარდმა" 2:1 მოუგო სტუმრად „ქარვანს". არ უთამაშია მასპინძელთა ერთადერთ ქართველ ლეგიონერ **ალექსანდრე ინწკირველს**, სამაგიეროდ დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ მოედანს დაუბრუნდნენ **დავით ჭიჭველიშვილი** და გიორგი სეთურიძე, **ამირან მუჯირი** 65-ე წუთზე შევიდა. სეთურიძემ გამარჯვების გოლი 68-ე წუთზე გაიტანა. „სტანდარდი" 15 ქულით ბოლოსწინაა, „ქარვანი" 9 ქულით - ბოლო. ზაქათალაში „სიმურგმა" მინიმალური სხვაობით დაამარცხა „მუღანი" - 1:0. **კახა ჩხეტიანმა** და **დავით ბოლქვაძემ** 90-90 წუთი ითამაშეს, ხოლო **რომან ახალკაცი** 65-ე წუთზე გამოჩნდა. წაგებულთა შორის შეუცვლელად ითამაშა დავით სვანიძემ. „სიმურგი" 26 ქულით მე-7 ადგილზეა, „მუღანი" 17 ქულით მე-10-ეა. **ნუგზარ კვირტიას** „ოლიმპიკმა" 4:1 გაანადგურა „თურანი", კვირტია 70-ე წუთზე შეცვალეს.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში „დაჩია" და „შერიფი" 0:0 დაზავდნენ. ქართული დუელი არ შედგა, **ვასილ ლუჭაშვილს** არ უთამაშია, სტუმართა შორის კი ტრადიციულად 90 წუთი გაისარჯა კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი**. „შერიფი" 60 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „დაჩია" 47 ქულით მესამეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ



ხოსეპ გვარდიოლასა და არსენ ვენგერს საკადრო პრობლემები აქვთ

# იფიქრე, არსენ!

## ბარსელონა სულ სხვა დაცვით და იბრას გარეშე!

### ბარსელონა-არსენალი

*პირველი მატჩი 2:2*

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ბარსელონა" ამ მატჩში მხოლოდ იმის გამოა აშკარა ფავორიტი, რაც ერთი კვირის წინ, ლონდონის „ემირეითსზე" „არსენალს" პირველი 20 წუთის განმავლობაში გაუკეთა. თუმცა ლონდონურმა კლუბმა ის შეხვედრა როგორღაც გადაარჩინა და არ წააგო - შესაბამისად, დღეს ყველაფერი თავიდან იწყება.

მაინც რისი იმედი უნდა ჰქონდეს ლონდონურ კლუბს? იქნებ იმის, რომ ხანდახან დიდ გუნდებსაც ჩაუვარდებათ ხოლმე ერთი მატჩი? ან იქნებ ზუსტად ისეთი იღბალის, როგორიც „მეთოფეებს" პირველი მატჩის პირველ 20 წუთში ჰქონდათ? და თუნდაც იმის, რომ **არსენ ვენგერი** არის მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია, თავის შეგირდებს შეცდომებზე ბევრი რამ ასწავლოს და ისე ათამაშოს „კამპ ნოუზე", რომ კატალონიური გრანდის გულშემატკივრები სახტად დარჩნენ?

რას მოიფიქრებს ვენგერი დღევანდელი მატჩისთვის, ამას მხოლოდ სალამოს გავიგებთ და მარჩიელობა არც ღირს. სხვა მხრივ, ფაქტი ის არის, რომ ლონდონელებმა „ბარსასთან" შინ 2:2 ითამაშეს, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად, დიდი ანგარიშით უნდა წაეგოთ. თუმცა ყველაზე მთავარი ანგარიშია და ანგარიშის მიხედვით კი, „არსენალს" ჯერაც აქვს ნახევარფინალში გასვლის შანსი.

*„ბარსელონა" მსოფლიოში ყველაზე მაგარი გუნდია, რაც პირველ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა,* - აღიარებს ვენგერი, - *მაგრამ მინდა ყველას შევახსენო, რომ არც „არსენალია" სუსტი კლუბი. სუსტები თუნდაც იმიტომ არ ვართ, რომ მიუხედავად იმ ქარიშხლისა, რაც „ბარსამ" თავს პირველი მატჩის პირველ 20 წუთში დაგვატეხა, მაინც მოვახერხეთ მატჩში გარდატეხის შეტანა და ფრე გადავარჩინეთ. ვფიქრობ, ჩვენი შანსი იმაში მდგომარეობს, რომ უბრალოდ ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, თანაც, აბსოლუტურად თავისუფლად. ჩემი შეგირდების სათანადო მოტივირებას ვეცდები და იმედი მაქვს, ეს გამომივა კიდეც!"*

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი დაპირისპირების წინ, ორივე გუნდს საკადრო პრობლემები აქვს. **რამზი, გიბსი, ჯურუ, ვან პერსი, გალასი** - ვენგერს ბევრი საჭირო ფეხბურთელი აკლია. მაგრამ „არსენალის" უმთავრესი პრობლემა მაინც **სესკ ფაბრეგასის** არყოფნაა, რომელმაც ერთი კვირის წინ ფეხი მოიტეხა.

საკადრო პრობლემები „ბარსელონასაც" არ აკლია. დაცვის ორი ბურჯი, **კარლეს პუიოლი** და **ხერარდ პიკე** დისკვალიფიცირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ **პეპ გვარდიოლას** უკანა ხაზის ცენტრის შეცვლა მოუწევს. პუიოლისა და პიკეს ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში დღეს **რაფაელ მარკესი** და **გაბრიელ მილიტო** უნდა ვიხილოთ.

გვარდიოლას ყველაზე დიდი პრობლემა კი ის არის, რომ მას დღეს მთავარი თავდამსხმელის, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში, „არსენალს" ორივე გოლი სწორედ შვედმა გოლეადორმა გაუტანა. იბრაჰიმოვიჩი ამ უქმეებზე, „ბილბაოსთან" მატჩის წინ დაშავდა. დღეს შვედი ნამდვილად ვერ იასპარეზებს. ეს კი არა, დიდი შანსია, შაბათს „რეალთან" სეზონის უმნიშვნელოვანეს ჯახშიც ვერ მიიღოს მონაწილეობა. დაშავებულია იაია ტურეც და დღეს სალამომდე, შეიძლება, ვერც **ანდრეს ინიესტამ** მოასწროს გამოჯანმრთელება.

*„მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია, იმედი მაქვს, რომ კარგად ვითამაშებთ და ნახევარფინალში გავალთ. მჯერა, დანაკლისის კომპენსირებას ჩვენი გულშემატკივრები შეძლებენ. „არსენალთან" საპასუხო მატჩი ამ სეზონში აქამდე ჩატარებულ თამაშებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია,"* - განაცხადა გვარდიოლამ გუშინ, მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ უქმეებზე კატალონიელებმაც მოიგეს და ლონდონელებმაც. თუკი „ბარსამ" „ბილბაო" 4:1 გაანადგურა, ლონდონური კლუბი „ვულვზთან" მხოლოდ 1:0-ს დასჯერდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, გ. მილიტო, მარკესი, აბიდალი - ტურე, ჩავი, კეიტა - მესი, კრკიჩი, პედრო.

**არსენალი (4-3-3):** ალმუნია - სანია, ვერმალენი, კემპბელი, კლიში - სონგი, დენილსონი, დიაბი - უოლკოტი, ბენდტნერი, ნასრი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### ცსკა-ინტერი

*პირველი მატჩი 0:1*

მოსკოვის ცსკა არსებობის ისტორიაში პირველად თამაშობს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და რუსებმა, „ინტერთან" პირველივე მატჩში, „სან სიროზე" დაამტკიცეს, რომ ისეთ გრანდთან ბრძოლაც ეხერხებათ, როგორიც მილანური კლუბია. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოსკოვურ კლუბზე მეტს ვერაფერს ვიტყვით - მხოლოდ ბრძოლა. თანაც, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, „ინტერს" ძალიან რომ მოენდომებინა, ნაღდად ერთ გოლზე მეტს გაუტანდა. **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა ერთი კვირის წინ მხოლოდ ბოლო 20 წუთში მოინდომეს, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი დრო იმისათვის, რომ უფრო დიდი ანგარიშით მოეგოთ. თანაც, შესანიშნავად თამაშობდა რუსების მეკარე **იგორ აკინფეევიც**.

საინტერესოა, რას დაუპირისპირებენ „არმიელები" „ნერაძურის" ბრძოლისუნარიანობის გარდა, რაც „ინტერის" უდიდესი პლუსიცაა. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რომ მხოლოდ ბრძოლაც კი „ინტერს" გაცილებით უკეთ გამოსდის. უნდა ავღნიშნოთ, რომ არც „ინტერია" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ხშირი სტუმარი. ბოლო სამი წელია, „ნერაძური" ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგას მერვედფინალში ეთიშება და წელს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, პირველად გავიდა მეოთხედფინალში და რაკი მეტოქეც გაცილებით იოლი შეხვდა, ვიდრე მერვედფინალში, სადაც მილანელებმა ლონდონის „ჩელსი" დაიფრინეს, მოურინიოს გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ნახევარფინალში გაალწიოს.

ცსკა-ს დღევანდელ მატჩში **მილოშ კრასიჩისა** და **ევგენი ალდონინის** გარეშე მოუწევს თამაში - ორივე ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია. ალდონინის რა გითხრათ, კრასიჩს კი ნამდვილად **ალან ძაგოევი** შეცვლის. „ინტერში" კი მთავარი სიახლე ის არის, რომ მოურინიომ განაცხადში დააბრუნა **მარიო ბალოტელი**, რომელზეც პორტუგალიელი სპეციალისტი განაწყენებული იყო. ბალოტელიმ შაბათს „ბოლონიასთან" მატჩში გოლი გაიტანა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ დღეს ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ამასობაში, **ლუსიომ** და **ტიაგო მოტამ** დისკვალიფიკაციები მოიხადეს და ასევე ბრუნდებიან. საინტერესოა ისიც, რომ მოურინიომ 23-კაციან განაცხადში არ შეიყვანა ახალგაზრდა იტალიელი მცველი **დავიდე სანტონი**. თუკი ჟოზე მოურინიო, დაცვის მარცხენა ფლანგზე **კრისტიან კივუს** გაამწესებს, ფაქტია, რომ **ხავიერ ძანეტის** საყრდენ ნახევარმცველად ვიხილავთ, მაგრამ თუ ჟოზეს ურჩევნია, რომ ამ პოზიციაზე **ტიაგო მოტამ** ითამაშოს, ასეთ შემთხვევაში კივუ სკამზე დაჯდება, მის ადგილს კი, დაცვის მარცხენა ფრთაზე ძანეტი დაიკავებს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შენნიკოვი - შემბერასი, რახიმიჩი - ძაგოევი, პონდა, გონსალესი - ნეციდი.

**ინტერი (4-2-1-3):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (ან ძანეტი) - ხ. ძანეტი (ან მოტა), კამბიასო - სნეიდერი - ბალოტელი, მილიტო, ეტოო.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ზენიტი ტიმოშჩუკს უარყოფს

სანკტპეტერბურგული კლუბი უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს მიუნხენის „ბაიერნიდან" უკრაინელი **ანატოლი ტიმოშჩუკის** შეძენას გეგმავდეს. არადა, ამის თაობაზე ბოლო დროს რუსულ პრესაშიც სისტემატურად იწერებოდა და - გერმანულშიც. რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა 8 აპრილს იხურება და არც იმას გამორიცხავდნენ, რომ ტიმოშჩუკი იქ ახლავე დაბრუნებულიყო.

შეგახსენებთ, 30 წლის ტიმოშჩუკი „ბაიერნში" გასული წლის ზაფხულში სწორედ „ზენიტიდან" გადავიდა, მაგრამ ბავარიელთა ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უკრაინელი თავიდან დამკვიდრდა **ლუის ვან გაალის** გუნდის სასტარტო თერთმეტეულში, მაგრამ დეკემბრიდან მოყოლებული, სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა. სულ ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში მან „ბაიერნის" მაისურით 18 მატჩი ჩაატარა, საიდანაც ძირითად შემადგენლობაში 11-ჯერ მოხვდა.

## ევროთასებზე 300 ათას ევროდ

მოლდოვურმა „ოლიმპიამ" ბიუჯეტის შევსების უნიკალურ გზას მიაგნო - კლუბმა მზადყოფნა გამოთქვა, ევროტურნირებზე საკუთარ შემადგენლობაში ათამაშოს ნებისმიერი ადამიანი, ვინც სანაცვლოდ დიდ თანხას გადაიხდის. „ოლიმპიამ" გუნდის ძირითად შემადგენლობაში ერთ ვაკანტურ ადგილზე ერთგვარი აუქციონი მოაწყო და ამის სანაცვლოდ მას ყველაზე დიდი თანხა, 300 ათასი ევრო 36 წლის ბრაზილიელმა ბიზნესმენმა **ვალდეს ეუსტაკიო პესოამ** გადაიხადა.

„ოლიმპიამ" ეს ინოვაცია უკვე დააპატენტა და მას საფეხბურთო ტურიზმი უწოდა. ბრაზილიელი მილიონერი გარკვეული ფორმალობების გავლის შემდეგ, „ოლიმპიას" განაცხადში მოხვდება და ევროთასებზე ამ ზაფხულს ითამაშებს. უეფას დებულებაში არ მოიძებნება ისეთი პუნქტი, რომელიც პესოას ევროტურნირებზე თამაშს აუკრძალავს. მოლდოველთა გამოგონებას მიმდევრები უკვე გამოუჩდნენ, ზუსტად კი იმის თქმა შეიძლება, რომ ამგვარ აუქციონს „ოლიმპია" ყოველწლიურად მოაწყობს.

## ანჩელოტი მანჩესტერს ქომაგობს

„ჩელსის" დამრიგებელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მანჩესტერს" გულშემატკივრობს. **კარლო ანჩელოტის** პოზიცია გასაგებია - თუ **სერ ალექსის** გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა განაგრძო, პრემიერლიგაში ბოლომდე ველარ დაიხარჯება, რაც „არისტოკრატებს" ინგლისის ჩემპიონობის შანსს გაუზრდის.

*„მანჩესტერი" „ბაიერნთან" განმეორებითი მატჩის წინ საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია - თამაში მოსაგები აქვს და ამისთვის ტრავმირებული უეინ რუნის გარეშე უნდა იბრძოლოს. რუნის გარეშე „იუნაიტედი" სულ სხვა გუნდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გერმანული ბარიერის გადალახვას მაინც შეძლებს. ამ შეხვედრაში „მანჩესტერს" ვუქომაგებ",* - ამბობს ანჩელოტი.

## რობენი გამორიცხული არაა



„ბაიერნს" მანჩესტერში **არიენ რობენიც** გაჰყვება, რომელმაც ტრავმის გამო „იუნაიტედთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩიც გამოტოვა და თავის გუნდს ვერც „შალკესთან" უმნიშვნელოვანეს ბუნდესლიგურ შეხვედრაში დაეხმარა. მართალია, ჰოლანდიელი ნახევარმცველის თამაში ახლაც საეჭვოა, მაგრამ მიუნხენელთა ექიმებს იმის იმედი მაინც აქვთ, რომ რობენი „ოლდ ტრაფორდზე" შეცვლაზე მაინც შევა. „ბაიერნთან" ერთად მანჩესტერში **დანიელ ვან ბუიტენიც** გაფრინდა. ბელგიელი მცველი „შალკესთან" პირველ ტაიმში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, თუმცა მისი ტრავმა სერიოზული არაა და წესით, ხვალ მოედანზე პირველივე წუთიდან უნდა იყოს.

## ნედვედი მარათონში

37 წლის **პაველ ნედვედმა** საკუთარი შესაძლებლობები პრაღის ტრადიციულ მარათონში მოსინჯა და არცთუ წარმატებულად - 21-კილომეტრიან დისტანციაზე, რომელშიც მონაწილეობა 9 ათასმა ადამიანმა მიიღო, ტურინის „იუვენტუსის" ყოფილმა ვარსკვლავმა 2113-ე ადგილი დაიკავა. მან აღნიშნული მანძილი საათში, 49 წუთსა და 44 წამში გაირბინა.

*„ეს საქმე ფეხბურთზე გაცილებით რთული აღმოჩნდა, მაგრამ საკუთარი გამოსვლით მაინც კმაყოფილი დავრჩი. შემდეგი მარათონი მაისში გაიმართება, მისთვის საგანგებოდ მოვემზადები და შევეცდები, იქ უკეთეს შედეგს მივაღწიო",* - უთხრა ნედვედმა ჩეხურ პრესას.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ისიარ დიამ ჩემპიონი დაამარცხა

# ჩემპიონის საჩუქარი კონკურენტებს

ჩემპიონმა და ან უკვე ყოფილმა ლიდერმა „ბორდომ", შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა კონკურენტებს - შინ „ნანსისთან" სენსაციურად წააგო 1:2. ამის შემდეგ ლიგა 1-ს 57-57 ქულით სათავეში „ლიონი", „მონპელიე" და „ოსერი" მოექცნენ. „ბორდო" დაკარგული ქულებითაც აღარ არის პირველზე, მას შემდეგ, რაც მას ქულებით „მარსელი" გაუთანაბრდა, რომელსაც ჩემპიონის დარად 29 მატჩი აქვს გამართული. საჩემპიონო დოლს კი, ალბათ, „ლილი" გამოაკლდა...

**ლორან ბლანი** დილემის წინაშე იყო თამაშის წინ, გუნდს ოთხშაბათს ძალზე მნიშვნელოვანი საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი აქვს ჩემპიონთა ლიგაში, ძირითადის ფეხბურთელებს კი დასვენება ესაჭიროებოდათ. მეორე მხრივ, ქულების დაკარგვა არაფრით შეიძლებოდა. ბლანმა მაინც გარისკა და **მარუან შამახი, ვენდელი** და **იაროსლავ პლაშილი** სკამზე დასვა. რისკმა არ გაამართლა. ჩემპიონი **ისიარ დიას** გოლმა დალუპა, სწორედ იმ დიასის, რომლის ჰეთ-თრიკის წყალობით წინა ტურში „ნანსიმ" „ლანსს" 5:1 გადაუარა. **იუსუფ ჰაჯის** გოლს მალე გოლითვე უპასუხა **ფერნანდო კავენაგიმ**. 72-ე წუთზე დიამ საოცარი სოლოგარღვევა მოაწყო, მოატყუა კერ **მატიო შალმე**, შემდეგ **ენრიკე**, ბოლოს კი გოლკიპერი **კარასო** - 1:2. პირველად მე-9 ტურის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატს „ბორდო" აღარ ლიდერობს!

**პაბლო კორეა** (ნანსი): *„დღეს ბრწყინვალე დღე იყო ჩვენთვის, შედეგი ხომ საოცარია, კიდევ უფრო საოცარი და სასიხარულოა, თუ როგორ მივაღწიეთ ამ სამ ქულას. ჩვენი დაცვის ხაზი იბრუნებს ძველებურ სოლიდურობას, რისი წყალობითაც გუნდს გავარდნა არ დამუქრებია. ისიარ დია ისე თამაშობს, რომ მალე მისი კლუბში შენარჩუნება გაგვიჭირდება. მან კარგად იცის, რომ თუ ჩვენს იმედებს გაამართლებს, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლაში ხელს არ შევუშლით".*

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„ძალიან სუსტად ვითამაშეთ, განსაკუთრებით დაცვაში. მთელ თამაშში ერთი პოზიტივი ვერ შევამჩნიე, ყველაფერს უარყოფითი კუთხით თუ შეაფასებ. ბიჭები მცირე კრიზისში არიან, მხოლოდ მათმა ნაწილმა შეძლო თავის კარგად წარმოჩენა. ახლა დიდი მონდომებით ველი „ლიონთან" საპასუხო მატჩს, ძალიან ბევრი ამ მატჩზეა დამოკიდებული, წარუმატებლობამ შეიძლება წელში გაგვტეხოს და საჩემპიონო ბრძოლაც დაგვათმობინოს".*

„ბორდოს" სეზონის ბოლომდე აღარ ეყოლება საყრდენი ნახევარმცველი **ფერნანდო**, რომელმაც მე-14 წუთზე თვალის ტრავმა მიიღო. ტრავმა მეტად სახიფათოა და შეიძლება ქირურგიული ჩარევაც გახდეს საჭირო. კუნთი დაიჭიმა სედრიკ კარასომაც, მაგრამ მეკარე „ლიონთან" შეხვედრისთვის მწყობრში იქნება.

ამ მოულოდნელობით ისარგებლა „ბორდოს" მეტოქემ ჩემპიონთა ლიგაში „ლიონმა" და სტუმრად „რენის" დამარცხებით ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგა. ლიგის საპასუხო მატჩის წინ „ლიონმა" იდეალური ფსიქოლოგიური უპირატესობა მიიღო „ბორდოზე". მე-15 წუთზე **ასამოა გიანმა** სეზონში მე-13 გოლით „რენი" დააწინაურა, მაგრამ შვიდი წუთის შემდეგ ბრაზილიელმა **ბაშტოშ ფერნანდეშმა** გათანაბრება შეძლო. მეორე ტაიმის შუაწელზე კი გამარჯვების გოლი არგენტინელმა **ლისანდრო ლოპესმა** გაიტანა და „ლიონს" ლიდერობა მოუტანა.

**ფრედერიკ ანტონეტი** (რენი): *„მაშინ, როცა თამაშის სადავეები ჩავიგდეთ ხელში, მეტოქისგან დასანანი გოლი გავუშვით. იგივე გამეორდა მეორე ტაიმშიც, როცა სტუმრებს ვაჯობებთ სწორედ მაშინ გაიტანა ლისანდრომ ჩვენს კარში. ვფიქრობ, ბოდმერის ტრავმამ იქონია მატჩის შედეგზე დიდი გავლენა, რადგან სწორედ ამის შემდეგ შეძლო ტულალანმა შუა ხაზში გაბატონება. სილვენ მარვოს რომ გამოეყენებინა ასპროცენტიანი საგოლე შანსი, თამაშს ჩვენ მოვიგებდით".*

**კლოდ პუელი** (ლიონი): *„არ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ წუთისათვის პირველ ადგილზე გადავედით. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მოგება „რენთან" მისსავე მოედანზე შევძელით. ახლა ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩემპიონობისთვის გაჩენილი შანსი არ გავანიავოთ. ეს შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ძალზე მნიშვნელოვანი მატჩის შემდეგ ჩატარდა, რაც ჩემს ფეხბურთელებს კიდევ უფრო ქების ღირსად ხდის. ოთხშაბათს სულ სხვა, განსხვავებული მატჩი იქნება, ძალიან მძიმე - თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ".*

„მონპელიეს" შინ რომ დაემარცხებინა „მონაკო", ერთპიროვნულად გალიდერდებოდა, მაგრამ მასპინძელთა შემტევებმა ვერაფერი მოუხერხეს მონეგასკთა გოლკიპერ **სტეფან რუფიეს**, რომელიც მატჩის გმირი გახდა - 0:0. მხოლოდ ერთხელ შეძლეს მასპინძლებმა მეკარის ჯობნა, **კამარამ** გაიტანა კიდეც, თუმცა ოფსაიდის გამო გოლი არ ჩათვლილა.

**რენე ჟირარი** (მონპელიე): *„ლილთან" მარცხის შემდეგ ძალიან ძნელი იყო თამაშზე კონცენტრირება. სიმართლე გითხრათ, დღევანდელი ფრით კმაყოფილი ვარ, რადგან ბოლოს სტუმრებს აშკარა საგოლე მომენტები შეექმნათ და რომ გაეტანათ, ამ ქულასაც წაგვართმევდნენ".*

**გი ლაკომბი** (მონაკო): *„ბიჭებს შემართებისთვის დიდ მადლობას გადავუხდი. პირველ ტაიმში პენალტი გვეკუთვნოდა, მაგრამ მსაჯმა არ დანიშნა".*

კვირას „მარსელმა" 1:0 დაამარცხა „ლანსი", არადა ჩემპიონობისთვის მებრძოლმა „მარსელმა" თამაში 10 კაცის ამარა ჩაამთავრა. გამარჯვების გოლი 22-ე წუთზე **ბრანდაომ** გაიტანა. თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე **სტეფან მბიამ** წითელი ბარათი მიიღო.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„გამარჯვების გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიტანეთ, საერთო ჯამში კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ რაც მთავარია, სამი უმნიშვნელოვანესი ქულა მოვიპოვეთ. ახლა ჩვენ „ბორდოს" გავუთანაბრდით, არადა, სულ ცოტა ხნის წინათ 11 ქულით გვისწრებდნენ".*

გაგაცნობთ „ეკიპის" 31-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებს შეფასებებითურთ: **რუფიე** (მონაკო, 8.0) - **ვარო** (სენტ ეტიენი, 7.0), **პერინელი** (ბულონი, 6.0), **ბუმსონგი** (ლიონი, 6.0), **დრამე** (სოშო, 6.0) - **ამალფიტანო** (ლორიანი, 7.0), **პიტო** (მონპელიე, 6.0), **ბერენგერი** (ნანსი, 7.0), **ბაშტოში** (ლიონი, 7.0) - **დია** (ნანსი, 8.0), **ჰაჯი** (ნანსი, 7.0).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## მომდევნო ტური

10 აპრილი. **ლე მანი-მონპელიე, ლანსი-ბულონი, ლორიანი-რენი, მონაკო-ვალანსიენი, სოშო-სენტ ეტიენი, ტულუზი-გრენობლი, პარი სენ ჟერმენი-ბორდო.** 11 აპრილი. **ლიონი-ლილი, ნანსი-ოსერი, მარსელი-ნიცა.**

## ბორდო-ნანსი 1:2

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - შალმე, ენრიკე, სიანი, ტრემულინასი - ფერნანდო (77. პლაშილი), დიარა - გუფრანი (77. ვენდელი), გურკუფი, ბელიონი (77. შამახი) - კავენაგი.

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - ლოტიე, სამი, ანდრე ლუისი, მარანჟი (85. ლემაიტრი) - ბერენგერი, ნდიაიე (77. მალონგა) - ბრიზონი, ფერე, დია - ჰაჯი (85. ბაკარი).

**გოლები:** 0:1 ჰაჯი (17), 1:1 კავენაგი (28), 1:2 დია (72)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 16-11 (4-1); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 29 985

## გრენობლი-ლორიანი 1:2

**გრენობლი (4-4-1-1):** მობლო - სოჟე, მარკი, ვიტაკიჩი, რობენი - კურტუა (65. ბოია), რომაო, ბატლე, მაცუი (82. ტადიჩი) - აკრური - ლიუბოია.

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, მორელი - დიუბაბრიე (61. ვაირუა), მვუემბა, დიუკასი (87. მანსური), დიარა (76. ფანშონი) - გამეირო, ამალფიტანო.

**გოლები:** 1:0 აკრური (3), 1:1 გამეირო (31), 1:2 ფანშონი (85)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 11-16 (1-5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 12 744

## ნიცა-სოშო 0:0

**ნიცა (4-2-3-1):** ოსპინა - აპამი, სიველი, პეისლი (71. სიდი), გასე - ეშუაფნი (82. დიგარი), ელბიკი - ტრაორე (67. ბენ საადა), ფაე, მუნიე - ბაგაიოკო.

**სოშო (4-2-3-1):** დრეიე - ფატი, პერკისი, ბრეშე, დრამე - პუჟოლი (90. კარლაო), გავანონი - ბუდებუზი, მარტინი, მორის-ბელაი - ბრაუნი.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14-8 (4-1); **ბურთის ფლობა:** 36%-54%.

**მაყურებელი:** 8 079

## რენი-ლიონი 1:2

**რენი (4-3-3):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემოანი (69. ლეროა), მვილა, ტეტეი (82. დანზე) - ბრიანი, ასამოა გიანი (80. კემბო-ეკოკო), მარვო.

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - გასამა (74. რეველიერი), ბოდმერი (43. ტულალანი), ბუმსონგი, ლოვრენი - პიანიჩი, გონალონსი, კალსტრიომი - ედერსონი, ლოპესი, ბაშტოში (79. დელგადო)

**გოლები:** 1:0 ასამოა გიანი (15), 1:1 ბაშტოში (52), 1:2 ლოპესი (61)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 10-19; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 6-15 (1-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 28 244

## სენტ ეტიენი-ლე მანი 2:0

**სტ. ეტიენი (4-4-2):** ჟანო - ვარო, დიახატე, ბენალუანი, დაბო - პერენი, ფერნანდესი, მატუიდი, პაიე - ბერხესიო (60. მირალიაში), რივიერი.

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, ანდრადე, სერდანი, ბაალი - გულონი (60. დოსევი), ტომასი - ლამა, აბდი, ტომერი (78. უალი) - მაიგა (72. ჰელსტადი).

**გოლები:** 1:0 ვარო (55), 2:0 ბენალუანი (75)

**გაძევება:** მირალიაში (83. სენტ ეტიენი)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 19-10 (9-1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 26 540

## ვალანსიენი-ლილი 1:0

**ვალანსიენი (4-2-3-1):** პენეტო - მატერი, ბიზევაცი, ანგუა, ბონგი - კოადი (60. გომისი), საესი (67. ბენ ხალფალაჰი) - დიუკურტუა, კადირი, დანიჩი (76. ოდელი) - სამასა.

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში (85. რ. კოშტა), რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი, მავუბა, კაბაიე (71. ობრანიაკი) - ჰაზარდი, ფრო (61. ტურე), ჟერვინიო.

**გოლი:** 1:0 სამასა (82)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8-11 (3-1); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 12 127

## მონპელიე-მონაკო 0:0

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, სპაჰიჩი, ალ-კაუტარი, ჟენშამი - მარვო, პიტო, კოსტა - კამარა, მონტანიო, აიტ-ფანა (75. ბელჰანდა).

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - ლოლო, მონგონგუ, პიუგრენიე, ტრაორე - პერესი, ნკულუ ნდუბენა - ალონსო, ჰარუნა (46. კუტადო), პინო - პარკი (89, მააზუ).

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 24-24; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 15-12 (6-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 19 675

## ბულონი-ტულუზი 1:1

**ბულონი (4-5-1):** ბედენიკი - ლეკონტი, პერინელი, დემბელე, რაბუელი - იატაბარე (76. კუვილიე), დიუკატელი, და როშა, კაპო, მარკი (83. რამარე) - ტილი (85. მუსილუ).

**ტულუზი (4-5-1):** ბლონდელი - კონგრე, სეტო (12. პერიე-დუმბე), ფოფანა, მბენგე - ბრაატენი, მაშადო (73. კაზიმ-რიჩარდსი), ბერსონი, ტაბანუ (60. ლუანი), დიდო - ჟინიაკი.

**გოლები:** 1:0 კაპო (36), 1:1 ბრაატენი (89)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-16 (2-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 150

## მარსელი-ლანსი 1:0

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, მბია, ჰაინცე - გონსალესი (67. ჰილტონი), სისე, კაბორე - ვალბუენა (68. აბრიელი), ბრანდაო, ბენ არფა (56. კონე).

**ლანსი (4-5-1):** რუნიე - ორიე, შელი, სარტრე, რამოსი - დემონი, რუდე, სოუ, ბედიმო (80. აკალე), მილოვანოვიჩი (65. ედუარდო) - ჟემაა (76. მაულიდა).

**გოლი:** 1:0 ბრანდაო (22)

**გაძევება:** მბია (75. მარსელი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-3 (3-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 54 839

## ოსერი-პსჟ 1:1

**ოსერი (4-4-2):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, მინიო (46. ბერტოლდი), გრიხტინგი - ოლიეჩი (66. კონტუტი), დუდკა, პედრეტი, ბირსა (75. კაპუე) - ნიკულაე, ჟელენი.

**პსჟ (4-4-2):** ედელი - ტრაორე, კამარა, სახო, არმანი - სესენიონი, მაკელელე, კლემანი, სანხარე (83. ნგოი) - ოარო (88. მორისი), ერდინგი (70. კეუმანი).

**გოლები:** 1:0 ნიკულაე (11), 1:1 სანხარე (16)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 9-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 22-10 (5-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 16 464

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 31 | 16 | 9 | 6 | 51-32 | 57 |
| 2. მონპელიე | 31 | 17 | 6 | 8 | 41-34 | 57 |
| 3. ოსერი | 31 | 16 | 9 | 6 | 31-25 | 57 |
| 4. ბორდო | 29 | 17 | 5 | 7 | 47-25 | 56 |
| 5. მარსელი | 29 | 16 | 8 | 5 | 51-30 | 56 |
| 6. ლილი | 31 | 16 | 6 | 9 | 56-33 | 54 |
| 7. რენი | 31 | 14 | 7 | 10 | 46-31 | 49 |
| 8. ლორიანი | 31 | 14 | 7 | 10 | 46-32 | 49 |
| 9. მონაკო | 31 | 13 | 7 | 11 | 32-33 | 46 |
| 10. ვალანსიენი | 30 | 13 | 5 | 12 | 41-41 | 44 |
| 11. ნანსი | 31 | 12 | 6 | 13 | 40-44 | 42 |
| 12. პსჟ | 31 | 11 | 8 | 12 | 43-34 | 41 |
| 13. ტულუზი | 31 | 10 | 9 | 12 | 30-29 | 39 |
| 14. სოშო | 29 | 10 | 7 | 12 | 23-35 | 37 |
| 15. ნიცა | 31 | 10 | 6 | 15 | 31-45 | 36 |
| 16. ლანსი | 31 | 9 | 8 | 14 | 27-38 | 35 |
| 17. სტ. ეტიენი | 31 | 8 | 8 | 15 | 22-38 | 32 |
| 18. ბულონი | 31 | 5 | 9 | 17 | 23-51 | 24 |
| 19. ლე მანი | 30 | 5 | 6 | 19 | 26-48 | 21 |
| 20. გრენობლი | 31 | 3 | 6 | 22 | 21-50 | 15 |

**ბომბარდირები:** 15 - ნიანგი (მარსელი); 13 - გამეირო (ლორიანი), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი), ნენე (მონაკო); 12 - ჟერვინიო (ლილი), ერდინგი (პსჟ).

## ლიგა 2

### XXXI ტური

**სედანი-ისტრი 1:1**

გოლები: 1:0 ეუდელინი (37), 1:1 საიფი (60)

გაძევება: კანტინი (87. სედანი)

**გენგამი-ლავალი 0:0**

**შატორუ-დიჟონი 1:3**

გოლები:L 0:1 რიბასი (30), 1:1 ბრეჟერიე (53), 1:2 რიბასი (61), 1:3 მანდანე (90)

**ანჟერი-ვანი 2:0**

გოლები: 1:0 კესერუ (63), 2:0 კუტურიე (67)

**აიაჩო-ბასტია 0:1**

გოლი: 0:1 ანდრე (35-პენ)

**ნანტი-ლე ავრი 4:1**

გოლები: 1:0 სამბუ (2), 1:1 დიალო (12-პენ), 2:1 ბეკამენგა (23-პენ), 3:1 ნდიაიე (47), 4:1 ბეკამენგა (55)

**კაენი-ბრესტი 1:0**

გოლი: 1:0 ტრაორე (55)

**არლი-ნიმი 2:0**

გოლები: 1:0 ნდიაიე (34), 2:0 დალე (68)

**სტრასბური-მეცი 1:1**

გოლები: 1:0 დე კარვალიო (31), 1:1 მენდი (55)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 31 | 17 | 11 | 3 | 45-22 | 62 |
| 2. ბრესტი | 31 | 16 | 7 | 8 | 42-27 | 55 |
| 3. მეცი | 31 | 12 | 12 | 7 | 37-32 | 48 |
| 4. არლი | 31 | 12 | 10 | 9 | 36-33 | 46 |
| 5. ანჟერი | 31 | 12 | 9 | 10 | 38-35 | 45 |
| 6. ნიმი | 31 | 12 | 9 | 10 | 33-37 | 45 |
| 7. ლე ავრი | 31 | 12 | 8 | 11 | 36-38 | 44 |
| 8. ლავალი | 31 | 9 | 15 | 7 | 40-32 | 42 |
| 9. ტური | 31 | 10 | 12 | 9 | 42-39 | 42 |
| 10. კლერმონი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-35 | 41 |
| 11. დიჟონი | 31 | 9 | 14 | 8 | 37-35 | 41 |
| 12. ნანტი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-41 | 41 |
| 13. სედანი | 31 | 9 | 13 | 9 | 39-38 | 40 |
| 14. აიაჩო | 31 | 11 | 7 | 13 | 33-33 | 40 |
| 15. სტრასბური | 31 | 8 | 13 | 10 | 36-39 | 37 |
| 16. ვანი | 31 | 7 | 12 | 12 | 31-42 | 33 |
| 17. გენგამი | 31 | 6 | 14 | 11 | 26-33 | 32 |
| 18. შატორუ | 31 | 7 | 11 | 13 | 39-48 | 32 |
| 19. ისტრი | 31 | 7 | 10 | 14 | 26-45 | 31 |
| 20. ბასტია | 31 | 7 | 7 | 17 | 33-41 | 28 |

**ბომბარდირები:** 20 - ჟირუ (ტური); 18 - მოდესტე (ანჟერი); 13 - რიბასი (დიჟონი); 12 - რუ (ბრესტი), ანდრე (ბასტია).

# დარჩა ხუთი

შაბათს „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართა შეხვედრა, რომელიც ყველა პირობას აკმაყოფილებდა, რათა მისთვის „სეზონის მთავარი მატჩი" ან სხვა ხმაურიანი სახელი ენოდებინათ, თუმცა, თუ პრემიერლიგის ცხრილსა და დარჩენილი ხუთი ტურის კალენდარს ჩავხედავთ, აშკარად დავინახავთ, რომ ინგლისის ჩემპიონატის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა და ის, რომ „ჩელსიმ" „მანჩესტერ იუნაიტედს" მისსავე მოედანზე მოუგო, საბოლოო განაჩენს არ ნიშნავს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ „ლურჯები" ჯერ ჩემპიონები არ არიან, მით უფრო, რომ „ლივერპულთანაც" და „ტოტენჰემთანაც" სათამაშო აქვთ, თან ორივესთან სტუმრად.

„ოლდ ტრეფორდზე" სამი გოლი გავიდა და აქედან ორი, მსაჯ **მაიკ დინს**, წესით, არ უნდა ჩაეთვალა. „ჩელსიმ", უფრო ზუსტად კი მისმა მთავარმა ფორვარდმა, იმ დღეს შეცვლაზე შესულმა **დიდიე დროგბამ** ოფსაიდიდან გაიტანა. ვინც ეს ეპიზოდი ნახა, შეუძლებელია არ დაეთანხმოს „იუნაიტედის" თავკაცს სერ **ალექს ფერგიუსონს**, რომელმაც თქვა:

*„ერთი რამ ნამდვილად ვერ გავიგე: თანამსაჯი პირდაპირ დროგბას გასწვრივ იდგა და როგორ ვერ დაინახა, რომ ოფსაიდი იყო? თან ახლოსაც არავინ იდგა, რომ რაიმე დაბნეულობის მიზეზი გამხდარიყო... ასეთი მნიშვნელობისა და დაძაბულობის შეხვედრებში უმაღლესი დონის მსაჯობაა საჭირო, რაც დღეს ნამდვილად არ გვქონია. მსაჯებმა თავიანთ საქმეს თავი ვერ გაართვეს.*

*ახლა რაღ უნდა ლაპარაკი, რომ ფავორიტი „ჩელსია". ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტური რჩება, ისინი ორი ქულით გვისწრებენ და გატანილისა და გაშვებულის სხვაობა ოთხი გოლით უკეთესი აქვთ. რასაკვირველია, მძლოლის სავარძელში „ჩელსი" ზის. გარწმუნებთ, ჩვენ ფარ-ხმალს არ დავყრით, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, ხუთივე დარჩენილი შეხვედრა მოვიგოთ და ჩემპიონები მაინც ვერ გავხდეთ".*

საინტერესოა, რომ ფერგიუსონს მაიკ დინის სამსაჯო ოსტატობის თურმე მაინცდამაინც არ სწამს. საქმე ის არის, რომ, ზოგადად, დინი იოლად ნიშნავს პენალტებს - ბლექბერნელმა **მარტინ ოლსონმა** აღიარა კიდეც, რომ დინის დანახვაზე ძალად ვარდებოდა საჯარიმოში. ფერგიუსონმა თქვა: „უნდა გამოგიტყდეთ, როდესაც გავიგე, რომ „ჩელსისთან" შეხვედრაში დინი დაგვინიშნეს, არ მესიამოვნა", - მაგრამ ვფიქრობთ, ამ შეხვედრაში არბიტრმა „საკუთარ თავს უღალატა" და ერთი პენალტი აქეთ კართან არ დანიშნა და ერთიც საპირისპირო მხარეს.

მეორე გოლი, რომელიც, ჩვენი აზრით დინს არ უნდა ჩაეთვალა, „იუნაიტედის" ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდის **ფედერიკო მაკედასი** გახლდათ. მას ბოლო წამს ხელზე მოხვდა ბურთი და მეტოქის კარში ისე შევარდა, მაგრამ ვინაიდან თამაშის ბედს დალი დროგბას გოლმა დაასვა და არა მაკედას გატანილმა, ინგლისური გაზეთები მსაჯის შეცდომაზე ლაპარაკს ერთხმად, დროგბათი იწყებენ, მაკედაზე კი... ზოგი საერთოდ არც ლაპარაკობს. მსაჯობაზე არც „ჩელსის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** გაამახვილა ყურადღება:

*„ჩვენ მთელი გასული კვირის განმავლობაში ძალიან სერიოზულად ვვარჯიშობდით და ვემზადებოდით ამ შეხვედრისთვის. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის თამაშიც არ გვქონდა და ენერგია არ დაგვიხარჯავს. მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" დავამარცხეთ, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, თუმცა მეტი შანსი მაინც ჩვენ გვაქვს. ახლა დარჩენილ შეხვედრებში უნდა მოვიკრიბოთ მთელი ძალ-ღონე და ყურადღება".*

ჩემპიონობისთვის მებრძოლმა მესამე გუნდმა, „არსენალმა" (რომელსაც კონკურენტებისთვის ქულის პირადად წართმევა უკვე კარგა ხანია აღარ შეუძლია) თავისი გასატანი „ემირეიტს სთედიუმზე" „ვულვერჰემპტონთან" შეხვედრის წამატებულ წუთებში გაიტანა - გოლი რომ შეაგდო, **ნიკლას ბენდტნერი** მოედანზე 26 წუთის შესული იყო, „ვულვზი" კი 24 წუთით ადრე მსაჯმა **ენდრი მარინერმა** უმცირესობაში დატოვა. მარინერმა მოედნიდან **კარლ ჰენრი** გააგდო. მიზეზი: „ვულვერჰემპტონის" ფეხბურთელმა ვერ მოზომა და **ტომაშ როსიცკის** ზურგიდან ეძგერა, რისთვისაც პირდაპირ წითელი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „მეთოფეებს" „ბარსელონას" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებულ შეხვედრასთან შედარებით შვიდი ფეხბურთელი ჰყავდათ შეცვლილი, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ **არსენ ვენგერი** შემადგენლობას ასვენებდა - ჩრდილოლონდონელთა მთელი ფიქრები, როგორც ჩანს, მაინც „კამპ ნოუზე" დღეს გასამართ შეხვედრას უტრიალებდა.

მატჩის შემდეგ ვენგერმა განაცხადა: *„ამ გამარჯვებამ ჩემპიონობის შანსი შეგვინარჩუნა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე „ჩელსის" ხუთი ქულით თუ ჩამორჩები, შეგიძლია ხელი ჩაიქნიო, მაგრამ როდესაც სხვაობა სამი ქულაა, ბრძოლა ბოლომდე უნდა გაგრძელდეს. რასაკვირველია, ჩვენ წინაშე ძნელი ამოცანა დგას, მაგრამ ასევე ძნელი ამოცანა დგას კონკურენტების წინაშეც. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ ძნელი ფსიქოლოგიური ამოცანა გადავჭერით: „ბარსელონა" 24 საათში უნდა დაგვევიწყებინა და „ვულვერჰემპტონზე" გადმოვრთულიყავით, რაც შევძელით".*

„მანჩესტერ სიტი", მოგეხსენებათ, მეოთხე ადგილისა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მაძიებელია და ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ფრიად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია: ბარნლიში 6:1 მოიგო.

გამარჯვებულთა მწვრთნელი **რობერტო მანჩინი**: *„დღეს, კარგ პოზიციაზე ვართ. სეზონის ბოლომდე რამდენიმე რთული თამაში გველის (მაგალითად, 17 აპრილს „სიტი" „იუნაიტედს" მასპინძლობს) და მინდა, ამ შეხვედრებში დღევანდელივით მოვახერხოთ ყურადღების მოკრება. განსაკუთრებით კარგი იყო პირველი 25 წუთი.*

*ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებენ თუ არა ადებაიორი და ტევესი სეზონის ბოლომდე გოლების გატანას. თუმცა ჩვენ გვყავს სხვა ფეხბურთელებიც, რომელთაც მეტოქის კარში ბურთის შეგდება შეუძლიათ და ეს ჩვენი ბონუსია".*

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" კი სანდერლენდში ყველასთვის მოულოდნელად წააგო, 3:1. თავის ყოფილ გუნდს თავბრუ **დარენ ბენტმა** დაახვია, თუმცა ამ ფორვარდს თავბრუ თავადაც დაესხა - კიდევ ორი პენალტი ვერ შეაგდო. თუმცა, ბენტმა მაინც ძალიან იყოჩაღა: ჯერ ერთი, 34-ე წამზე ანგარიში გახსნა და მერე, 29-ე წუთზე ერთი პენალტი სწორადაც დაარტყა.

ორი ქულა დაკარგა „ლივერპულმაც". მერსისაიდელებს ბირმინგემში მოეცარათ ხელი. ანგარიში **სტივენ ჯერარდმა** გახსნა, 9 წუთში კი **ლაიამ რიჯუელმა** გაქვითა.

„ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი**: *„მართალია, „ბირმინგემი" მთელი სეზონის განმავლობაში კარგად თამაშობს, მაგრამ დღევანდელ შედეგს მაინც ცუდად მივიჩნევ. გამარჯვებას ვიმსახურებდით. პირველ ტაიმში ერთი ძალიან კარგი შანსი გვქონდა, მეორე ტაიმში კი ბევრჯერ შეგვეძლო გოლის გატანა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

**მომდევნო ტური**

**10 აპრილი.** ჰალი-ბარნლი, ვესტ ჰემი-სანდერლენდი. **11 აპრილი.** ვულვზი-სტოკი, ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული-ფულჰემი, მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი. **13 აპრილი.** ჩელსი-ბოლტონი. **14 აპრილი.** ფულჰემი-სტოკი, ასტონ ვილა-ევერტონი, უიგანი-პორტსმუთი, ტოტენჰემი-არსენალი.



ჩელსიმ ოლდ ტრაფორდზე საკვანძო თამაში მოიგო

**მანჩესტერ იუნ-ჩელსი 1:2**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, ფლეტჩერი (86. გიბსონი), სქოულზი (72. ნანი), პარკი (72. მაკედა), გიგზი, ბერბატოვი.

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა, ალექსი, ტერი, ჟირკოვი, ჯ. კოული (74. კალუ), მიკელი, ლემპარდი, დეკუ (82. ბალაკი), მალუდა, ანელკა (70. დროგბა).

**გოლები:** 0:1 ჯ. კოული (20), 0:2 დროგბა (79), 1:2 მაკედა (81)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-3 **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 75 217

**არსენალი-ვულვზი 1:0**

**არსენალი:** ალმუნია, სანია, კემპბელი, ვერმაელენი, სილვესტრი, დენილსონი, სონგი (71. ნასრი), როსიცკი, უოლკოტი, ებუე (64. ბენდტნერი), ედუარდო (79. ველა).

**ვულვზი:** პანეემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, ელოკობი, ფოული, ჰენრი, მანსიენი, ჯერვისი (83. უორდი), ჯონსი (70. ედუარდსი), დოილი (70. კიო).

**გოლი:** 1:0 ბენდტნერი (90)

**გაძევება:** ჰენრი (66. ვულვზი)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 10-4 **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 25-5 (9-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 60 067

**ბოლტონი-ასტონ ვილა 0:1**

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, რიკეტსი, კეჰილი, ნაითი, რობინსონი, ლი (78. ტეილორი), მუამბა, კოენი (66. უეისი), უილშერი, კ. დევისი, ელმანდერი (57. კლასნიჩი).

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, კოლინზი, დანი, უორნოკი, იანგი, დელფი (75. სიდუელი), პეტროვი, დაუნინგი, კარეუ (70. ჰესკი), აგბონლაორი.

**გოლი:** 0:1 იანგი (11)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 6-8 **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 19-16 (5-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 21 111

**პორტსმუთი-ბლექბერნი 0:0**

**პორტსმუთი:** ეშდაუნი, ვანდენ ბორე, მოკოენა, როჩა, მალინსი, უტაკა (72. პიკიონი), ბასინასი, ბრაუნი, პიუზი (65. სოუა), ოჰარა, კანუ.

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, სამბა, ჯონსი, ჟივე, დიუფი, ნზონზი (64. გრელა), დანი (80. კალინიჩი), პედერსენი, ოლსონი, რობერტსი, დიუფი (77. პოილეტი).

**გაძევება:** ვანდენ ბორე (60-პორტსმუთი)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 1-9 **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-17 (2-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 16 207

**სტოკი-ჰალი 2:0**

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუთი, ფაიე, ჰიგინბოთემი, კოლინზი, ლოურენსი, დილეპი, უილანი (72. უაიტჰედი), ეზერინგტონი, კიტსონი (84. სიდიბე), ფულერი (45. თუნჯაი).

**ჰალი:** მიჰილი, მენდი, მაკშეინი, მოუიოკოლო, კილბეინი, გარსია (72. ვენეგოორი), ბალარდი, ბოატენგი, მერნი (58. ჯიოვანი), ფეგანი, ფოლანი (65. ალტიდორი).

**გოლები:** 1:0 ფულერი (6), 2:0 ლოურენსი (90)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-2 **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11-8 (3-1); **ბურთის ფლობა:** 41%-60%.

**მაყურებელი:** 27 604

**სანდერლენდი-ტოტენჰემი 3:1**

**სანდერლენდი:** გორდონი, ა. ფერდინანდი, ტერნერი, და სილვა, რიჩარდსონი, ჰენდერსონი, მეილერი, კეტერმოლი, მოლბრანკი (78. ზენდენი), კემპბელი (89. ბერდსლი), ბენტი (79. ჯონსი).

**ტოტენჰემი:** გომესი, უოქერი, ქაბული, ბასონგი, ასუ-ეკოტო (45. კრანჩარი), ბენტლი (45. დეფო), პალასიოსი, ბეილი, მოდრიჩი, გუდიონსენი, პავლიჩენკო (71. კრაუჩი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (1), 2:0 ბენტი (29), 2:1 კრაუჩი (72), 3:1 ზენდენი (86)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 6-6 **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14-14 (11-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 43 184

**ბარნლი-მანჩესტერ სიტი 1:6**

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, დაფი, კორტი, ფქსი, ალექსანდერი, ბლეიკი (45. ელიოტი), მაკდონალდი (45. კორკი), ს. ფლეტჩერი (81. პატერსონი), ნავჯენტი, იგლზი.

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, ონუოჰა, ტურე, კომპანი, სილვინიო (67. დე იონგი), ვიეირა, ბერი, ჯონსონი, ბელამი, ტევესი (83. ნიმლი), ადებაიორი (79. სანტა კრუსი).

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (4), 0:2 ბელამი (5), 0:3 ტევესი (7), 0:4 ვიეირა (20), 0:5 ადებაიორი (45), 0:6 კომპანი (58), 1:6 ს. ფლეტჩერი (71)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 6-7 **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-20 (4-9); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 330

**ბირმინგემი-ლივერპული 1:1**

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დენი, რიჯუელი, ფერგიუსონი, მაკფადენი (78. ფილიპსი), ბოიერი, გარდნერი, ფეჰეი, ჯერომი.

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, კირიაკოსი, კარაგერი, ინსუა, მაქსი როდრიგესი, ჯერარდი, ლუკასი, ბენაიუნი (71. ბაბელი), კუიტი (81. აკვილანი), ტორესი (65. ნგოგი).

**გოლები:** 0:1 ჯერარდი (47), 1:1 რიჯუელი (56)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 5-4 **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 9-20 (3-3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 27 909

**ფულჰემი-უიგანი 2:1**

**ფულჰემი:** შვარცერი, ს. დევისი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დაფი, მერფი (88. ბეირდი), ეტუჰუ, დემპსი, გერა, ელმი (45. ოკაკა-ჩუკა/88. ნიველენდი).

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, შარნერი, ბრამბლი, ფიგეროა, ნზოგბია (86. უოტსონი), მაკარტი, დიამე, როდალეგა, მორენო (85. სინკლერი), სკოტლენდი (61. მოზესი).

**გოლები:** 0:1 სკოტლენდი (34), 1:1 ოკაკა-ჩუკა (47), 2:1 ჰანგელანდი (58)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-3 **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-16 (5-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 22 730

**ევერტონი-ვესტ ჰემი 2:2**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჯაგიელკა, დისტინი, ბეინსი, ბელიალეტდინოვი (65. იაკუბუ), ოსმანი (83. როდუელი), პიენაარი, კეჰილი, საჰა.

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბრეგი, და კოსტა, აპსონი, სპექტორი, სტანისლასი (90. გებიდონი), კოვაჩი, პარკერი, ნობლი, კოული, მიდო (78. ილანი).

**გოლები:** 1:0 ბელიალეტდინოვი (24), 1:1 და კოსტა (60), 2:1 იაკუბუ (85), 2:2 ილანი (87)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 2-8 **ჯარიმა:** 7-17; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 12-15 (2-5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 37 451

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 33 | 23 | 5 | 5 | 84-30 | 74 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 33 | 23 | 3 | 7 | 77-27 | 72 |
| 3. არსენალი | 33 | 22 | 5 | 6 | 75-34 | 71 |
| 4. მანჩესტ. სიტი | 32 | 16 | 11 | 5 | 64-40 | 59 |
| 5. ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 58-32 | 58 |
| 6. ლივერპული | 33 | 16 | 7 | 10 | 54-33 | 55 |
| 7. ასტონ ვილა | 32 | 14 | 12 | 6 | 44-32 | 54 |
| 8. ევერტონი | 33 | 13 | 11 | 9 | 52-44 | 50 |
| 9. ბირმინგემი | 33 | 12 | 10 | 11 | 34-38 | 46 |
| 10. სტოკი | 32 | 10 | 12 | 10 | 32-35 | 42 |
| 11. ბლექბერნი | 33 | 11 | 9 | 13 | 35-50 | 42 |
| 12. ფულჰემი | 32 | 11 | 8 | 13 | 35-37 | 41 |
| 13. სანდერლენდი | 33 | 9 | 11 | 13 | 44-51 | 38 |
| 14. ვულვზი | 33 | 8 | 8 | 17 | 28-51 | 32 |
| 15. ბოლტონი | 33 | 8 | 8 | 17 | 36-61 | 32 |
| 16. უიგანი | 33 | 8 | 7 | 18 | 30-64 | 31 |
| 17. ვესტ ჰემი | 33 | 6 | 10 | 17 | 40-57 | 28 |
| 18. ჰალი | 32 | 6 | 9 | 17 | 31-66 | 27 |
| 19. ბარნლი | 33 | 6 | 6 | 21 | 32-71 | 24 |
| 20. პორტსმუთი | 33 | 6 | 5 | 22 | 28-60 | 13* |

** - პორტსმუთს დაკლებული აქვს 9 ქულა*

**ბომბარდირები:** 26 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 25 - დროგბა (ჩელსი); 22 - ბენტი (სანდერლენდი); 20 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 18 - ტორესი (ლივერპული); 17 - ლემპარდი (ჩელსი), დეფო (ტოტენჰემი); 15 - ფაბრეგასი (არსენალი).

**ჩემპიონშიპი**

**XLI ტური**

**ბრისტოლი-ნოტინგემი 1:1**

გოლები: 1:0 ფონტეინი (3), 1:1 მუსი (29)

**ქოვენთრი-დერბი 0:1**

გოლი: 0:1 ბარკერი (20)

**დონკასტერი-პლიმუთი 1:2**

გოლები: 1:0 კოპინგერი (58), 1:1 მეისონი (67), 2:1 ბ. რაიტ-ფილიპსი (90)

**იფსვიჩი-რედინგი 2:1**

გოლები: 1:0 მაკოლი (41), 2:0 უოლტერსი (45), 2:1 სიგურდსონი (90)

**მიდლსბრო-კრ. პალასი 1:1**

გოლები: 1:0 მაკდონალდი (15), 1:1 ნდიაიე (45)

**პიტერბორო-ნიუკასლი 2:3**

გოლები: 1:0 გრინი (11), 1:1 ნოლანი (45), 1:2 ბარტონი (48), 1:3 ამეობი (59), 2:3 დიკსონი (76)

**პრესტონი-უოტფორდი 1:1**

გოლები: 0:1 ბაკლი (35), 1:1 დევიდსონი (53)

**ქუინზ პარკი-შეფილდ უენ 1:1**

გოლები: 1:0 ფურლინი (23), 1:1 სორისი (77)

**კარდიფი-სუონსი 2:1**

გოლები: 0:1 ორლანდი (28), 1:1 ჩოპრა (42), 2:1 ჩოპრა (90)

**შეფილდ იუნ-ბარნსლი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 40 | 25 | 11 | 4 | 77-30 | 86 |
| 2. ვესტ ბრომ. | 41 | 24 | 10 | 7 | 81-43 | 82 |
| 3. ნოტ. ფორესტი | 41 | 20 | 11 | 10 | 56-35 | 71 |
| 4. კარდიფი | 41 | 20 | 8 | 13 | 69-50 | 68 |
| 5. სუონსი | 41 | 15 | 17 | 9 | 34-33 | 62 |
| 6. ლესტერი | 41 | 16 | 13 | 12 | 48-43 | 61 |
| 7. ბლექპული | 41 | 16 | 12 | 13 | 66-51 | 60 |
| 8. მიდლსბრო | 41 | 14 | 13 | 14 | 54-45 | 55 |
| 9. დონკასტერი | 41 | 14 | 13 | 14 | 52-49 | 55 |
| 10. შეფილდ იუნ. | 41 | 14 | 13 | 14 | 54-52 | 55 |
| 11. ბრისტოლი | 41 | 12 | 17 | 12 | 51-60 | 53 |
| 12. რედინგი | 39 | 14 | 10 | 14 | 52-55 | 52 |
| 13. ქოვენთრი | 41 | 13 | 13 | 15 | 45-54 | 52 |
| 14. იფსვიჩი | 41 | 11 | 16 | 12 | 44-51 | 51 |
| 15. დერბი | 41 | 14 | 9 | 18 | 48-57 | 51 |
| 16. ბარნსლი | 41 | 14 | 9 | 18 | 49-62 | 51 |
| 17. პრესტონი | 41 | 12 | 14 | 15 | 52-62 | 50 |
| 18. ქპრ | 40 | 11 | 15 | 14 | 54-59 | 48 |
| 19. სკანთორპი | 40 | 13 | 8 | 19 | 50-70 | 47 |
| 20. შეფილდ უენ. | 41 | 11 | 12 | 18 | 44-61 | 45 |
| 21. უოტფორდი | 40 | 11 | 11 | 18 | 51-62 | 44 |
| 22. კრ. პალასი | 41 | 13 | 14 | 14 | 43-46 | 43 |
| 23. პლიმუთი | 41 | 11 | 8 | 22 | 42-58 | 41 |
| 24. პიტერბორო | 41 | 7 | 9 | 25 | 41-68 | 30 |

**ბომბარდირები:** 19 - უიტინგემი (კარდიფი); 16 - ჩოპრა (კარდიფი); 15 - ადამი (ბლექპული), მეინარდი (ბრისტოლ სიტი), შარპი (დონკასტერი); 14 - კეროლი (ნიუკასლი); 13 - ემბროუზი (კრ. პალასი), ერნშოუ (ნოტინგემ ფორესტი), ჰუპერი (სკანთორპი), ნოლანი (ნიუკასლი).

**პირველი ლიგა**

**XXXIX ტური**

კერლისლი-ბრისტოლი 3:1, ექსეტერი-კოლჩესტერი 2:0, მილუოლი-ბრენტფორდი 1:1, ტრანმერი-ნორვიჩი 3:1, ლიდსი-სვინდონი 0:3, ლეიტონი-ჰარტლპული 1:3, მილტონი-ჩარლტონი 0:1, ოლდჰემი-ჯილინგემი 1:0, საუთენდი-იეოვილი 0:0, სტოკპორტი-უოლსოლი 1:1, უაიკომბი-ჰადერსფილდი 1:2.

**მეორე ლიგა**

**XXXIX ტური**

მორკეიმბი-ქრუ 4:3, გრიმსბი-ნორთემპტონი 1:2, ბურნმუთი-ბრედფორდი 1:0, ბარტონი-დარლინგტონი 1:2, ჩელტენჰემი-ლინკოლნი 1:0, ჩესტერფილდი-როჩდეილი 2:0, დაგენჰემი-ეკრინგტონი 3:1, ჰერეფორდი-ბარნეტი 2:1, მაკლსფილდი-ოლდერშოტი 1:1, ნოთს ქაუნთი-ბერი 5:0, როტერჰემი-პორტ ვეილი 1:2, თორკი-შრუსბერი 2:1.

**კონფერენსი**

**XL ტური**

ჰეიესი-ოქსფორდი 2:1, სელისბერი-ებსფლიტი 3:1, რაშდენი-ქროული 1:1, სტივენიჯი-ლუტონი 0:1, ელტრინჩემი-კიდერმინსტერი 3:2, ისტბერნი-ფორესტ გრინი 1:0, გეიტსჰედი-კემბრიჯი 2:0, გრეისი-კეტერინგი 0:0, ჰისტონი-უიმბლდონი 1:3, მენსფილდი-ვრექსჰემი 0:1, ტემუორთი-ბეროუ 3:0.



მირკო ვუჩინიჩმა გოლი უცნაურად აღნიშნა

# სტატუს-კვო შენარჩუნდა

სასკუდეტო სამთაბრძოლაში სტატუსკვო შენარჩუნებულია. „ინტერმა" საკუთარ მოედანზე „ბოლონია" დაამარცხა, „რომამ" და „მილანმა" კი გასვლითი პაექრობები მოიგეს - „ჯალოროსიმ" „ბარის" სძლია, ხოლო „როსონერიმ" „კალიარის". ვფიქრობთ, XXXII ტურით ჩემპიონობისთვის მებრძოლი სამივე გუნდი კმაყოფილი დარჩა. „რომას" და „მილანის" გულშემატკივრებს ნამდვილად არ ჰქონდათ იმის ილუზია, რომ „ინტერს" „ბოლონიასთან" ფეხი დაუცდებოდა, შესაბამისად, ლიდერთან ქულათა სხვაობის შენარჩუნება მათთვის პოზიტიური შედეგია. რაც შეეხება „ნერაძურის", გუნდმა როგორც იქნა გამართულად ითამაშა და მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა. ბოლო დროს, „ინტერს" აშკარად უჭირდა სერია A-ში თამაში და ქულებიც ბლომად დაკარგა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საჩემპიონო მარათონი დღეს ასეთი დაძაბულია.

**ჟოზე მოურინიომ** „ბოლონიას" სამი ფორვარდით შეუტია და არც წაუგია, მილანელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა **ტიაგო მოტამ**, ვინც ორი გოლი მიითვალა აქტივში და მთლიანობაში, ძალიან პროდუქტიულად გაისარჯა. კარგად წარმოჩნდა რეაბილიტირებული **მარიო ბალოტელი,** მისი სახით „ინტერს" აშკარად დიდი ძალა დაუბრუნდა, რაც „ბოლონიასთან" თამაშმა აშკარად ცხადყო. მარიო ბევრს მოძრაობდა, პრაქტიკულად ყველგან იყო, სადაც კი გუნდს სჭირდებოდა და გულშემატკივრებისგანაც არაერთხელ დაიმსახურა მქუხარე ტაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. ბარემ გოლებზეც ვთქვათ - ანგარიში 29-ე წუთზე გაიხსნა, მოტამ შორი მანძილიდან გაისროლა და ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში შეაგორა. მილანელებმა უპირატესობა მეორე ნახევარში გაზარდეს, ჯერ ბალოტელიმ დააგვირგვინა **სტანკოვიჩი-მილიტოს** მიერ გათამაშებული კომბინაცია, შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი კვლავ მოტა გამოირჩა, სტანკოვიჩის დიდებული გადაცემა შეირგო და უზუსტესი დარტყმით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:0.

ალსანიშნავია, რომ მასპინძლებს გაცილებით დიდი სხვაობით შეეძლოთ მოგება - მარტო მილიტოს მინიმუმ ოთხჯერ ჰქონდა გატანის რეალური შანსი. ამ მხრივ, პირველი ნახევარი მართლაც გამორჩეული იყო, მილანელ ფორვარდებს რომ უფრო ყურადღებით ეთამაშათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ტაიმს ალბათ 6-7 ბურთის სხვაობით მოიგებდნენ. ნამატჩევს ბედნიერმა მოტამ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„ძალიან მიხარია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ და გუნდს ორი გოლით შევეწიე. ბოლო დროს ხშირად საუბრობდნენ „ინტერის" კრიზისზე" და იმედია, სკეპტიკოსებს კარგი პასუხი გავეცით. „ბოლონია" ყველა კომპონენტი დავჯაბნეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. „მილანმა" და „რომამ" თავიანთი შეხვედრები მოიგეს, ეს იმას ნიშნავს, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა მაქსიმალურად დაძაბული იქნება. კონკურენტები ძლიერი გვყავს და ერთი წაფორხილებაც კი შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. ამიტომ თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ".*

ასეთი „რომა" კარგა ხანია არ გვინახავს, გუნდი თამაშს თამაშზე იგებს და თანაც, უფრო და უფრო უკეთ გამოყურება. ბარიში გამარჯვება იოლი საქმე არ არის და მილანურმა გრანდებმა ეს საკუთარ თავზე იწვნიეს, თუმცა „ჯალოროსისთვის" დღეს მიუღწეველი მიზანი არ არსებობს. გუნდი ისეთი მოტივირებულია, როგორც არასდროს, - თქვა ნამატჩევს **კლაუდიო რანიერიმ.** „რომას" ძალიან დიდი ისტორია აქვს და კაცმა არ იცის, როდის იყო გუნდი ყველაზე მოტივირებული, მაგრამ რანიერის ემოცია და კმაყოფილება სავსებით ლოგიკურია.

ერთადერთი გოლი **მირკო ვუჩინიჩმა** გაიტანა და სტადიონზე შეკრებილი „რომას" მცირერიცხოვანი გულშემატკივრები ექსტაზში ჩააგდო. „ჯალოროსის" იმაშიც გაუმართლა, რომ წამყვანი თავდამსხმელები სეზონის დასკვნით ეტაპს კარგ ფორმაში ხვდებიან. თუ **ლუკა ტონის** არ წაუვიდა თამაში, ვუჩინიჩი იტანს გადამწყვეტ გოლს და პირიქით. თუ **ფრანჩესკო ტოტიმაც** მალე დაიბრუნდა ოპტიმალური ფორმა, „რომას" ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

მოვუსმინოთ რანიერის, რომელიც გუნდის აღმასვლის მთავარი შემოქმედია: *„მოგატყუებთ რომ გითხრათ, კონკურენტების თამაში არ გვაინტერესებს-მეთქი. სეზონის დასაწყისში ცდილობ მხოლოდ შენი გუნდის ასპარეზობაზე მოახდინო კონცენტრაცია და ეს ბუნებრივია, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე, გინდა თუ არ გინდა, კონკურენტებსაც უნდა მიადევნო თვალი. „ინტერმა" „ბოლონია" დაამარცხა და ამაში გასაკვირი არაფერია. ბრძოლა გრძელდება და დარწმუნებული ვარ, რომ უკანასკნელ ტურამდე ასეთი დაძაბული ვითარება იქნება".*

მძიმე ბრძოლაში მოიგო „მილანმა" და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა. წაფორხილება და სასკუდეტო მარათონიდან ჩამოშორება მისთვის ერთი იქნებოდა, თუმცა ასე არ მოხდა და უმჯობესია, უშუალოდ მატჩზე ვისაუბროთ. **ლეონარდოს** სამწყსოს აშკარად გაუმართლა, რადგან გაცილებით მეტი საგოლე მომენტი სწორედ „როსონერის" კართან შეიქმნა. თუმცა, მხოლოდ ფორტუნასაც ნუ მივაწერთ სტუმართა გამარჯვებას, **ნელსონ დიდას** ღვაწლის აღუნიშნაობა, ნამდვილად დანაშაული იქნებოდა. ბრაზილიელმა კიპერმა ბრწყინვალედ ითამაშა და არაერთხელ გადაარჩინა გუნდი გაშვებული გოლისგან. ერთ-ერთ ეპიზოდში კი შეუძლებელი შეძლო - ხუთიოდე მეტრიდან თავურ დარტყმაზე მოახდინა რეაგირება და ნახტომში უკუაგდო ბურთი. იტალიელმა ჟურნალისტებმა ეს ეპიზოდი სეზონის ნახტომად შერაცხეს.

რამდენადაც სუსტი იყო „მილანის" დაცვა, იმდენად კარგად წარმოჩნდა შეტევა. შესანიშნავად იასპარეზა **კლარენს ზეედორფმა,** რომელმაც არაერთხელ მოსწყვიტა ტაში სარდინიელ გულშემატკივრებს. **მარკო ბორიელოს** სწორედ მან მისც აპასი, როდესაც ამ უკანასკნელმა ანგარიში გახსნა - ეს ამბავი მეშვიდე წუთზე მოხდა და პირველ რიგში ზეს ქუსლით გაკეთებული გადაცემა უნდა აღვნიშნოთ. მასპინძლებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს - ხელსაყრელ პოზიციაზე გასულმა **რაგატცუმ** ოსტატურად დაარტყა და იმ დღეს შესანიშნავად მოასპარეზე დიდა ხელმოცარული დატოვა. მე-19 წუთზე უკვე **კლაას იან ჰუნტელაარმა** გამოიჩინა თავი - ულამაზესი გოლი გაიტანა. მან საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, კარგად შემოტრიალდა და უძლიერესი დარტყმით ცხრიანი დალაშქრა. დარჩენილი ორი გოლიც პირველ ტაიმში გავიდა და ორჯერვე სარდინიელი ფეხბურთელები გამოირჩნენ - ერთხელ მეტოქეს გაუტანეს, მეორედ კი საკუთარი კიპერი დაამწუხრეს. **მატრის** გოლს ასტორის ავტოგოლი მოჰყვა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა, 2:3.

ორიოდე სიტყვა ჩემპიონთა ლიგის ზონაზე ვთქვათ. სიცილიურ დერბიში მწარე მარცხი იწვნია „პალერმომ", რაც პირველ რიგში **მაქსი ლოპესის** დამსახურებაა. „კატანიას" ფორვარდი დუბლით გამოირჩა და შეხვედრის გმირად შეირაცხა. ვერც „ნაპოლიმ" მოიგო - „ლაციოსთან" პაექრობაში სულაც მდევარი იყო, თუმცა **სერჯო ფლოკარის** ნაადრევ გოლს **მარეკ ჰამშიკმა** უპასუხა და საყაიმო შედეგი მივიღეთ. „იუვენტუსის" საცოდაობას ბოლო არ უჩანს - **ალბერტო ძაკერონის** სამწყსო ამჯერად „უდინეზესთან" შერცხვა, ფრიულელებმა არც მეტი, არც ნაკლები, 3:0 გაიმარჯვეს. ძალიან კარგი ტური გამოდგა „სამპდორიასთვის", **კასანოსა** და **პაცინის** გოლებს „კიევომ" მხოლოდ **მანტოვანის** ზუსტი გასროლით უპასუხა - 1:2 და „სამპა" ქულათა მარაგით „პალერმოს" გაუთანაბრდა.

გუშინ „ლივორნომ" მთავარი მწვრთნელი **სერსე კოზმი** პოსტიდან დაითხოვა...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## მომდევნო ტური

10 აპრილი. ნაპოლი-პარმა, ფიორენტინა-ინტერი. 11 აპრილი. ბოლონია-ლაციო, იუვენტუსი-კალიარი, სიენა-ბარი, ლივორნო-უდინეზე, რომა-ატალანტა, პალერმო-კიევო, მილანი-კატანია, სამპდორია-ჯენოა.

## ინტერი-ბოლონია 3:0

**ინტერი (4-3-3):** ჟულიო სეზარი 6 - სანტონი 5, კორდობა 6, სამუელი 6, კივუ 6 - სტანკოვიჩი 6.5, კამბიასო 6.5 (86. კრჰინი), ტიაგო მოტა 7.5 - ბალოტელი 6.5, მილიტო 6 (86. მუნტარი), პანდევი 6 (69. სნეიდერი).

**ბოლონია (4-4-1-1):** ვივიანო 6.5 - რაჯი 5.5, პორტანოვა 6, ბრიტოსი 5, ლანა 5 - ბუშე 6, მინგაცინი 6 (26. კაზარინი 6), გუანა 6, მოდესტო 4.5 (46. სალაიეტა 5) - ადაილტონი 6.5 - დი ვაიო 5 (80. ჰ. ხიმენესი).

**გოლები:** 1:0 ტიაგო მოტა (29), 2:0 ბალოტელი (52), 3:0 ტიაგო მოტა (85)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 25-10 (10-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 45 220

## ბარი-რომა 0:1

**ბარი (4-4-2):** ჟილე 6 - ბელმონტე 5.5, ა. მაზიელო 6, ბონუჩი 6.5, ს. მაზიელო 6 - ე. ალვარესი 7, გაცი 6, დე ვეცე 6 (88. ალეგრეტი), კამატა 5 (46. ე. რივასი 6) - კასტილიო 4.5 (80. სესტუ), პ. ბარეტო 6.5.

**რომა (4-2-3-1):** ჟულიო სერჟიო 6.5 - კასეტი 6.5, ბურდისო 6.5, ჟუანი 7, რიისე 6 - პისარო 6, დე როსი 6.5 - ტადეი 6, ტოტი 6.5 (72. ბრიგი), ვუჩინიჩი 6.5 (64. ბაპტიშტა 6) - ტონი 7.

**გოლი:** 0:1 ვუჩინიჩი (19)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 24-10; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 8-15 (2-2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 25 344

## კალიარი-მილანი 2:3

**კალიარი (4-3-1-2):** მარკეტი 5 - აგოსტინი 6, კანინი 5.5, ასტორი 4.5, ფ. პიზანო 6 - ბიონდინი 6 (82. ლარივეი 6), კონტი 6, ლაძარი 5.5 (63. დესენა 6) - კოსუ 7.5 - მატრი 7, რაგატცუ 7 (72. ჟედა 6).

**მილანი (4-3-3):** დიდა 7 - აბატე 5.5 (87. ოდო), ტიაგო სილვა 6.5, ფავალი 5.5, ანტონინი 6.5 - ზეედორფი 6.5, პირლო 6 (73. გატუზო), ამბროზინი 6 - ჰუნტელაარი 6.5 (60. ძამბროტა 6.5), ბორიელო 7, რონალდინიო 6.

**გოლები:** 0:1 ბორიელო (7), 1:1 რაგატცუ (17), 1:2 ჰუნტელაარი (19), 2:2 მატრი (32), 2:3 ასტორი (38-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 16-9 (6-3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 32 000

## ლაციო-ნაპოლი 1:1

**ლაციო (3-4-1-2):** მუსლერა 6.5 - ბიავა 5.5, დიასი 7, რადუ 5.5 - ლიხტშტაინერი 5, ბროკი 6, კ. ლედესმა 5.5, კოლაროვი 5 - მაური 6.5 - როკი 5.5 (46. სარატე 5.5), ფლოკარი 7 (79. კრუსი).

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი 6 - გრავა 7, პ. კანავარო 6, კამპანიარო 6.5 - მაჯო 6 (53. რინაუდო 6), პაციენცა 5.5, გარგანო 6, სუნიგა 6.5 - ჰამშიკი 7 - ლავეცი 6, კვალიარელა 5.5.

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (4), 1:1 ჰამშიკი (38)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-14 (5-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 000

## კიევო-სამპდორია 1:2

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო 6 - ნ. ფრეი 5.5, მორერო 4, იეპესი 6, მანტოვანი 6 - ლუსიანო 6, რიგონი 5 (61. აბრუსკატო 5), პინცი 5.5 (86. ბოგდანი) - ბენტივოლიო 5 - პელისიერი 6, დე პაულა 5 (69. არიატი 5).

**სამპდორია (4-4-2):** სტორარი 6.5 - ძაური 6, ლუკინი 6, აკარდი 6, ციგლერი 6.5 - სემიოლი 7 (71. პადალინო 6.5), პალომბო 7, ტისონე 6, გუბერტი 6.5 (86. ტესტარდი) - კასანო 6 (77. დ. ფრანჩესკინი), პაცინი 6.5.

**გოლები:** 0:1 კასანო (1), 0:2 პაცინი (55), 1:2 მანტოვანი (76)

**გაძევება:** მორერო (67. კიევო)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 38-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (4-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 9 800

## პარმა-ფიორენტინა 1:1

**პარმა (3-5-2):** მირანტე 6.5 - დელაფიორე 6, პაჩი 6 (70. დ. ძენონი 6), ა. ლუკარელი 5.5 - ძაკარდო 5.5, ვალიანი 6, ლ. ხიმენესი 6.5, ლ. ანტონელი 5 (53. ლანცაფამე 6.5), კასტელინი 5.5 (64. კრესპო 6) - ბიაბიანი 7, ბოჟინოვი 7.

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ს. ფრეი 6.5 - კომოტო 6 (57. ვარგასი 5), კროლდრუპი 5, ნატალი 5.5, ფელიპე 6 - კ. ძანეტი 6.5 (46. დონადელი 5.5), მონტოლივო 6 - დე სილვესტრი 7.5, იოვეტიჩი 7, სანტანა 6 - ჯილარდინო 5.5.

**გოლები:** 0:1 დე სილვესტრი (22), 1:1 ბოჟინოვი (68)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 12-9 (5-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 19 011

## ჯენოა-ლივორნო 1:1

**ჯენოა (3-4-3):** ამელია 5.5 - პაპასტატოპულოსი 6, მორეტი 6.5, ფატიჩი 5.5 - მესტო 6, მ. როსი 6.5, მილანეტო 6.5, კრიშიტო 6.5 - პალასიო 6 (55. საპატერი 6), სუასო (11. ბოაკი 7.5/81. ლაზარევიჩი), პალადინო 6.

**ლივორნო (3-4-2-1):** რუბინიო 6 - ნ. რივასი 6.5, დინიზი 6, კნეჟევიჩი 5.5 - რაიმონდი 6.5, მორო 6 (70. ბელუჩი), მოცარტი 6.5, პიერი 6.5 - პრუტჩი 6 (49. ბერგავოლდი 6), ტავანო 7 - კ. ლუკარელი 5 (58. დანილევიჩუსი 6.5).

**გოლები:** 1:0 ბოაკი (51), 1:1 ტავანო (88)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 6-16 (3-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 25 260

## ატალანტა-სიენა 2:0

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი 6 - კაპელი 6, ბიანკო 6, თ. მანფრედინი 7, პელუზო 6 - პინტუ 6.5, პადოინი 6, გუარენტე 6.5 (90. დე აშენტისი), ვალდესი 6.5 (76. რადოვანოვიჩი) - ტირიბოკი 7 (68. კ. დონი 6.5), ამორუზო 6.

**სიენა (4-2-3-1):** კურჩი 6 - როზი 6.5 (72. კალაიო), კრიბარი 5.5, პრატალი 6, დელ გროსო 6 - ვერგასოლა 5, ციოლისი 5.5 - რეჟინალდო 6.5, გეზალი 6, მაკარონე 6.5 - ლარიონდო 6.

**გოლები:** 1:0 ვალდესი (16), 2:0 პინტუ (71)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 24-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-11 (4-1); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 10 000

## კატანია-პალერმო 2:0

**კატანია (3-4-2-1):** ანდუხარი 6 - კაპუანო 6, ტერლიცი 6 (89. სპოლი), სილვესტრი 6 - იცკო 6.5, რიკიოტი 6.5 (71. შაკა 6.5), პ. ალვარესი 6.5, ბიაჯანტი 6.5 - მარტინესი 7 (33. პ. ლედესმა 6.5), მასკარა 6.5 - მაქსი ლოპესი 7.5.

**პალერმო (4-4-2):** სირიგუ 5 - ბალცარეტი 6, გოიანი 4, კიაერი 5, კასანი 5 - მილიაჩო 5.5, ნოჩერინო 5, ლივერანი 4.5 (62. ბერტოლო 6), პასტორე 5 (89. ბუდანი) - მიკოლი 5 (69. ერნანდესი 6), კავანი 5.

**გოლები:** 1:0 მაქსი ლოპესი (14), 2:0 მაქსი ლოპესი (31)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-12; **ჯარიმა:** 15-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 16-21 (5-6); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 18 000

## უდინეზე-იუვენტუსი 3:0

**უდინეზე (4-4-2):** ჰანდანოვიჩი 6 - ფერონეტი 6 (79. ბადუ), საპატა 6.5, ლუკოვიჩი 6, პასკუალე 6.5 - ასამოა 6, ინლერი 6 (48. სამარკო 6), ისლა 6, პეპე 6.5 - სანჩესი 6.5, დი ნატალე 8 (82. ფლორო ფლორესი).

**იუვენტუსი (4-4-2):** მანინგერი 6 - ძებინა 6, ფ. კანავარო 6.5, ლეგროტალიე 5.5, დე ჩელიე 4.5 - ფელიპე მელო 6 (87. კანდრევა), სისოკო 4.5, მარკიზიო 5.5, კამორანეზი 6.5 (66. ჯოვინკო 6) - დელ პიერო 5.5 (61. იაკუინტა 6), ამაური 4.

**გოლები:** 1:0 სანჩესი (9), 2:0 პეპე (65), 3:0 დი ნატალე (77)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 12-18 (9-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 32 | 19 | 9 | 4 | 61-28 | 66 |
| 2. რომა | 32 | 19 | 8 | 5 | 57-35 | 65 |
| 3. მილანი | 32 | 18 | 9 | 5 | 52-31 | 63 |
| 4. პალერმო | 32 | 14 | 9 | 9 | 46-40 | 51 |
| 5. სამპდორია | 32 | 14 | 9 | 9 | 40-38 | 51 |
| 6. ნაპოლი | 32 | 12 | 13 | 7 | 42-37 | 49 |
| 7. იუვენტუსი | 32 | 14 | 6 | 12 | 48-47 | 48 |
| 8. ფიორენტინა | 32 | 13 | 6 | 13 | 44-37 | 45 |
| 9. ჯენოა | 32 | 12 | 9 | 11 | 52-52 | 45 |
| 10. ბარი | 32 | 11 | 10 | 11 | 38-38 | 43 |
| 11. პარმა | 32 | 11 | 10 | 11 | 32-39 | 43 |
| 12. კალიარი | 32 | 11 | 7 | 14 | 50-50 | 40 |
| 13. კატანია | 32 | 9 | 11 | 12 | 36-36 | 38 |
| 14. კიევო | 32 | 10 | 8 | 14 | 28-31 | 38 |
| 15. უდინეზე | 32 | 9 | 8 | 15 | 41-49 | 35 |
| 16. ბოლონია | 32 | 9 | 8 | 15 | 34-47 | 35 |
| 17. ლაციო | 32 | 7 | 13 | 12 | 28-34 | 34 |
| 18. ატალანტა | 32 | 8 | 7 | 17 | 31-42 | 31 |
| 19. სიენა | 32 | 6 | 8 | 18 | 32-55 | 26 |
| 20. ლივორნო | 32 | 6 | 8 | 18 | 22-48 | 26 |

**ბომბარდირები:** 22 - დი ნატალე (უდინეზე); 18 - მილიტო (ინტერი); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 14 - პაცინი (სამპდორია); 13 - მატრი (კალიარი), მიკოლი (პალერმო); 12 - პ. ბარეტო (ბარი), პატო (მილანი); 11 - ბორიელო (მილანი), კავანი (პალერმო), ჰამშიკი (ნაპოლი), მაკარონე (სიენა); 10 - ადაილტონი (ბოლონია), ეტო'ო (ინტერი), ფლოკარი (ლაციო), ტოტი (რომა), ვუჩინიჩი (რომა).

## სერია B

### XXXIII ტური

**ემპოლი-ლეჩე 2:2**

გოლები: 0:1 ანჯელო (8), 0:2 კორვია (18), 1:2 ედერი (35-პენ), 2:2 ედერი (86)

**გალიპოლი-ალბინოლეფე 1:5**

გოლები: 0:1 ლანერი (18), 1:1 არტისტიკო (22-პენ), 1:2 პეტემაი (32), 1:3 კრისტიანო (40), 1:4 ჩელინი (55), 1:5 რუოპოლო (86)

**ვიჩენცა-მოდენა 1:1**

გოლები: 0:1 ტამბურინი (10), 1:1 მარჯოტა (90)
გაძევება: ბელანოვიჩი (90. ვიჩენცა)

**ჩეზენა-ანკონა 0:2**

გოლები: 0:1 მირამონტესი (3), 0:2 მასტრონუნციო (90-პენ)

**ტორინო-ტრიესტინა 1:0**

გოლი: 1:0 ლორია (90)
გაძევება: პესტრინი (24. ტორინო)

**პადოვა-ჩიტადელა 2:2**

გოლები: 0:1 პეზოლი (44-პენ), 0:2 იუნკო (54-პენ), 1:2 დი ნარდო (64), 2:2 ვანტაჯატო (78-პენ)

**პიაჩენცა-კროტონე 1:0**

გოლი: 1:0 სივაკოვი (77)
გაძევება: აბრუცეზე (90. კროტონე)

**ბრეშა-მანტოვა 1:0**

გოლი: 1:0 კარაჩოლო (3)
გაძევება: კარაჩოლო (66. ბრეშა)

**სასუოლო-ფროზინონე 2:1**

გოლები: 1:0 მაზუჩი (9), 1:1 სტელონე (45), 2:1 ნოსელი (75)

**სალერნიტანა-რეჯინა 0:2**

გოლები: 0:1 მისიროლი (16), 0:2 ბრიენცა (40)

**ასკოლი-გროსეტო 1:1**

გოლები: 0:1 პინილია (39), 1:1 ანტენუჩი (80)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 33 | 16 | 11 | 6 | 53-39 | 59 |
| 2. სასუოლო | 33 | 14 | 12 | 7 | 45-32 | 54 |
| 3. ტორინო | 33 | 15 | 8 | 10 | 43-29 | 53 |
| 4. ჩეზენა | 33 | 13 | 13 | 7 | 38-21 | 52 |
| 5. ბრეშა | 33 | 15 | 7 | 11 | 44-37 | 52 |
| 6. გროსეტო | 33 | 12 | 14 | 7 | 49-47 | 52 |
| 7. ანკონა | 33 | 15 | 6 | 12 | 46-39 | 51 |
| 8. ჩიტადელა | 33 | 12 | 12 | 9 | 43-36 | 48 |
| 9. ემპოლი | 33 | 12 | 9 | 12 | 46-39 | 45 |
| 10. ასკოლი | 33 | 11 | 11 | 11 | 46-44 | 44 |
| 11. ალბინოლეფე | 33 | 11 | 11 | 11 | 43-41 | 44 |
| 12. კროტონე (-2) | 33 | 12 | 10 | 11 | 39-38 | 44 |
| 13. პიაჩენცა | 33 | 12 | 8 | 13 | 28-33 | 44 |
| 14. მოდენა | 33 | 12 | 8 | 13 | 26-32 | 44 |
| 15. ტრიესტინა | 33 | 11 | 9 | 13 | 34-40 | 42 |
| 16. ვიჩენცა | 33 | 9 | 13 | 11 | 33-32 | 40 |
| 17. ფროზინონე | 33 | 11 | 7 | 15 | 40-54 | 40 |
| 18 რეჯინა | 33 | 11 | 6 | 16 | 39-47 | 39 |
| 19. პადოვა | 33 | 9 | 11 | 13 | 35-37 | 38 |
| 20. მანტოვა | 33 | 8 | 13 | 12 | 35-42 | 37 |
| 21. გალიპოლი | 33 | 9 | 10 | 14 | 33-53 | 37 |
| 22. სალერნიტანა | 33 | 5 | 7 | 20 | 29-54 | 22 |

**ბომბარდირები:** 24 - პინილია (გროსეტო); 21 - რ. ბიანკი (ტორინო); 19 - ანტენუჩი (ასკოლი), კარაჩოლო (ბრეშა), მასტრონუნციო (ანკონა); 16 - არდემანი (ჩიტადელა); 15 - ედერი (ემპოლი); 14 - კორალი (ემპოლი); 13 - ნოსელი (სასუოლო).

## ლეგა პრო 1/A

### XXIX ტური

ლეკო-ნოვარა 1:1, ვიარეჯო-პრო პატრია 2:1, ბენევენტო-კომო 1:1, ლუმეცანე-ფოლინე 1:1, არეცო-პერუჯა 1:1, პაგანეზე-მონცა 1:1, ფოლინიო-ალესანდრია 2:0, კრემონეზე-პერგოკრემა 1:1, სორენტო-ვარეზე 1:1.

## ლეგა პრო 1/B

### XXI ტური

პეშინა-რავენა 2:1, პესკარა-კოზენცა 3:1, პორტოგრუარო-სპალ 1:0, ტერნანა-ვირტუს ლანჩანო 1:1, რეალ მარჩანიზე-ვერონა 1:0, კავეზე-ტარანტო 1:0, ჯულიანოვა-ანდრია 1:1, რიმინი-ფოჯა 0:1, პოტენცა-რეჯანა გადაიდო.

# ძახილის ნიშანი ბავარიულად

## შალკეს კლასი არ ეყო... ბერლინური ლოგიკა: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

მართალია, ფელიქს მაგათმა კარგად იცის, როგორ უნდა მიუნხენის „ბაიერნის" დამარცხება, მაგრამ ერთი მხრივ, მას არ ჰყავს ისეთი გუნდი, როგორიც „ვოლფსბურგში" ჰყავდა, მეორე მხრივ კი, ეს ის „ბაიერნი" აღარ არის, რაც შარშან იყო. ამ ორ მიზეზს ისიც დაემატა, რომ „შალკემ" „ბაიერნთან" საჩემპიონო შეხვედრაში ძალიან მშიშარა, უიდეო ფეხბურთი ითამაშა. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ „ბაიერნმა" გელზენკირხენიდან სამი ქულა წაიღო და სეზონის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე ლიდერობა დაიბრუნა. რეკორდმაისტერს სულ რაღაც 70 წამი ეყო იმისთვის, რომ მაგათის გუნდი ორი გასროლით განეგმირა და „ვერცხლის სინისკენ" დიდი ნაბიჯი გადაედგა. „ბაიერნმა" სამშაბათს „მანჩესტერთან" ურთულესი მატჩი გადაიტანა, ხვალ კიდევ ერთის გადატანა მოუწევს და ეს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელები ბოლო 49 წუთის განმავლობაში ათი კაცით თამაშობდნენ („ბაიერნს" **ჰამით ალთინთოფი** გაუძევეს).

*„დიდი გუნდი იმით იცნობა, რომ გადამწყვეტ მატჩში აჩვენებს და ამტკიცებს, რაც შეუძლია. „ბაიერნი" დღესდღეობით გერმანიაში საუკეთესო გუნდია და როცა საჭიროება მოითხოვს, ყოველთვის ყველას ვჯობნით ხოლმე,"* - ეს რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ული ჰიონესის** სიტყვებია.

რეკორდმაისტერმა თავისი რეალური შესაძლებლობები მართლაც ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში გამოაჩინა და ზუსტად ათ დღეში ორჯერ დაამარცხა „შალკე", თანაც, ორჯერვე გელზენკირხენში: ჯერ გერმანიის თასის ნახევარფინალში, ახლა კი გერმანიის საჩემპიონო მატჩში. მაგათს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რაც ხშირად გვითქვამს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, „შალკეს" არ ეყო კლასი იმისათვის, რომ სეზონის გადამწყვეტ ფაზაში „ბაიერნი" დაემარცხებინა. ამიტომაც იყო „დესპოტი ფელიქსი" უაღრესად თვითკრიტიკული: *„კითხვა ასე უნდა დაისვას: რატომ ვერ შევძელი გუნდის სათანადოდ მოტივირება ამ მატჩისთვის? პირველივე წუთიდან შიში გვეტყობოდა. „შალკე" ამ მატჩისთვის მენტალურად მზად არ აღმოჩნდა. ჩვენ შემტევი ფეხბურთის თამაში გვინდოდა, გვსურდა, „ბაიერნი" წნეხის ქვეშ მოგვექცია, მაგრამ ეს ვერ შევძელით. შესაბამისად, წავაგეთ და იმის თქმა მინდა, რომ ეს მარცხი პირველ რიგში ჩემი ბრალია."*

მიუნხენელთა მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** კი, საფინალო სასტვენის შემდეგ, თავისი გუნდის თამაშით, რა თქმა უნდა, ძალიან ამაყობდა: *„ჯერ „მანჩესტერი" დავამარცხეთ, ახლა კი „შალკესაც" მოვუგეთ, თანაც, სტუმრად და თანაც, ათი კაცით. ეს ფანტასტიკური მიღწევაა! მომდევნო ტურში, „ლევერკუზენსაც" თუ დავამარცხებთ, ვიტყვი, რომ ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს ვართ, რადგან „ლევერკუზენთან" შეხვედრის შემდეგ საკმაოდ იოლი მატჩები გველის."*

მოკლედ, ეს მართლა აღარ არის ის „ბაიერნი", რაც შარშან იყო. წელს მიუნხენელები ჰეთ-თრიკს უმიზნებენ: ბუნდესლიგაში ხომ ისევ გალიდერდნენ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის ძალიან კარგი შანსი აქვთ და 15 მაისს კი, ლუისის ბიჭები გერმანიის თასის ფინალშიც ითამაშებენ. ჰიონესი: *„ჯერ არ მინდა იმის თქმა, რომ ყველაფერს მოვიგებთ, მაგრამ ფაქტია, რომ შეიძლება, ეს მართლა „ბაიერნის" წელი იყოს!"*

ახლო წარსულში უძლეველ „ლევერკუზენს", დღეს ფრანკფურტის „აინტრახტიც" უგებს. ჩემპიონობის მესამე კანდიდატმა ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ **იუპ ჰაინკესის** გუნდი ამით „ვერცხლის სინზე" ოცნებას დაემშვიდობა. თვითონ განსაჯეთ: „ლევერკუზენს" ბოლო შვიდ ტურში მხოლოდ ერთი თამაში აქვს მოგებული - აუფვიდერზეენ!

...ეგ კიდევ არაფერი: მთავარი ის არის, რომ ჰაინკესის გუნდს მესამე ადგილის დაკარგვის საფრთხეც ემუქრება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგაშიც კი ვერ გავა! ცოტა ხნის წინ ეს უტოპიად ჟღერდა, დღეს კი, დორტმუნდის „ბორუსია" „ბაიერს" მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩება! თუმცა ჰაინკესი მაინც ოპტიმისტად რჩება და ამბობს, მესამე ადგილის შენარჩუნება შეგვიძლია და კიდეც შევინარჩუნებთო. ვნახოთ, დონ იუპ, ვნახოთ!

თუ დორტმუნდის „ბორუსია" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, ეს იქნება უდიდესი, მაგრამ დამსახურებული სენსაცია, რადგან „შავ-ყვითლები" მეორე წრეში ზუსტად ისე თამაშობენ, როგორც ამ გუნდს, მის ისტორიას და მის უერთგულეს ქომაგებს ეკადრება. „ბორუსიამ" უშუალო კონკურენტ „ვერდერსაც" მოუგო (2:1) და **იურგენ კლოპის** შეგირდებს ჩემპიონთა ლიგას მხოლოდ ერთი ქულაღა აშორებს! შესაბამისად, მთელი დორტმუნდი უდიდეს ეიფორიაშია, მაგრამ კლოპი ამ ეიფორიის ჩაცხრობას ცდილობს. *„ცხადია, ძალიან გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ, მაგრამ ეს არ ყოფილა ჩვენი მიზანი. დარჩენილი თამაშებიც უმაღლეს დონეზე უნდა ჩავატაროთ, რათა მიღწეული შევინარჩუნოთ და ხუთეულში მოვხვდეთ, მაგრამ თუ ბიჭები დღეიდან მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე იფიქრებენ, ევროპის ლიგის საგზურსაც დავკარგავთ!"* - განაცხადა მატჩის შემდეგ კლოპმა.

„ბორუსიას" მწვრთნელი ცამდე მართალია. მან კარგად იცის, რომ ეიფორია ხშირად დამღუპველია და ცდილობს, ფეხბურთელები მეცხრე ციდან ისევ მიწაზე დააბრუნოს, რადგან ისინი უკვე ალაპარაკდნენ „რეალთან", „ბარსელონასთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩებზე, სეზონის დამთავრებამდე კი ჯერ ხუთი ტურია დარჩენილი. დორტმუნდელი ქომაგები კი შაბათს ორმაგად ბედნიერები იყვნენ, რადგან მოსისხლე მტერმა, „შალკემ" წააგო. და „ვესტფალენშტადიონზე" კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ გაისმა ასეთი შინაარსის სიმღერა: *„შალკე" ვერასდროს გახდება გერმანიის ჩემპიონი..."*

მოგეხსენებათ, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** წნეხის ქვეშაა მოქცეული. მას მთელი საფეხბურთო გერმანია მოუწოდებს, **კევინ კურანი** შეიწყალე და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანეო. ეს უკანასკნელი კი ჯიუტობს და როგორც ჩანს, „შალკეს" თავდამსხმელის შეწყალებას არ აპირებს. თვითონ განსაჯეთ: „შალკე"-„ბაიერნი" მხოლოდ ტურის კი არა, ლამის სეზონის ცენტრალური მატჩი იყო, რომელშიც კურანიმ მე-18 გოლი გაიტანა, ლიოვი კი ადგა და სულ სხვა თამაშს, კერძოდ, „შტუტგარტისა" და „გლადბახის" პაექრობას დაესწრო - ვერავინ გაიგო, რატომ. „შტუტგარტმა" კი საკმაოდ კარგად ითამაშა, მიონხენგლადბახურ კლუბს 2:1 მოუგო და ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს. შვაბური კლუბიდან გოლები **მარიკამ** და **კუზმანოვიჩმა** გაიტანეს - ლიოვისთვის კი ერთიც უინტერესოა და მეორეც, რადგან არც ერთია გერმანელი და არც მეორე...

ბერლინის „ჰერტა" არ ნებდება და გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს. შაბათს ბერლინელები კიოლნში ჩავიდნენ და კიდევ ერთხელ გაგვაოცეს, რადგან შესანიშნავად იასპარეზეს და „თხები" 3:0 გაანადგურეს, რის შემდეგაც, ბერლინელთა თავკაცმა **ფრიდჰელმ ფუნკელმა** თქვა, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შეუძლებელი შევძლოთო. მიუხედავად მორიგი გამარჯვებისა, „ჰერტა" მაინც ბოლო ადგილზე რჩება, მაგრამ დედაქალაქელებს მე-16 ადგილზე მყოფ „ფრაიბურგთან" ახლა უკვე მხოლოდ 3 ქულა აშორებთ. რაც შეეხება „კიოლნს" - ერთი რამ ფაქტია: როცა ამ გუნდში **ლუკას პოდოლსკი** თამაშობს, „თხებს" უბრალოდ არაფერი გამოსდით. თვითონ განსაჯეთ: „კიოლნმა" მეორე წრეში სულ სამი თამაში მოიგო და სამივე პოდოლსკის გარეშე!

მოიგო და გადარჩენისკენ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა „ნიურნბერგმა", რომელსაც პროგრესს ვუწინასწარმეტყველებდით კიდეც, რადგან გავარდნის სხვა კანდიდატებთან შედარებით, „ნიურნბერგი" კარგი გუნდია. ფრანკებმა სამი უაღრესად მნიშვნელოვანი ქულა ფაქტობრივად უმოტივაციოდ დარჩენილ „მაინცთან" მოიპოვეს და მე-14 ადგილამდე აღზევდნენ. გადარჩენისთვის მებრძოლთა უშუალო დუელი კი, „ფრაიბურგი"-„ბოხუმი", ფრედ, 1:1 დასრულდა.

კვირას, „ვოლფსბურგმა", როგორც იქნა, გვაჩვენა, რატომ არის გერმანიის მოქმედი ჩემპიონი. „მგლებმა" „ჰოფენჰაიმს" გადაუარბინეს (4:0) და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების შანსი გაუჩნდათ. ეს ყველაფერი კი ისევ და ისევ **ედინ ჯეკოს** დამსახურებაა, რომელმაც დუბლი შეასრულა და ახლა უკვე 18 გოლი აქვს - ისევე, როგორც კურანის და ლევერკუზენელ **შტეფან კისლინგს**. „ვოლფსბურგს" სანატრელ ზონამდე მხოლოდ ორი ქულა აშორებს და საერთოდაც, ცხრილს თუ გადახედავთ, მაშინვე შეატყობთ, რომ ევროპის ლიგისთვის დიდი ომია გაჩაღებული. სწორედ ამ ომში განიცადა მორიგი კრახი „ჰამბურგმა". მართალია, **ბრუნო ლაბადიას** გუნდს არ წაუგია, მაგრამ საკუთარ მოედანზე, ერთ-ერთ აუტსაიდერ „ჰანოვერთან" ფრე (0:0), სწორედაც რომ წაგების ტოლფასია...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




ფრანკ რიბერიმ და კომპანიამ შალკეს ამბიციები 70 წამში ჩაახშვეს

### მომდევნო ტური

9 აპრილი. ბორუსია (მ)-აინტრახტი. 10 აპრილი. ჰერტა-შტუტგარტი, მაინცი-ბორუსია (დ), ჰანოვერი-შალკე, ჰოფენჰაიმი-კიოლნი, ვერდერი-ფრაიბურგი, ლევერკუზენი-ბაიერნი. 11 აპრილი. ბოხუმი-ჰამბურგი, ნიურნბერგი-ვოლფსბურგი.

### შალკე-ბაიერნი 1:2

**შალკე (4-3-2-1):** ნოიერი 3.5 - ჰიოვედესი 3.5 (85. შმიტცი), ვესტერმანი 3, ბორდონი 4, რაფინია 4 - კლუგე 4.5 (59. ჰაო 3.5), მატიპი 4 (43. ბაუმიოჰანი 4), რაკიტიჩი 4 - ედუ 5, ფარფანი 4 - კურანი 3.

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 3.5 - ლამი 3, ვან ბუიტენი 4 (22. დემიკელისი 3), ბადშტუბერი 3.5, კონტენტო 3 - ვან ბომელი 2, შვაინშტაიგერი 2 - ჰამით ალთინთოფი 4.5, რიბერი 3 (68. პრანიჩი 3.5) - თ. მიულერი 3, ოლიჩი 3.5 (70. გომესი 4).

**გოლები:** 0:1 რიბერი (25), 0:2 თ. მიულერი (26), 1:2 კურანი (31)

**გაძევება:** ჰამით ალთინთოფი (41. ბაიერნი), ბორდონი (94. შალკე)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 13(2)-8(2); **ჯარიმა:** 23-20; **კუთხური:** 1-5; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 61 673

### ფრაიბურგი-ბოხუმი 1:1

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** პუპლინი 3.5 - მუიჯა 3.5, ბართი 3, ბუტშერი 3, ბასტიანსი 3 - შუსტერი 3 - აბდესადკი 3.5, ფლუმი 4, სისე 3.5, იეგერი 3 - იდრისუ 3.

**ბოხუმი (4-2-3-1):** ჰეერვაგენი 5 - პფერტცელი 4, იაია 3.5, მავრაი 4, ფუხსი 3 - დაბროვსკი 3.5, ბიონიგი 4 (83. იუჰანსონი) - ფრაიერი 4, ჰოლტბი 4.5, დედიჩი 5 (79. კეფკირი) - შესტაკი 5 (90. ჰაშემიანი).

**გოლები:** 1:0 სისე (18), 1:1 დაბროვსკი (23)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 19(8)-5(2); **ჯარიმა:** 16-17; **კუთხური:** 10-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 21 500

### შტუტგარტი-ბორუსია (მ) 2:1

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 3.5 - ბულარუზი 3.5, ტასკი 4, დელპიერი 3.5, მოლინარო 3 - ტრეში 2.5, კუზმანოვიჩი 2 (87. ოსორიო) - გებჰარდტი 4.5 (57. შიბერი 3.5), ჰილბერტი 3.5 (73. ჩელოცი) - მარიკა 2.5, პოგრებნიაკი 5.

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 2.5 - ლეველსი 4, ბრუვერსი 4, დანტე 3.5, დემსი 4 - მარქსი 3, ბრედლი 4 (87. კოლაუტი) - როისი 3, არანგო 4 (78. ჰერმანი) - მატმური 3.5, ფრენდი 4.5 (72. ბობადილია).

**გოლები:** 0:1 როისი (33), 1:1 მარიკა (66), 2:1 კუზმანოვიჩი (83)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 18(7)-12(1); **ჯარიმა:** 16-10; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 42 000

### ბორუსია (დ)-ვერდერი 2:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 2.5 - ოვომოიელა 2.5, სუბოტიჩი 3, ჰუმელსი 2.5 (77. ფელიპე სანტანა), შმელცერი 3 - კელი 4 (46. ს. ბენდერი 4), ნ. შაჰინი 3 - ბლაშჩიკოვსკი 3.5, ზიდანი 3.5 (68. ჰაინალი 3.5), გროსკროიტცი 3 - ბარიოსი 3.5.

**ვერდერი (4-2-2-2):** ვიზე 3 - ფრიტცი 4, მერტეზაკერი 3.5, ნალდო 4.5, პასანენი 4 (69. ბიონიში 4) - ბარგფრედე 3.5, ჰანტი 3 - იოზილი 3, მარინი 4 (46. დ. იენსენი 3.5) - პისარო 3.5, უგო ალმეიდა 4.5.

**გოლები:** 1:0 გროსკროიტცი (9), 2:0 სუბოტიჩი (22), 2:1 ჰანტი (65)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 14(6)-12(4); **ჯარიმა:** 15-18; **კუთხური:** 6-8; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 80 552

### აინტრახტი-ლევერკუზენი 3:2

**აინტრახტი (4-2-2-2):** ნიკოლოვი 3.5 - იუნგი 4, ფრანცი 3.5, რუსი 2.5, კიოლერი 3.5 - ა. მაიერი 3, ტებერი 3.5 (59. ფენინი 3.5) - ბ. ოხსი 3 (85. მ. ჰელერი), ქორქმაზი 3 (89. ცუმუ) - კაიო 2, ჰალილ ალთინთოფი 4.

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი 3.5 - შვააბი 5.5, მ. ფრიდრიხი 4, ჰიიპია 3.5, კასტრო 4 - რაინარტცი 4.5, ვიდალი 3 - ბარნეტა 3.5 (89. ლ ბენდერი), კროოსი 3 (54. კადლეცი 4) - დერდიოკი 4, კისლინგი 2.

**გოლები:** 1:0 ტებერი (28-პენ), 1:1 კისლინგი (33), 1:2 კისლინგი (46), 2:2 კაიო (62), 3:2 ფრანცი (89)

**გაძევება:** შვააბი (49. ლევერკუზენი)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 14(5)-15(6); **ჯარიმა:** 18-22; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 50 900

### ნიურნბერგი-მაინცი 2:0

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 3.5 - დიკმაიერი 3.5, ვოლფი 3, მარო 3.5, პინოლა 2.5 - ოტლი 2.5, გიუნდოგანი 2.5 (90. ნორდტვეიტი) - რისე 2 (85. იუდტი), ფრანტცი 3 (63. მინტალი 4), ბუნიაკუ 3.5 - ჩუპო-მოტინგი 2.5.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი 3 - ფ. ჰელერი 4.5 (46. ზაბავნიკი 4), სვენსონი 4, ნოვესკი 4.5, ფათი 4.5 - კარჰანი 4.5 - პოლანსკი 5 (37. ამრი 4.5), სოტო 5 - ივანშიტცი - შალაი 4 (84. ბორხა), შიურლე 4.5.

**გოლები:** 1:0 ფრანტცი (14), 2:0 ჩუპო-მოტინგი (40)

**გაძევება:** ივანშიტცი (4. მაინცი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 20(5)-6(3); **ჯარიმა:** 14-18; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 40 000

### კიოლნი-ჰერტა 0:3

**კიოლნი (4-2-3-1):** მონდრაგონი 5 - მაკენა 4, ჟეირომელი 5, მოჰამადი 6, ბრეჩკო 4 - მანიშე 5, პეტიტი 5 - ტოშიჩი 6, პოდოლსკი 5 (62. ბროზინსკი 4), ფრაისი 5 (46. ერეთი 5) - ნოვაკოვიჩი 5.5 (46. იშიაკუ 5).

**ჰერტა (4-1-2-1-2):** დრობნი 3 - პიშჩეკი 3, ა. ფრიდრიხი 2, ფონ ბერგენი 2.5, კობიაშვილი 3 - ლუსტენბერგერი 3 (65. დარდაი 3.5) - კაჩარი 3.5, სისერო 2.5 (84. იანკერი) - რაფაელი 2 - გეკასი 3.5 (79. დომოვჩიისკი), რამოსი 2.

**გოლები:** 0:1 რაფაელი (25), 0:2 რაფაელი (45+1), 0:3 სისერო (75)

**გაძევება:** მოჰამადი (73. კიოლნი), ტოშიჩი (87. კიოლნი)

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 10(3)-9(4); **ჯარიმა:** 19-14; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 46 000

### ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი 4:0

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო 2.5 - პეკარიკი 3, რიტერი 3, ბარძალი 2, მ. შეფერი 4 - ჟოსუე 4 (46. სანტანა 3.5) - ჰასებე 3.5 (83. კალენბერგი), გენტნერი 3 (81. დეჟაგა) - მიშიმოვიჩი 2 - გრაფიტე 4, ჯეკო 1.5.

**ჰოფენჰაიმი (4-3-2-1):** ჰაასი 4 - ბეკი 4, ნილსონი 4, კომპერი 5, იბერტსბერგერი 3.5 (46. ობასი 5) - ვუკჩევიჩი 4, ლუის გუსტავო 5.5 (58. აიხნერი 4.5), სალიჰოვიჩი 4.5 - კარლოს ედუარდო 4, მაიკოსუელი 4 (64. ტაგო 4) - იბიშევიჩი 4.5.

**გოლები:** 1:0 ჯეკო (25), 2:0 ბარძალი (51), 3:0 მიშიმოვიჩი (74), 4:0 ჯეკო (75)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 10(5)-22(7); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 28 107

### ჰამბურგი-ჰანოვერი 0:0

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი 3.5 - რინკონი 4 (67. ტეშე 4), ჟ. ბოატენგი 3.5, მატიისენი 3.5, აოგო 2.5 - იაროლიმი 3.5, ზე რობერტო 4 - პიტროიპა 4, თორუნი 5 (66. ტროხოვსკი 4) - ვან ნისტელროი 5.5 (46. გერერო 4.5), ბერგი 4.

**ჰანოვერი (4-2-2-1-1):** ფრომლოვიტცი 2.5 - ჩერუნდოლო 4, ჰაგი 4.5, ეგიმანი 3, კ. შულცი 3.5 - ანდრეასენი 4 (60. ჩაჰედი 3.5), რაუში 3.5 (82. დურიცა) - შტაინერი 4.5, შმიდებახი 3 (80. ბრუგინკი) - პინტუ 3.5 - ია კონანი 4.5.

**გაძევება:** შტაინერი (59. ჰანოვერი)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 10(2)-7(0); **ჯარიმა:** 20-14; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 67%-34%.

**მაყურებელი:** 57 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 29 | 17 | 8 | 4 | 57-27 | 59 |
| 2. შალკე | 29 | 17 | 7 | 5 | 47-24 | 58 |
| 3. ლევერკუზენი | 29 | 14 | 11 | 4 | 58-33 | 53 |
| 4. ბორუსია (დ) | 29 | 15 | 7 | 7 | 48-34 | 52 |
| 5. ვერდერი | 29 | 13 | 9 | 7 | 59-37 | 48 |
| 6. ჰამბურგი | 29 | 11 | 12 | 6 | 48-33 | 45 |
| 7. შტუტგარტი | 29 | 12 | 8 | 9 | 43-37 | 44 |
| 8. აინტრახტი | 29 | 12 | 8 | 9 | 40-42 | 44 |
| 9. ვოლფსბურგი | 29 | 12 | 7 | 10 | 56-51 | 43 |
| 10. მაინცი | 29 | 10 | 8 | 11 | 29-37 | 38 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 7 | 13 | 35-36 | 34 |
| 12. ბორუსია (მ) | 29 | 9 | 7 | 13 | 37-49 | 34 |
| 13. კიოლნი | 29 | 7 | 10 | 12 | 27-38 | 31 |
| 14. ნიურნბერგი | 29 | 7 | 7 | 15 | 28-47 | 28 |
| 15. ბოხუმი | 29 | 6 | 10 | 13 | 31-52 | 28 |
| 16. ფრაიბურგი | 29 | 6 | 7 | 16 | 27-51 | 25 |
| 17. ჰანოვერი | 29 | 6 | 6 | 17 | 30-54 | 24 |
| 18. ჰერტა | 29 | 5 | 7 | 17 | 30-48 | 22 |

**ბომბარდირები:** 18 - ჯეკო (ვოლფსბურგი), კისლინგი (ლევერკუზენი), კურანი (შალკე); 15 - ბარიოსი (ბორუსია დ); 12 - ბუნიაკუ (ნიურნბერგი), დერდიოკი (ლევერკუზენი), პისარო (ვერდერი); 10 - გომესი (ბაიერნი), რობენი (ბაიერნი); 9 - გრაფიტე (ვოლფსბურგი), იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), კროოსი (ლევერკუზენი), მიშიმოვიჩი (ვოლფსბურგი), რამოსი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

### XXIX ტური

**უნიონი-კარლსრუე 1:1**

გოლები: 1:0 მატუშკა (10-პენ), 1:1 ა. ფინკი (15)

**ალენი-დუისბურგი 0:1**

გოლი: 0:1 ადლერი (75)

**მიუნხენ 1860-კოტბუსი 1:2**

გოლები: 0:1 პეტერსენი (9), 1:1 რიოსლერი (35), 1:2 ანგელოვი (39)

**ჰანზა-ალემანია 2:0**

გოლები: 1:0 იუჰანსონი (6), 2:0 იუჰანსონი (58)

**აუგსბურგი-ფიურტი 1:1**

გოლები: 0:1 ნიოთე (12), 1:1 თურკი (49)

**ობერჰაუზენი-კაიზერსლაუტ. 2:1**

გოლები: 0:1 იენდრიშეკი (29), 1:1 შტოპელკამპი (61), 2:1 კაია (77-პენ)

**არმინია-ფრანკფურტი 2:1**

გოლები: 0:1 კლიტცპერა (57), 1:1 ლამეი (59), 2:1 ფორტი (63)

**კობლენცი-პადერბორნი 2:1**

გოლები: 0:1 კრაუსე (22), 1:1 კაპლანი (70), 2:1 გუნკელი (75)

**ფორტუნა-ზტ. პაული 1:0**

გოლი: 1:0 ჰაიდინგერი (48)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 29 | 18 | 7 | 4 | 50-22 | 61 |
| 2. ზტ. პაული | 29 | 17 | 4 | 8 | 57-31 | 55 |
| 3. აუგსბურგი | 29 | 15 | 9 | 5 | 55-35 | 54 |
| 4. ფორტუნა | 29 | 14 | 7 | 8 | 39-25 | 49 |
| 5. დუისბურგი | 29 | 14 | 6 | 9 | 47-38 | 48 |
| 6. არმინია | 29 | 15 | 4 | 10 | 43-31 | 45 |
| 7. მიუნხენ 1860 | 29 | 12 | 5 | 12 | 36-39 | 41 |
| 8. ფიურტი | 29 | 12 | 4 | 13 | 45-41 | 40 |
| 9. პადერბორნი | 29 | 10 | 8 | 11 | 39-44 | 38 |
| 10. კოტბუსი | 29 | 10 | 7 | 12 | 42-40 | 37 |
| 11. უნიონი | 29 | 9 | 10 | 10 | 34-37 | 37 |
| 12. ალემანია | 29 | 10 | 7 | 12 | 31-35 | 37 |
| 13. ობერჰაუზენი | 29 | 11 | 4 | 14 | 31-45 | 37 |
| 14. კარლსრუე | 29 | 10 | 5 | 14 | 36-41 | 35 |
| 15. ჰანზა | 29 | 9 | 5 | 15 | 29-38 | 32 |
| 16. ფრანკფურტი | 29 | 7 | 8 | 14 | 24-47 | 29 |
| 17. კობლენცი | 29 | 7 | 6 | 16 | 28-48 | 27 |
| 18. ალენი | 29 | 5 | 6 | 18 | 18-47 | 21 |

**ბომბარდირები:** 22 - თურკი (აუგსბურგი); 15 - ებერსი (ზტ. პაული); 14 - იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი); 12 - აუერი (ალემანია), ფედერიკო (არმინია), ჰარნიკი (ფორტუნა), ნიოთე (ფიურტი), ზალიკი (პადერბორნი).

### III ბუნდესლიგა

**უნტერჰახინგი-რეგენსბურგი 2:0, ინგოლშტადტი-კარლ ცაისი 2:2, ერფურტი-აუე 0:0, ოსნაბრიუკი-ბაიერნი II 4:1, კილი-ვეენი 1:1, ბურგჰაუზენი-შტუტგარტი II 3:0, ბრაუნშვაიგი-ვუპერტალი 3:0, ვერდერი II-ჰაიდენჰაიმი 1:1, ოფენბახი-დრეზდენი 1:0, ბორუსია (დ) II-ზანდჰაუზენი 2:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრიმერა კლასიკომდე მივიდა

## გვარდიოლამ, ჯერ არსენალიო


ამ დუეტმა სეზონში 51 გოლი გაიტანა

მაშ ასე, „ელ კლასიკოსთვის" ინტრიგა სრულად შენარჩუნებულია - ჩემპიონატის მთავარ მატჩამდე „რეალი" და „ბარსელონა" ქულათა ერთნაირი მარაგით (77-77) მივიდნენ. „რეალის" ლიდერობა მხოლოდ სიმბოლურია, რადგან ფრე „სანტიაგო ბერნაბეუზე" უკვე კატალონიელებს აძლევთ ხელს (თანაბარი ქულების შემთხვევაში ესპანეთში, უპირველესად, ურთიერთშეხვედრებს ანიჭებენ უპირატესობას). „ბარსელონამ" შინ 4:1 გაანადგურა ბასკური „ბილბაო", ხოლო „რეალმა" კატნაბრიაში უპრობლემოდ მოიპოვა 3 ქულა „რასინგთან" დაპირისპირებაში - 2:0.

**ხოსეპ გვარდიოლამ** პირველად უღალატა ტაქტიკურ სქემას და 4-3-3-ის ნაცვლად ორი თავდამსხმელით ითამაშა, თუმცა სიურპრიზები ამით არ ამოწურულა: პეპმა **ჩიგრინსკი** გაიხსენა, ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა **აბიდალმა**, თუმცა **მაქსველს** სასტარტოში ადგილი არ დაუკარგავს, ის მწვრთნელმა ნახევარდაცვაში წასწია, რომლის საპირისპირო ფლანგზე ახალგაზრდა **ჟეფრენ სუარესი** დააყენა, თავდასხმის წყვილი კი ალბათ პრიმერაში ყველაზე მსუბუქწონიანი გამოცადა - **ლეო მესის ბოიან კრკიჩი** შეუწყვილა. აბსოლუტურად ყველა ინოვაციამ გაუმართლა ახალგაზრდა მწვრთნელს, განსაკუთრებით კი ბოიანის დაწინაურებამ. **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** მოთელვაზე მიიღო კოჭის ტრავმა (შვედი ფორვარდი „არსენალთანაც" ვერ ითამაშებს), ასე რომ, პეპის ცვლილებათა ნაწილი გარკვეულწილად იძულებითი ხასიათისა იყო.

ანგარიში 26-ე წუთზე გაიხსნა, როცა აბიდალის ჩაწოდებულს შორეულ ძელთან ჟეფრენმა მიუსწრო. 33-ე წუთზე „ატლეტიკს" უნდა გაეთანაბრებინა, **კარლეს პუიოლმა** საკუთარ ნახევარზე დაკარგა ბურთი, **იგორ გაბილონდომ** კი საჯარიმოში **ფერნანდო ლორენტე** მოძებნა, ფორვარდმა უკრაინელ მცველთან ჭიდილში საკმაოდ გადააცილა **ვალდესის** კარს. 41-ე წუთზე ბოიანმა გამოიჩინა თავი, მან პუიოლის პასი მიიღო და **გორკა ირაისოსის** დაჯაბნა არ გასჭირვებია - 2:0.

58-ე წუთზე კრკიჩმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა, 19 წლის ფორვარდს აბიდალმა დაუბრუნა ბურთი და საჯარიმოს მისადგომიდან ბოიანმა ცხრიანში გაიტანა. 66-ე წუთზე პიჩიჩისთვის ბრძოლაში ლიდერმა არგენტინელმაც გაიტანა, მას შემდეგ, რაც მარჯვნიდან **პედრომ** გადააწოდა პასი - 4:0. ბასკებმა პრესტიჟის გოლის გატანალა მოახერხეს, **იესტეს** პასით მარცხნიდან შეჭრილმა **სუსაეტამ** გაიტანა - 4:1.

**პეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ბოლო მატჩებში გუნდის თამაშით ერთობ კმაყოფილი ვარ. მუდმივად ვუტევთ და არც მოტივაციის ნაკლებობას განვიცდით. ახლა კი ყველანი „არსენალთან" მატჩზე ვფიქრობთ, სწორედ ეს შეხვედრაა ჩვენთვის უფრო პრიორიტეტული, ვიდრე „რეალთან" დაპირისპირება. მთელ კატალონიას ვთხოვ, მოვიდეს და მხარი დაგვიჭიროს".*

**ხოაკინ კაპაროსი** (ბილბაო): *„ჩვენი გუნდის ნამდვილი ძალა ასეთ თამაშებში უნდა ვაჩვენოთ. თუკი მართლა რამე შეგვიძლია ეს „კამპ ნოუზე" უნდა დაამტკიცო. ჩვენ კი ვეცადეთ, მაგრამ ბევრი არაფერი გამოგვივიდა. შანსები ჩვენც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. როცა „ბარსა" ბურთის კონტროლს ხელში იგდებს, უბედურებას უნდა ელოდო, ასეც მოხდა, მეორე ტაიმში პირწმინდად გვაჯობეს".*

„რეალის" პასუხი საკმაოდ დამაჯერებელი გამოდგა, თუმცა არცთუ თვალსასეირო. **გონსალო იგუაინის** გოლი „სამეფო კლუბისთვის" მე-100 გამოდგა ამ სეზონში (83 ლა ლიგაში, 16 ჩემპიონთა ლიგაში და ერთიც „სამეფო თასზე"). 100 გოლიდან 51 კი თავდასხმის წყვილზე მოდის **კრიშტიანო რონალდო**-გონსალო იგუაინი. მათ კანტაბრიაშიც გამოიჩინეს თავი.

„რეალმა", რომლის სასტარტოშიც 3-თვიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა გერმანელი მცველი **კრისტოფ მეტცელდერი**, ჩემპიონატში ზედიზედ მე-12 მატჩი მოიგო. „რასინგმა" ყოჩაღად კი დაიწყო, განსაკუთრებით **სერხიო კანალესი** აქტიურობდა, მაგრამ „რეალმა" მალევე იგდო თამაშის სადავეები ხელთ. შუა ტაიმში კრიშტიანო რონალდო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დრიბლინგით შეიჭრა „რასინგის" საჯარიმოში და **მორატონმა** ის აკრძალული ხერხით შეაჩერა. პენალტი თავად დაზარალებულმა გამოიყენა - 0:1.

„რეალის" გამარჯვებაში ეჭვი ალარავის შეჰპარვია, მას შემდეგ, რაც შეცვლაზე შესულმა **გუტიმ** გარღვევაზე იგუიანი გაიყვანა და არგენტინელმაც სეზონში 24-ე გოლი შეაგდო - 0:2.

**მანუელ პელეგრინი** (რეალი): *„დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სამ ქულას და ჩვენც, პირველ რიგში, შედეგზე ვითამაშეთ. მართალია, ციდან ვარსკვლავები არ მოგვიწყვეტია, მაგრამ მეტი შანსი გვქონდა და ორი გოლიც გავიტანეთ, ასე რომ, დამსახურებულად მოვიგეთ. ახლა კი მხოლოდ „ბარსაზე" ვფიქრობთ. იმედია, გამარჯვებას და გულშემატკივართა გახარებას შევძლებთ".*

სხვა მატჩებიდან მადრიდულ შეხვედრას გამოვყოფთ, 50 ათასი გულშემატკივარი დაესწრო „ვისენტე კალდერონზე" გამართულ მატჩს „დეპორტივოს" წინააღმდეგ. **კიკე ფლორესის** „ატლეტიკომ" ძალიან იოლ გამარჯვებას მიაღწია - 3:0. ვფიქრობთ, ევროთასებისთვის ბრძოლაში ჯერ „ათლეტთა" ჩამოწერა არ შეიძლება.

ანგარიში **ხუანიტომ** გახსნა, რომელმაც გალისიელთა საჯარიმოში არეულობით ისარგებლა. მატჩის ბედი კი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა, როცა ოთხწუთიან მონაკვეთში „ატლეტიკომ" ორი გოლი გაიტანა. **არანსუბიამ აგუეროს** და **სიმაოს** დარტყმები მოიგერია, მაგრამ იქვე დადარაჯებულ **ფორლანს** ველარაფერი მოუხერხა და ურუგვაელმაც თავით გაიტანა. სტუმართა რბევას წერტილი **ტიაგომ** დაუსვა, რომელიც **უიფალუშის** პასს მეკარის ბაქანზე დაელოდა - 3:0.

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცით. ახლა ყველა „ვალენსიასთან" თამაშზე ვფიქრობთ, ეს ეტაპი უნდა გავიაროთ, გულშემატკივრებს კი აქტიური მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ".*

სხვა მატჩებიდან „ოსასუნასთან" „ვალენსიას" დამაჯერებელ გამარჯვებას აღვნიშნავთ. მატჩის მიწურულს **დავიდ ვილიამ** დუბლი შეასრულა - 3:0. ვილიას ანგარიშზე უკვე 20 გოლია ამ სეზონში. **პიერ ვებოს** გვიანმა გოლმა „მალიორკას" სტუმრად „ალმერიასთან" ქულა მოუპოვა - 1:1. „სევილიამ" კი იოლად, 3:0 დაამარცხა გასავარდნად განწირული „ტენერიფე" და ქულებით ბალეარულ გუნდს დაეწია. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომტან მე-4 ადგილისთვის „მალიორკასა" და „სევილიას" გარდა კიდევ ხუთი გუნდი იბრძვის, მათ შორის - „ატლეტიკო". „ვილიარეალმა" **ნილმარისა და ანხელ ლოპესის** გოლების წყალობით სტუმრად 2:0 დაამარცა შინააშლილობისგან კიდევ უფრო დასუსტებული „ვალიადოლიდი". ევროთასების საგზურისთვის ბრძოლაში რჩება „ხეტაფე", რომელიც შინ 1:1 დაუზავდა „ესპანიოლს".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

10 აპრილი. მალაგა-სევილია, **ტენერიფე-ვალიადოლიდი, ვილიარეალი-სპორტინგი, ხერესი-ხეტაფე, რეალი-ბარსელონა. 11 აპრილი. ბილბაო-ალმერია, დეპორტივო-რასინგი, ოსასუნა-სარაგოსა, ესპანიოლი-ატლეტიკო, მალიორკა-ვალენსია.**

### სარაგოსა-მალაგა 2:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, პონსიო - ედმილსონი, გაბი - არისმენდი (80. კოლუნგა), ანდერი (73. აგილარი), ელიზეუ - სუასო (87. ხ. ლოპესი).

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გამესი, ხუანიტო, გონსალესი, მ. ტორესი (53. ლუკე) - აპონიო, ტორიბიო (63. ედუ რამოსი) - ვალდო, ფერნანდო (53. ხუანმი), დუდა - ბა.

**გოლები:** 1:0 პონსიო (45), 2:0 სუასო (75)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 15-8 (6-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 25 000

### სევილია-ტენერიფე 3:0

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი (66. ხოსე კარლოსი), დრაგუტინოვიჩი (77. რომარიკი), ესკუდე, ნავარო - ადრიანო, რენატო, ლოლო, კაპელი - ლ. ფაბიანო, კანუტე (73. ნეგრედო).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, ლუნა (73. ანხელი), მანოლო, სისილია - რიკარდო, რიჩი - ხუანლუ (55. ომარი), ნინო, აიოსე - დინეი (87. საისარი).

**გოლები:** 1:0 კანუტე (22), 2:0 ლ. ფაბიანო (44), 3:0 ხოსე კარლოსი (88)

**გაფრთხილება:** 5-4; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-15 (5-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 30 000

### ბარსელონა-ბილბაო 4:1

**ბარსელონა (4-4-2):** ვალდესი - პუიოლი, პიკე, ჩიგრინსკი, აბიდალი - ჟეფრენი (59. პედრო), ბუსკეტსი (52. ჩავი), ტურე (75. ჯონათანი), მაქსველი - მესი, კრკიჩი.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კოიკილი - დ. ლოპესი (46. იესტე), მარტინესი, გურპეგი, გაბილონდო (46. ტოკერო) - სუსაეტა, ლორენტე (69. იტურასპე).

**გოლები:** 1:0 ჟეფრენი (26), 2:0 კრკიჩი (41), 3:0 კრკიჩი (58), 4:0 მესი (66), 4:1 სუსაეტა (76)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-10; **ჯარიმა:** 5-8; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-14 (7-5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 94 000

### ვალენსია-ოსასუნა 3:0

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, დეალბერტი (14. ბარახა), მადურო, ალბა - ბანეგა, ფერნანდეში - ხოაკინი (68. პ. ერნანდესი), სილვა, მატა (85. ვისენტე) - ვილია.

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - კამუნიასი, ნეკუნამი (86. რუპერი), ვადოში, კალეხა (69. ხოკინი) - პანდიანი (75. მასუდი), არანდა.

**გოლები:** 1:0 ხოაკინი (47), 2:0 ვილია (89), 3:0 ვილია (93-პენ)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 18-14 (7-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 30 000

### ალმერია-მალიორკა 1:1

**ალმერია (3-5-2):** დ. ალვეში - სისმა, პელერანო, მასედო - კრუსატი, ვარგასი, ბერნარდელო, მბამი, პიატი (81. ხოსე ორტისი) - უჩე, სორიანო.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - მატიონი, ნუნიესი, რამისი, აიოსე - სუარესი (46. ვარელა), მარტი - ვიქტორი (71. კეიტა), ბ. ვალერო, კასტრო - ადურისი (65. ვებო).

**გოლები:** 1:0 უჩე (4), 1:1 ვებო (87)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 16-17 (6-8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 16 000

### ხეტაფე-ესპანიოლი 1:1

**ხეტაფე (4-3-3):** კოდინა - მ. ტორესი (71. კორტესი), რაფა, ბელენგერი, მანე - ბოატენგი, კასკერო, ა. გონსალესი (67. გავილანი) - პ. ლეონი, მიკუ, მანუ (68. პარეხო).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, პარეხა, რუისი, დიდაცი - მოისესი, ბაენა - მარკესი (53. კორომინასი), ლ. გარსია (71. ვერდიუ), კალეხონი - ოსვალდო (79. ალონსო).

**გოლები:** 1:0 მანუ (27), 1:1 ოსვალდო (50)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 17-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 8 500

### სპორტინგი-ხერესი 2:2

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია (68. ერნანდესი), გრეგორი, კანელია - რივერა, კამაჩო (86. მატაბუენა) - მორანი (70. კიკე მატეო), დე ლას კუევასი, კასტრო - ბარალი.

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - რედონდო, ხიოდა, აიტამი, კასადო - სანჩესი, კეიტა - ორელანა (72. ალუსტისა), კალვო (62. არმენტეროსი), მომო (67. მიჩელი) - ბერმეხო.

**გოლები:** 1:0 რივერა (13), 1:1 ბერმეხო (52), 2:1 დე ლას კუევასი (56), 2:2 ალუსტისა (79)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 15-12 (7-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 000

### ვალიადოლ.-ვილიარეალი 0:2

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ფაბრისიო - პ. ლოპესი, სერენო, დელ ორნო, მარკოსი - ბორხა, ფონტი (56. მედუნიანინი), კეკო (62. სისი), კანობიო, მარკიტოსი (34. ს. გარსია) - კოშტა.

**ვილიარეალი (4-3-3):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილია - იბაგასა (87. კასორლა), ბრუნო, კანი - ნილმარი, როსი (68. სენა), ხ. ლორენტე (78. პირესი).

**გოლები:** 0:1 ა. ლოპესი (9), 0:2 ნილმარი (59)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-9; **კარში დარტყმა:** 15-12 (5-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 000

### რასინგი-რეალი 0:2

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - პინილიოსი, ტორეხონი, მორატონი, კრისტიანი - კოლსა, დიოპი - მუნიტისი (67. სერანო), კანალესი, არანა (80. ლასენი) - ტჩიტე (66. ბოლადო).

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, მეტცელდერი, მარსელო - გრანერო (60. გუტი), მ. დიარა, გაგო, ვან დერ ვაარტი (72. რაული) - იგუაინი (89. მ. ალონსო), რონალდო.

**გოლები:** 0:1 რონალდო (23-პენ), 0:2 იგუაინი (76)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 26-12; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 5-16 (2-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 271

### ატლეტიკო-დეპორტივო 3:0

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, ხუანიტო, დომინგესი, ა. ლოპესი - ხურადო, კამაჩო, ტიაგო, სიმაო (85. მოლინო) - აგუერო (68. სალვიო), ფორლანი (63. იბრაჰიმა).

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, ლოპო, კოლოტო, ლაურე - სერხიო (81. რაული), ტომასი - როდრიგესი, ვალერონი (55. რიკი), გუარდადო - ადრიანი (66. ი. პერესი).

**გოლები:** 1:0 ხუანიტო (22), 2:0 ფორლანი (56), 3:0 ტიაგო (60)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 18-6 (10-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 30 | 25 | 2 | 3 | 83-26 | 77 |
| 2. ბარსელონა | 30 | 24 | 5 | 1 | 75-19 | 77 |
| 3. ვალენსია | 30 | 16 | 8 | 6 | 48-32 | 56 |
| 4. მალიორკა | 30 | 14 | 6 | 10 | 46-34 | 48 |
| 5. სევილია | 30 | 14 | 6 | 10 | 43-35 | 48 |
| 6. ბილბაო | 30 | 13 | 6 | 11 | 41-41 | 45 |
| 7. ვილიარეალი | 30 | 12 | 7 | 11 | 45-41 | 43 |
| 8. დეპორტივო | 30 | 12 | 6 | 12 | 32-38 | 42 |
| 9. ხეტაფე | 30 | 12 | 5 | 13 | 42-40 | 41 |
| 10. ატლეტიკო | 30 | 11 | 7 | 12 | 47-45 | 40 |
| 11. სპორტინგი | 30 | 9 | 10 | 11 | 33-38 | 37 |
| 12. ალმერია | 30 | 9 | 10 | 11 | 32-39 | 37 |
| 13. ოსასუნა | 30 | 9 | 7 | 14 | 26-35 | 34 |
| 14. ესპანიოლი | 30 | 8 | 10 | 12 | 22-37 | 34 |
| 15. სარაგოსა | 30 | 8 | 8 | 14 | 37-53 | 32 |
| 16. მალაგა | 30 | 7 | 10 | 13 | 34-38 | 31 |
| 17. რასინგი | 30 | 7 | 10 | 13 | 30-44 | 31 |
| 18. ტენერიფე | 30 | 6 | 7 | 17 | 29-61 | 25 |
| 19. ვალიადოლიდი | 30 | 4 | 12 | 14 | 30-53 | 24 |
| 20. ხერესი | 30 | 5 | 8 | 17 | 26-52 | 23 |

**ბომბარდირები:** 26 - მესი (ბარსელონა); 24 - იგუაინი (რეალი); 20 - ვილია (ვალენსია); 18 - რონალდო (რეალი); 16 - ფორლანი (ატლეტიკო); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 12 - სოლდადო (ხეტაფე), ლორენტე (ბილბაო); 10 - ნილმარი (ვილიარეალი), აგუერო (ატლეტიკო), ნინო (ტენერიფე), ლ. ფაბიანო (სევილია), კასტრო (სპორტინგი).

### სეგუნდა დივიზიონი

### XXXI ტური

**ნუმანსია-ლევანტე 0:1**
გოლი: 0:1 სუარესი (52-პენ)

**მურსია-ალბასეტე 0:2**
გოლები: 0:1 სოუსა (89), 0:2 ლოპესი (90)
გაძევება: ფერნანდესი (85. მურსია)

**ლას პალმასი-კარტახენა 0:1**
გოლი: 0:1 ვიქტორი (48-პენ)

**უესკა-კორდობა 0:0**

**ხიმნასტიკი-უელვა 1:1**
გოლები: 1:0 რობერტო (13), 1:1 კარმონა (24)

**ელჩე-რაიო ვალეკანო 2:2**
გოლები: 1:0 ტრეხო (19), მოლინა (44-პენ), 2:1 პაჩონი (48), 2:2 კოკე (59)
გაძევება: ტრეხო (45. ელჩე), მოლინა (88. ელჩე)

**სელტა-უნიონი 0:1**
გოლი: 0:1 რომო (81-პენ)
გაძევება: სანსი (65. უნიონი), მალო (80. სელტა)

**სოსიედადი-ერკულესი 1:0**
გოლი: 1:0 ნსუე (33)

**ხირონა-სალამანკა 1:0**
გოლი: 1:0 პერაგონი (20)

**კადისი-კასტელონი 1:0**
გოლი: 1:0 კუესტა (32)

**ვილიარეალი B-ბეტისი 2:2**
გოლები: 1:0 ვიტე (40), 1:1 ემანა (55), 2:1 ვიტე (60), 2:2 კაფა (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 31 | 16 | 10 | 5 | 43-27 | 58 |
| 2. ერკულესი | 31 | 14 | 10 | 7 | 41-26 | 52 |
| 3. კარტახენა | 31 | 14 | 9 | 8 | 43-30 | 51 |
| 4. ბეტისი | 31 | 13 | 10 | 8 | 44-31 | 49 |
| 5. ლევანტე | 31 | 12 | 13 | 6 | 41-30 | 49 |
| 6. ნუმანსია | 31 | 13 | 8 | 10 | 39-34 | 47 |
| 7. ვილიარეალი B | 31 | 12 | 10 | 9 | 46-41 | 46 |
| 8. ელჩე | 31 | 12 | 9 | 10 | 44-42 | 45 |
| 9. ხირონა | 31 | 11 | 10 | 10 | 39-39 | 43 |
| 10. კორდობა | 31 | 10 | 12 | 9 | 26-28 | 42 |
| 11. ხიმნასტიკი | 31 | 11 | 7 | 13 | 30-39 | 40 |
| 12. სელტა | 31 | 9 | 12 | 10 | 27-29 | 39 |
| 13. უელვა | 31 | 9 | 12 | 10 | 28-30 | 39 |
| 14. უესკა | 31 | 8 | 14 | 9 | 24-25 | 38 |
| 15. მურსია | 31 | 8 | 13 | 10 | 35-35 | 37 |
| 16. ლას პალმასი | 31 | 8 | 13 | 10 | 33-35 | 37 |
| 17. ვალეკანო | 31 | 8 | 12 | 11 | 45-44 | 36 |
| 18. სალამანკა | 31 | 8 | 11 | 12 | 32-41 | 35 |
| 19. ალბასეტე | 31 | 8 | 11 | 12 | 43-50 | 35 |
| 20. კადისი | 31 | 7 | 12 | 12 | 34-49 | 33 |
| 21. უნიონი | 31 | 7 | 9 | 15 | 26-38 | 30 |
| 22. კასტელონი | 31 | 5 | 9 | 17 | 28-48 | 24 |

**ბომბარდირები:** 14 - მოლინა (ელჩე); 13 - სტუანი (ალბასეტე), რუბენი (ვილიარეალი); 12 - ვერდიუ (კარტახენა), დიასი (კორდობა); 11 - ს. გარსია (ბეტისი); 10 - დე ლუკასი (კარტახენა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბორდო-ნანსი | 1:2 |
| გრენობლი-ლორიანი | 1:2 |
| ნიცა-სოშო | 0:0 |
| რენი-ლიონი | 1:2 |
| სტ. ეტიენი-ლე მანი | 2:0 |
| ვალანსიენი-ლილი | 1:0 |
| მონპელიე-მონაკო | 0:0 |
| ბულონი-ტულუზა | 1:1 |
| მარსელი-ლანსი | 1:0 |
| ოსერი-პსჟ | 1:1 |

### II დივიზიონი

XXXI ტური

აიაჩო-ბასტია 0:1; კაენი-ბრესტი 1:0; შატორუ-დიჟონი 1:3; სედანი-ისტრი 1:1; გინგამი-ლავალი 0:0; ნანტი-პავრი 4:1; არლი-ნიმი 2:0; კლერმონი-ტური 0:0; ანჟერსი-ვანი 2:0; სტრასბური-მეცი .

## ჰოლანდია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ვენლო-ტვენტე | 0:2 |
| ალკმაარი-უტრეხტი | 2:0 |
| როდა-ვაალვეიკი | 5:1 |
| ვიტესი-გრონინგენი | 3:0 |
| ჰერენვეენი-სპარტა | 4:1 |
| დენ ჰააგი-აიაქსი | 0:1 |
| ფეიენოორდი-ბრედა | 0:0 |
| ჰერაკლესი-ნიიმეგენი | 2:0 |
| ვილემი-ეინდჰოვენი | 0:1 |

### II დივიზიონი

XXXV ტური

ვეენდამი-ექსელსიორი 2:1; დენ ბოშიემენი 4:4; ომნივორლდი-დორდრეხტი შეწყდა; ვოლენდამი-ეინდჰოვენი II 0:2; ცვოლეტოპ ოსი 0:0; ჰელმონდი-ტელსტარი 0:1; მაასტრიხტი-კამბური 2:1; როსენდაალი-აპელდოორნი 0:2; გრააფსხაპი-იგლზი 3:2.

## ბელგია

### I პლეი ოფი

III ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ბრიუგე | 2:2 |
| კორტრეიკი-სტ. ტრუიდენი | 1:2 |
| ვარეგემი-გენტი | 1:2 |

### II პლეი ოფი. A ჯგუფი

II ტური

| | |
|---|---|
| სერკლი-ვესტერლო | 2:0 |
| მეხელენი-ლოკერენი | 3:1 |

### II პლეი ოფი. B ჯგუფი

II ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა-ბეერსხოტი | 0:1 |
| გენკი-სტანდარდი | 1:0 |

### II დივიზიონი

XXXIII ტური

პეეერლე-ოსტენდე 1:1; ანტვერპენი-ბორინაჟი 3:3; ტურნე-ბევერენი 2:1; ბერგენი-ლომელი 1:1; ლიერსი-ტურნჰაუტი 3:1; ვაასლანდი-ეუპენი 2:2; ლიეჟი-რონსე 3:1; დენდერი-ტუბეკე 1:2; ბრიუსელი-ტინენი 0:1.

## პორტუგალია

XXV ტური

| | |
|---|---|
| პორტუ-მარიტიმუ | 4:1 |
| სპორტინგი-რიუ ავე | 5:0 |
| ფერეირა-ბელენენსეში | 0:0 |
| ნასიონალი-ლეიქსოეში | 1:0 |
| ბრაგა-გიმარაეში | 3:2 |
| ოლჰანენსე-სეტუბალი | 2:2 |
| აკადემიკა-ლეირია | 0:0 |
| ნავალი-ბენფიკა | 2:4 |

### II დივიზიონი

XXV ტური

ავეში-ვარზიმი 2:0; ტროფენსე-ბეირა მარი 0:1; ჟილ ვისენტე-ოლივეირენსე 1:0; პენაფიელი-შავეში 2:0; ფატიმა-პორტიმონენსე 0:1; სანტა კლარა-კოვილია 1:1; კარეგადო-ფეირენსე 0:1; ფრეამუნდე-ეშტორილი 0:2.

## შოტლანდია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ჰიბერნიანი-სელტიკი | 0:1 |
| კილმარნოკი-აბერდინი | 2:0 |
| მაზერველი-ფალკირკი | 0:1 |
| რეინჯერსი-ჰემილტონი | 1:0 |
| სტ. მირენი-ჰარტსი | 1:1 |
| სტ. ჯონსტონი-დანდი იუნ | 0:1 |

### I დივიზიონი

XXXII ტური

დანდი-ეირი 3:0; დანფერმლაინი-როსი 1:2; ინვერნესი-რეითი 4:3; ეირდრი-პარტიკი 2:0; მორტონი-ქუინი 3:3.

### II დივიზიონი

XXXII ტური

კოუდენბითი-სტენჰაუზმური 1:0; ბრეჩინი-პიტერჰედი 1:2; კლაიდი-არბროა 0:2; ისტ ფაიფი-ალოა 0:1; სტირლინგი-დამბარტონი 1:2.

### III დივიზიონი

XXXII ტური

ანენი-ლივინგსტონი 2:0; ისტ სტირლინგი-ალბიონი 3:1; ელჯინი-სტრანრარი 1:2; ფორფარი-ბერვიკი 2:0; ქუინზ პარკი-მონროუზი 3:0.

## ეკვადორი

IX ტური

| | |
|---|---|
| ესპოლი-უნ. კატოლიკა | 0:1 |
| ლდუ კიტო-ბარსელონა | 0:0 |
| ელ ნასიონალი-ოლმედო | 2:2 |

## ავსტრია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-მატერსბურგი | 2:0 |
| რიდი-ლინცერი | 2:2 |
| ვინერი-აუსტრია (ვ) | 0:1 |
| შტურმი-კაპფენბერგი | 1:1 |
| რაპიდი-აუსტრია (კ) | 1:0 |

## დანია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ორჰუსი-რანდერსი | 0:0 |
| კიოგე-ბრონდბიუ | 1:2 |
| სილკებორგი-ოლბორგი | 1:1 |
| ნორდსილანდი-კოპენჰაგენი | 0:3 |
| სონდერილი-მიდტიულანდი | 0:2 |
| ოდენსე-ესბერგი | 0:0 |

### II დივიზიონი

XIX ტური

როსკილდე-ვეილე 0:0; ჰვიდოვრე-ბრაბრანდი 0:0; სკივე-კოლდინგი 2:0; ტისტედი-ჰორსენსი 0:3; აკადემისკი-ვესტსიელანდი 2:1; ფრედერისია-ფინი 5:0; ლუნგბიუ-ფრემი 4:2; ნაესტვედი-ვიბორგი 0:1.

## ირლანდია

VI ტური

| | |
|---|---|
| სპორტინგი-შემროკი | 1:1 |
| დროგედა-ბრეი | 0:0 |
| სლიგო-დანდალკი | 2:2 |
| უნივერსიტი-გალვეი | 0:0 |

### II დივიზიონი

V ტური

ლიმერიკი-კორკი 1:3; მონეგანი-ეთლონი 0:0; შელბურნი-ფინ ჰარპსი 1:0; მერვუ-უოტერფორდი 2:3; ლონგფორდი-დერი 1:3; უექსფორდი-სოლტჰილი 2:1.

## ნორვეგია

IV ტური

| | |
|---|---|
| კონგსვინგერი-ოლესუნდი | 1:2 |
| სტარტი-ვოლერენგა | 5:3 |
| ჰაუგესუნდი-ჰონეფოსი | 5:1 |
| როზენბორგი-სტრიომსგოდსეტი | 3:0 |
| სანდეფიორდი-ოდ გრენლანდი | 1:1 |
| სტაბეკი-ტრომსიო | 0:1 |
| ვიკინგი-ლილესტრიომი | 0:0 |
| მოლდე-ბრანი | 3:2 |

### II დივიზიონი

I ტური

ფრედრიკსტადი-ალტა 3:0; ბოდო გლიმტი-ლინი 4:1; ფოლო-ბრინი 0:0; ლოვ ჰამი-სარპსბორგი 2:1; მოსი-სანდნესი 1:0; ნილი-მიონდალენი 2:1; სიოგნდალი-რანჰეიმი 2:1; სტრომენი-ტრიომსდალენი 2:2.

## შვედეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| აიკ-ერებრო | 0:1 |
| მიალბიუ-გეფლე | 1:3 |
| ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 0:0 |

## შვეიცარია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ციურიხი-გრასჰოპერსი | 3:2 |

### ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ვილი-ლუგანო | 3:3 |

## თურქეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-ბეშიქთაში | 0:0 |
| მანისა-გენჩლერი | 0:0 |
| ტრაბზონი-ანკარა | 3:0 |
| ბუიუქშეჰირი-დენიზლი | 3:1 |
| დიარბაქირი-გაზიანთეპი | 1:3 |
| ბურსა-ანტალია | 2:1 |
| ესქიშეჰირი-ქასიმფაშა | 2:0 |
| ფენერბახჩე-ქაისერი | 2:0 |
| სივასი-გალათასარაი | 1:1 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

ბუკა-ქარსიაქა 3:2; ერჩიესი-ადანა 0:0; ქარაბუქი-მერსინი 0:0; დარდანელი-ბოლუ 0:0; ქონია-პაჩეთეფე 0:2; ორდუ-რიზე 1:0; ქართალი-ქოჯაელი 2:1; ბბ გაზიანთეფი-სამსუნი 0:1; ალთაი-გირეშუნი 1:4.

## უელსი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| რილი-ტნს | 1:2 |
| ბალა თაუნი-პრესტატინი | 2:4 |
| საუნი-ებერისთვითი | 0:3 |
| ქონვასი-ქერსოუსი | 5:0 |
| ნითი-უელშპული | 4:0 |
| ნიუთაუნი-ეირბასი | 3:3 |
| პორტმედოგი-კარმარტენი | 1:4 |
| ბანგორი-პორტ ტელბოტი | 1:1 |

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბალა თაუნი-ქონვასი | 2:2 |
| საუნი-ეირბასი | 1:2 |
| ნიუთაუნი-ქერსოუსი | 4:1 |
| პორტმედოგი-ბანგორი | 0:2 |
| ლანელი-კარმარტენი | 1:0 |

## ბელარუსი

I ტური

| | |
|---|---|
| ტორპედო-ბატე | 0:1 |
| ნაფტანი-მტზ რიპო | 1:0 |
| მინსკი-დნეპრი | 2:1 |
| ბელშინა-დინამო (მნ) | 0:2 |
| დინამო (ბ)-შახტიორი | 1:1 |
| ნემანი-ვიტებსკი | 0:0 |

## ბოსნია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჟელეზნიჩარი-ტრავნიკი | 2:0 |
| სლავია-რუდარი | 2:0 |
| ჟრინსკი-ბორაცი | 3:0 |
| ჟეპჩე-სლობოდა | 2:2 |
| შიროკი ბრიეგი-მოდრიცა | 2:0 |
| ჩელიკი-ველეჟი | 2:1 |
| ლეოტარი-ოლიმპიკი | 0:0 |
| ლაკტაში-სარაევო | 2:1 |

## ბულგარეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-პირინი | 2:0 |
| ლოკომოტივი (ს)-სლივენი | 2:0 |
| ჩერნომორეცი-ლევსკი | 1:1 |
| სლავია-ბოტევი | 3:0 |
| ცსკა-მონტანა | 1:1 |
| ჩერნო მორე-სპორტისტი | 3:0 |
| ბეროე-ლოკომოტივი (მ) | 1:0 |
| ლიტექსი-მინიორი | 1:0 |

## ხორვატია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-ისტრა | 0:0 |
| ზაგრები-ჰაიდუკი | 1:1 |
| ვარტექსი-შიბენიკი | 5:1 |
| ლოკომოტივა-კარლოვაცი | 0:0 |
| რიეკა-დინამო | 2:2 |
| ინკერი-მედიმური | 2:1 |
| სლავენი-კროაცია | 4:0 |
| ზადარი-ოსიეკი | 2:1 |

## ჩეხეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-კლადნო | 1:4 |
| ბუდეიოვიცე-პრშიბრამი | 2:1 |
| სლოვაცკო-ლიბერეცი | 0:0 |
| იაბლონეცი-სიგმა | 3:1 |
| ბრნო-ბოლესლავი | 2:3 |
| სლავია-ბოჰემიანსი 1905 | 3:0 |
| ტეპლიცე-ბანიკი | 0:1 |
| პლზენი-სპარტა | 2:2 |

### II დივიზიონი

XXI ტური

უსტი-ტრშინეცი 2:1; ოპავა-ჩასლავი 1:1; სოკოლოვი-დუკლა 1:0; სპარტა II-მოსტი 0:0; ვიტკოვიცე-ჰრადეცი 1:2; ვიქტორია-ზლინი 2:0; კარვინა-იჟლავა 1:1; ვლაშიმი-პლუჩინი 3:0.

## ესტონეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ტამეკა-ლოოტუსი | 1:0 |
| კალიუ-პაიდე | 1:1 |
| კურესაარე-კალევი | 0:4 |
| ტრანს ნარვა-ტულევიკი | 2:0 |
| ლევადია-ფლორა | 2:1 |

## უნგრეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| კეჩკემეტი-ლომბარდ პაპა | 2:2 |
| პაკსი-მტკ | 0:2 |
| ჰალადაში-უიპეშტი | 1:0 |
| ჰონვედი-დიოში | 0:0 |
| ფერენცვაროში-კაპოშვარი | 0:0 |
| ვაშაში-დიოშდიორი | 1:0 |
| ზალაეგერსეგი-ვიდეოტონი | 2:2 |
| ნირეგიჰაზა-დებრეცენი | გადაიდო |

## ისრაელი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (რ-გ)-ბეითარი | 0:0 |
| ჰაპოელი (რ)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:4 |
| ჰაპოელი (ა)-მაკაბი (ფ-თ) | 2:2 |
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| ბნეი შახნინი-აშდოდი | 1:0 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ა-ნ) | 0:1 |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) | 0:2 |

## ლიტვა

III ტური

| | |
|---|---|
| ტაურასი-ატლეტასი | 2:0 |
| ვეტრა-კრუოია | 3:0 |
| შიაულიაი-ბანგა | 1:0 |
| მაჟეიკიაი-ეკრანასი | 0:2 |
| სუდუვა-ჟალგირისი | 0:0 |

## მოლდოვა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ისკრა-ნისტრუ | 3:0 |
| დაჩა-შერიფი | 0:0 |
| ოლიმპია-სფინტული | 2:0 |
| ზიმბრუ-დინამო | 2:0 |
| ცსკა-ტირასპოლი | 4:1 |
| აკადემია-ვიიტორული | 3:0 |

## პოლონეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| არკა-პოლონია (ბ) | 2:2 |
| კრაკოვია-იაგელონია | 0:1 |
| ბელხატოვი-ოდრა | 3:0 |
| პოლონია (ვ)-ვისლა | 0:1 |
| რუხი-შლიონსკი | 0:0 |
| პიასტი-კორონა | 1:0 |
| ზაგლები-ლეჩია | 2:2 |
| ლეხი-ლეგია | 1:0 |

## აშშ

II ტური

| | |
|---|---|
| კოლორადო-ჩიკაგო | 2:2 |
| დი სი იუნაიტედი-ნიუ ინგლენდი | 0:2 |
| სიეტლი-ნიუ იორკი | 0:1 |

## რუმინეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ინტერნაციონალი-რაპიდი | 1:2 |
| ვასლუი-უნირეა (ა) | 3:0 |
| უნივერსიტატეა-ტიმიშოარა | 1:2 |
| ასტრა-უნირეა (უ) | 0:2 |
| ჩახლაული-პოლიტეხნიკა | 1:0 |
| სტიაუა-ბრაშოვი | 1:0 |
| კლუჟი-გლორია | 1:0 |
| ოცელული-პანდური | 1:1 |
| დინამო-გაზ მეთანი | 1:0 |

## რუსეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| ანჟი-ალანია | 2:0 |
| ნალჩიკი-როსტოვი | 5:2 |
| ამკარი-სიბირი | 3:1 |
| ტომი-სპარტაკი | 2:2 |
| ტერეკი-კრილია | 2:0 |
| ლოკომოტივი-დინამო | 3:2 |
| სატურნი-რუბინი | 0:0 |

## სერბეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-იაგოდინა | 2:1 |
| ჰაიდუკი-რადი | 2:1 |
| პარტიზანი-სპარტაკი | 2:0 |
| ბორაცი-მეტალაკი | 1:0 |
| მლადი-სარტიდი | 0:0 |
| ოფკ-ცრვენა ზვეზდა | 0:2 |
| ვოივოდინა-ბორაკ | 2:0 |
| იავორი-ნაპრედაკი | 1:0 |

## სლოვაკეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-დუბნიცა | 1:1 |
| ზისტრიცა-პეტრჟალკა | 4:0 |
| ნიტრა-რუჟემბეროკი | 3:1 |
| დ. სტრედა-ტატრანი | 2:1 |
| ჟილინა-ტრნავა | 5:1 |
| სლოვანი-კოშიცე | 0:0 |

## სლოვენია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-დრავა | 1:1 |
| მარიბორი-რუდარი | 0:1 |
| დომჟალე-ინტერბლოკი | 2:1 |
| პუბლიკუმი-ნაფტა | 3:2 |
| ოლიმპია-გორიცა | 5:0 |

## უკრაინა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ზორია-დინამო | 0:2 |
| მეტალისტი-ტავრია | 1:1 |
| მეტალურგი (დ)-კრივბასი | 0:1 |
| ვოლინი-ილიჩოვეცი | 3:0 |
| დნიპრო-ზაკარპატია | 1:0 |
| ობოლონი-შახტარი | 0:1 |
| არსენალი-მეტალურგი (ზ) | 2:0 |
| კარპატი-ჩერნომორეცი | 1:1 |

## არგენტინა

### აპერტურა

XII ტური

| | |
|---|---|
| ნიუელსი-ტიგრე | 0:2 |
| ურაკანი-კოლონი | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-არსენალი | 1:0 |
| სან ლორენსო-ხიმნასია (ლ-პ) | 0:1 |
| არგ. ხუნიორსი-ჩაკარიტა | 2:1 |
| ესტუდიანტესი-ბანფილდი | 1:1 |
| ბოკა ხუნიორსი-როსარიო | 1:2 |
| გოდოი-ველესი | 2:0 |
| ლანუსი-რივერ პლეიტი | 1:0 |
| ატლეტიკო-რასინგი | შეწყდა |

## ურუგვაი

### კლაუსურა

XI ტური

| | |
|---|---|
| რამპლა-ნასიონალი | 1:0 |
| მონტევიდეო-სერო ლარგო | 7:1 |
| სენტრალი-ატენასი | 1:0 |
| რასინგი-დეფენსორი | 3:3 |
| რივერ პლეიტი-ტაკუარემბო | 3:1 |
| პენიაროლი-სერიტო | 3:1 |
| სერო-ლივერპული | 5:1 |
| დანუბიო-ფენიქსი | 1:2 |

## მექსიკა

### კლაუსურა

XIII ტური

| | |
|---|---|
| კრუს აზული-კერეტარო | 1:0 |
| მონტერეი-პუმასი | 1:0 |
| ჩივასი-ამერიკა | 1:0 |
| მორელია-პუებლა | 1:1 |
| სან ლუისი-ტიგრესი | 0:3 |
| ატლასი-ატლანტე | 3:3 |
| ტოლუკა-ტეკოსი | 5:0 |
| ინდიოსი-პაჩუკა | 1:2 |
| ს. ლაგუნა-ხაგუარესი | 0:3 |

## იაპონია

V ტური

| | |
|---|---|
| სერეზო-კიოტო | 3:1 |
| ნაგოია-კობე | 2:0 |
| ურავა-შონანი | 2:1 |
| იოკოჰამა-შიმიცუ | 1:2 |
| ნიიგატა-ომიია | 0:0 |
| იამაგატა-ჰიროშიმა | 1:0 |
| ვეგალტა-კაშიმა | 2:1 |
| ჯუბილო ივატა-გამბა | 4:3 |
| კავასაკი-ტოკიო | 2:1 |

ამბები

## ჯეკოს ტოტენჰემი ეპატიჟება

„ვოლფსბურგის“ ბოსნიელ თავდამსხმელს მომავალი სეზონიდან კარიერის გაგრძელებას ინგლისში უწინასწარმეტყველებენ. ედინ ჯეკოს შეძენა რამდენიმე პრემიერლიგურ კლუბს სურთ, რომელთაგანაც ყველაზე მეტად „ტოტენჰემი“ აქტიურობს. ლონდონელები „ვოლფსბურგს“ მის სანაცვლოს 25 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. „ტოტენჰემის“ გარდა, ჯეკოსადმი ინტერესი „ჩელსიმ“, „მანჩესტერ სიტიმ“ და „მილანმა“ დაადასტურეს, მაგრამ ამდენი ფული გერმანელებისთვის აქამდე არავის შეუთავაზებია.

## ჯოს დარჩენას სთავაზობენ

„ჩელსის“ 28 წლის ნახევარმცველ ჯო კოულს „არისტოკრატებთან“ მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ეწურება და აქედან გამომდინარე, ახალ კლუბში გადასვლა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება. კოული, რომელმაც მძიმე ტრავმა არცთუ დიდი ხნის წინ მოიშუშა, სათამაშო დროის სიმცირით უკმაყოფილო იყო და „ჩელსიდან“ წასვლის სურვილი არაერთხელ გამოთქვა, მაგრამ კარლო ანჩელოტის მისი დარჩენა სურს. თანაც, ბოლო დროს, კოული უფრო ხშირად ჩნდება ძირითად შემადგენლობაში.

*„ბოლო დროს იგი გაცილებით უკეთეს ფორმაშია და მოედანზე სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებს. ჯო „ჩელსისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მისი დარჩენა მეც ძალიან მინდა და კლუბის ხელმძღვანელობასაც. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება. მჯერა, იგი „ჩელსის“ მომავალშიც დიდ სარგებლობას მოუტანს და კლუბს უმაღლესი მიზნების მიღწევაში დაეხმარება“*, - აცხადებს ანჩელოტი, რომელიც იქვე იმის იმედსაც გამოთქვამს, რომ კოულს ფაბიო კაპელო მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს.

## კურანი ჯენოასაც მოუნდა

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ კევინ კურანის შეძენა მოსკოვის „დინამოს“ სურს. ახლა კი „შალკეს“ 28 წლის ფორვარდისთვის ბრძოლაში იტალიური „ჯენოაც“ ჩაერთო. კურანი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება და მოსალოდნელია, რომ „შალკეს“ დატოვებს, რადგან არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში მყოფ გელზენკირხენელებს მისი ფინანსური მადის დაკმაყოფილება არ შეუძლიათ.

*„კევინი არჩევანში თავისუფალია. მას შეუძლია, კარიერა იქ გააგრძელოს, სადაც მოისურვებს“*, - განაცხადა „შალკეს“ დამრიგებელმა ფელიქს მაგათმა.

ჯერჯერობით, უცნობია, თუ როგორ პირად კონტრაქტს სთავაზობს „ჯენოა“ გერმანელ თავდამსხმელს, მოსკოველები კი კურანის წლიურ ხელფასად 5 მილიონ ევროს სთავაზობენ.

## ტორესს არსენალის ჩემპიონობა უნდა

როგორც გაირკვა, ფერნანდო ტორესი, რომლის „ლივერპულმაც“ პრემიერლიგის მოგების შანსი დიდი ხნის წინ დაკარგა, ინგლისის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „არსენალს“ ქომაგობს. *„არსენალს“ გაცილებით უკეთესი კალენდარი აქვს, ვიდრე „ჩელსისა“ და „მანჩესტერს“. ასე რომ, მას ჩემპიონობა ნამდვილად შეუძლია. ჩემი აზრით, ტიტული არსენ ვენგერმა დაიმსახურა, რადგან თავისი კლუბის განვითარებისთვის ბოლო წლებში ბევრი იშრომა და თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია“*, - განუცხადა ტორესმა „ფრანს ფუტბოლს“.

ლევან ჯანეზაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

კალათბურთი | ქართველი NBA-ში



# ფაჩულია და 76:74...

## მარცხი ლებრონთან

განვლილ უქმეებზე **ზაზა ფაჩულიამ** ორი მატჩი ჩაატარა. ჯერ აღმოსავლეთის კონფერენციის ლიდერ „კლივლენდს" ესტუმრა, შემდეგ კი „დეტროიტს" უმასპინძლა.

**ლებრონ ჯეიმსის** გუნდმა „ატლანტა ჰოქსთან" 93:88 გაიმარჯვა და საამსეზონო მოგებათა რიცხვი დაამრგვალა - 60.

კლივლენდში ზაზამ მხოლოდ 11 წუთი ითამაშა, არც მეტოქის ფარისთვის შეუტევია და არც მოხსნებისთვის ბრძოლისას გამოუჩენია თავი.

ყველაზე მეტი მოხსნა, ქულა და პასი მასპინძელ ჯეიმსს ჰქონდა - 27 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი.

კლივლენდიდან დაბრუნებული „ატლანტა" „დეტროიტ პისტონსს" (23 მოგება) დაუხვდა და ზედიზედ მე-11 მარცხი აგემა, რაც დეტროიტელთა ისტორიაში უარესი მაჩვენებელია. ეს გამარჯვება „ჰოქსისთვის" სეზონის ზედიზედ მეათე საშინაო მოგება იყო...

წარმატებაში თავისი წვლილი ზაზა ფაჩულიამაც შეიტანა. იგი მეოთხე პერიოდის დასაწყისში მოედანზე იყო და სირენამდე 11:13 წუთით ადრე მეტოქის ფარზე მოხსნილი ბურთი კალათში ჩააბრუნა - 76:74. ამ ეპიზოდის შემდეგ ზაზამ კიდევ ორი მოხსნა მიითვალა, ხოლო „ატლანტას" მეტოქისთვის დაწევის უფლება აღარ მიუცია.

- ყველა მოგება სასიხარულოა, მით უმეტეს, დღევანდელი, რადგან უშუალო კონკურენტ „ბოსტონს" ერთით გავასწარით, - განაცხადა „ატლანტას" მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა**. ამჟამად „ჰოქსს" 49 გამარჯვების წილ 27 წაგება აქვს, ხოლო ბოსტონელებს - ერთით მეტი მარცხი და ერთით ნაკლები მოგება.

„ჰოქსი" კონფერენციაში მესამე ადგილზეა, „სელტიქსი" - მეოთხეზე.

ჯორჯიელები მომდევნო მატჩს შარლოტში „ბობქეთსთან" ითამაშებენ.

**კლივლენდი-ატლანტა 93:88**

ზაზა ფაჩულია: 11 წუთი, 1 მოხსნა, 1 შეცდომა, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 01:06 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 08:29 | ფოლი: 1 |
| 08:05 | ფოლი: 2 |
| 08:05 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 01:54 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 08:51 | შეცდომა: 1 |
| 08:29 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 08:06 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

**ატლანტა-დეტროიტი 91:85**

ზაზა ფაჩულია: 17 წუთი, 2 ქულა, 7 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:45 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 09:21 | ფოლი: 1 |
| 09:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 08:38 | შეცდომა: 1 |
| 07:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:07 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| 01:49 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:19 | ფოლი: 2 |
| 01:18 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| **III პერიოდი** | |
| 04:13 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:36 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 11:13 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 11:13 | ორქულიანი: 2ქ (76:74) |
| 10:44 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 09:21 | ფოლი: 3 |
| 08:39 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 08:32 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი პონტე ვედრაში ასპარეზობისას

# ქართველ ქალთა მცირე წინსვლა

## ტატიშვილი WTA-ს ტურნირს უტევს

ორკვირიანი შესვენების შემდეგ კვლავ განახლდა მსოფლიოს რეიტინგლისტი როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის. ვაჟთა რეიტინგში სულ ორი ჩოგბურთელი გვყავს, რომელთაც ქულაზე მეტი აქვთ: 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** და მასზე ზუსტად ერთი წლით უფროსი **ლაზარე კუხალაშვილი**. ბასილაშვილი 49 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 532-ე ჩოგანია. მან 8 საფეხურით წაიწია წინ და კარიერაში მორიგ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. კუხალაშვილი კი 6 ქულით მსოფლიოს 1078-ე (-3) ჩოგანია.

ქალთა რეიტინგში 10 ჩვენებურია, ათეულს კი სათავეში **ოქსანა კალაშნიკოვა** უდგას. ოქსანა 352 ქულით მსოფლიოს 158-ე (+3) ჩოგანია, რაც მისი კარიერის მორიგი მიღწევაა. წაიწია **ანა ტატიშვილმაც**, რომელიც 342 ქულით მსოფლიოს 163-ე ჩოგანია (+4). **მაკა ჩახნაშვილი** 250 ქულით 211-ე (-1) პოზიციაზეა. სხვები: 357 (-3) **სოფიო შაფათავა** - 109 ქულა; 433 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 77; 449 (+32) **თათია მიქაძე** - 71; 456 (+19) **მანანა შაფაქიძე** - 69; 550 (+3) **ეკა გორგოძე** - 48; 1025 (-1) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1061 (+10) **ანა ჯიქია** - 5. აღსანიშნავია მიქაძის წინსვლა, მან კარიერაში საუკეთესო ნიშნულს უწია. წყვილთა რეიტინგში სამი ქართველია მეორე ასეულში: 108 (-) ანა ტატიშვილი; 125 (-3) ოქსანა კალაშნიკოვა და 194 (-6) მაკა ჩახნაშვილი.

ანა ტატიშვილი ფლორიდაშია, სადაც პონტე ვედრა ბიჩის საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევას ლამობს. „MPS გრუპ ჩემპიონშიპი" 220-ათასიანი WTA-ს ტურნირია. ანამ ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადეში დაიწყო. პირველ წრეში ტატიშვილის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი პორტუგალიელი **მიშელ ლარჩერ დე ბრიტო** (122) იყო. პირველი სეტი ქართველმა პირწმინდად დათმო, თუმცა მერე მისი უპირატესობა აშკარა იყო - 0:6, 7:5, 6:4. მატჩი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მეორე წრეში ტატიშვილმა ორ სეტში მოუგო ავსტრალიელ **მონიკ ადამჩაკს** (141) - 6:4, 6:3. ფინალურ წრეში ტატიშვილის მეტოქე ჰოლანდიელი **მიხაელა კრაიჩეკია** (143).

სოფიო ქვაცაბაიამ კაიროს საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობა მეოთხედფინალში დაასრულა. მე-4 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა სამსეტიანი მატჩი წააგო მე-5 ნომრად განთესილ ჩეხ **ლუსი კრიეგმანოვასთან** (487) - 6:4, 4:6, 2:6.

ბელგიურ ტორჰაუში 50-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში მაკა ჩახნაშვილი ავსტრიელ **ნიკოლა ჰოფმანოვას** (166) ეთამაშება. ამ ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა ვერ შეძლო სოფიო შაფათავამ, რომელმაც პირველ საკვალიფიკაციო წრეში ფინელ **ემა ლაინეს** (422) აჯობა - 7:5, 6:4, მაგრამ მეორე წრეში მომქანცველი ორთაბრძოლა დათმო ფრანგ **ემილ ბაკესთან** (812) - 7:6 (5), 5:7, 6:7 (9). სამივე სეტის გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო ტაი-ბრეიკი გახდა, რაც ძალზე იშვიათი მოვლენაა. ტორჰაუს ტურნირის წყვილთა ბადეში ორივე ჩვენებურია, მაკა სერბ **ანა იოვანოვიჩთან** (249) ერთად თამაშობს, ხოლო სოფიო ბრიტანელ **ანა სმითთან** (344) ერთად მე-4 ნომრად არის განთესილი.

ეგვიპტეში კიდევ ერთი 10-ათასიანი ტურნირია, ქალაქ სუეცში სამი ჩვენებურია ძირითად ბადეში. მე-4 ნომრად განთესილი სოფიო ქვაცაბაია რუს **იულია პარასიუკს** ხვდება, მე-8 ნომრად განთესილი თათია მიქაძე მასპინძელ **იასმინ ჰამზავის** ეთამაშება, ხოლო ეკა გორგოძე იტალიელ **ანდრეა-როქსანა ვაიდეანუს** დაუპირისპირდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონერები

# ათიანი სანიკიძეს

## ვირტუსი სერია A-ში მეორეა

ზედიზედ მესამე ტურია, იტალიის სერია A-ში მოთამაშე ქართველთა გუნდები წაუგებლად ასპარეზობენ. ამჯერად **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" შინ „კასერტას" 81:72 მოუგო. **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა" კი ბოლონიაში „ფერარას" აჯობა - 68:63.

მანუჩარს კოჭის ტრავმის გამო არ უთამაშია, სანიკიძე კი ვირტუსელთა რიგებში გამორჩეული იყო. იგი მწვრთნელმა მხოლოდ მეორე-მესამე პერიოდებში ათამაშა. 15 წუთში ქართველმა ფორვარდმა ათიანზე ითამაშა: 5-დან 5 ორქულიანი ჩააგდო და 10 ქულას 6 მოხსნა მოუმატა.

ვიქტორზე ორით მეტი მხოლოდ **პეტრი კოპონენმა** და **ანდრე კოლინზმა** ჩააგდეს. მარგი ქმედების კოეფიციენტით სანიკიძე ბოლონიელთა შორის საუკეთესო იყო - 19.

„ფერარას" ძლევით „ვირტუსმა" (16 მოგება, 8 წაგება) სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. ერთი საფეხურით დაწინაურდა „კანტუ", რომელსაც 15 მოგება უწერია და მეხუთე პოზიციაზეა.

ბოლოს „კანტუს" მწვრთნელის, **ანდრეა ტრინჩიერის** კომენტარს გავეცნოთ:

- „კასერტა" ძლიერი გუნდია. სასიამოვნოა, რომ მასთანაც დამაჯერებლად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. წინ გაცილებით ძნელი ბრძოლა გველის - იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, „ვირტუსის" წინააღმდეგ უნდა ვითამაშოთ. ამ მატჩისთვის ჩვენთან ერთად მზადებას შეუდგება მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც ბოლო ორ შეხვედრაში ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარა.

როგორც მიხვდით, 25-ე ტურში „ვირტუსი" „კანტუს" უმასპინძლებს. მატჩი 11 აპრილს გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

## ბოისა სასტარტოს დაუბრუნდა

ხორვატიის ჩემპიონატში „ზადარმა" მეოთხე მატჩი გამართა და მეოთხე მოგება გაიფორმა - „დარდას" სტუმრად 94:76 აჯობა.

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვლადიმერ ბოისა** მუხლის ტრავმის შემდეგ სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა და კარგადაც გაისარჯა. ოქმში ვოვას გასწვრივ სამი შვიდიანის ამოკითხვა შეიძლებოდა: 7 ნომერი ბოისა, 27 წუთი, 7 ქულა (3-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 4 მოხსნა.

„ზადარის" ბომბარდირი **ტომისლავ რუჟიჩი** გახდა - 23 ქულა.

ბოისა და მის თანაგუნდელებს 6 აპრილს გაცილებით რთული ბრძოლა ელით - „ზაგრებს" მიილებენ.

ვაჟა სიმონიშვილი




ხრიდოლი

# ქართული კრივი ქართულ ჯარში

უკვე წელიწადია, თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო ხელჩართული ბრძოლის ქართული სისტემის, ხრიდოლის დანერგვა ქართულ ჯარში. ამ დღეებში თავდაცვის სამინისტროს, ქართული საბრძოლო ხელოვნების - ხრიდოლის ფედერაციის (პრეზიდენტი **ნუკრი მჭედლიშვილი**) და საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის (პრეზიდენტი **კახა ბასილია**) თაოსნობით თავდაცვის სამინისტროს სპორტულ ცენტრ "ორბში" ჩატარდა საქართველოს მეორე პირად-გუნდური პირველობა (7 წონით კატეგორიაში) ხრიდოლის ერთ-ერთ დისციპლინაში – ქართულ კრივში.

შეჯიბრებას აკვირდებოდნენ თავდაცვის სამინისტროს იმ დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ვისაც უშუალოდ ავალია ხრიდოლის საბრძოლო სისტემის დანერგვა ქართულ ჯარში.

შარშანდელთან შედარებით, მონაწილეთა რაოდენობა გაორმაგდა. ამაღალდა მებრძოლთა მომზადების დონეც. განსაკუთრებით ძლიერი გუნდი გამოიყვანა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ძალების დანაყოფმა. 4 პირველი ადგილი (**შოთა აკულაშვილი, ედნარ მუკუტაძე, გიორგი ღარიბაშვილი და ალექსი მოციქულაშვილი**) და გუნდური გამარჯვება სწორედ მათ მოიპოვეს. მეორე გუნდური ადგილი დაიკავა მეხუთე ბრიგადამ, რომლის შემადგენლობიდანაც პირველ ადგილს დაეუფლნენ **უშიშარ ბაკარაძე** და **ირაკლი ბერიძე**. მესამე გუნდურ ადგილზე გავიდა მეორე ბრიგადა, რომელსაც ერთი გამარჯვებული ჰყავს – **დავით ნარუაშვილი**). საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობდნენ სამშობლოს მომავალი დამცველები, პატარა ხრიდოლიონები, რომლებმაც არაერთხელ დაიმსახურეს მაყურებლის ტაში.

როგორც გვითხრეს, უკვე აშენდა სპეციალური ბაზა, სადაც გადაამზადებენ ინსტრუქტორებს. პირველ ეტაპზე გაიცემა 30 სერთიფიკატი, მისი მფლობელები თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა ბრიგადაში დანერგავენ ხრიდოლს.

ლევან ჯანეზაშვილი

## მილოცვა



საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს, ცნობილ ვეტერან მძლეოსანს, სეულის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს, 1996 წლის ატლანტის თამაშების მონაწილეს, კეთილი ნების თამაშების (1986) მეორე პრიზიორს, სსრკ ჩემპიონს და თასის მფლობელს **მაია აზარაშვილს**.

ფიგურული ციგურაობა

# ევროპაში მეექვსე, მსოფლიოში მე-15

ტურინში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატით დასრულდა ფიგურული ციგურაობის მორიგი სეზონი, ასე რომ, მსოფლიო რეიტინგიც აღარ შეიცვლება. ქართველმა მოციგურავე **ელენე გედევანიშვილმა** სეზონში ერთ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია - ტალინში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო მოიპოვა. რომ არა ეს წარმატება, ელენეს სეზონს უარყოფითად შევუფასებდით — მსოფლიო თასის ორივე ეტაპზე (სადაც მონაწილეობა მიიღო) თავი ვერაფრით გამოიჩინა, ოლიმპიადაზე ოდენ მე-14, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-18 შედეგი აჩვენა.

ელენეს რეიტინგში 2 404 ქულა აქვს და ის მე-15 საფეხურზეა. შეგახსენებთ, რომ მოციგურავეებს ბოლო ორ სეზონში მიღებული ქულები 100%-ით ეთვლებათ, იმის წინა სეზონის კი - 70%-ით. ამგვარად, მხედველობაში მიიღება ბოლო სამი სეზონის შედეგები.

მოწინავე ათეული კი ასე გამოიყურება: 1. **იუ-ნა კიმი** (კორეა) - 4880 ქულა; 2. **კაროლინა კოსტნერი** (იტალია) - 4195; 3. **მაო ასადა** (იაპონია) - 4 139; 4. **ჟანი როშე** (კანადა) - 3960; 5. **ლაურა ლეპისტო** (ფინეთი) - 3801; 6. **მიკი ანდო** (იაპონია) - 3799; 7. **აკიკო სუზუკი** (იაპონია) - 3444; 8. **ალიონა ლეონოვა** (რუსეთი) - 3014; 9. **რეიჩელ ფლეტი** (აშშ) - 2815; 10. **იულია შებეშტიენი** (უნგრეთი) - 2737. ტოპ-10-ში ოთხი აზიელი სპორტსმენია. მსოფლიო რეიტინგში ევროპელთა შორის ელენე მე-6 ადგილზეა კოსტნერის, ლეპისტოს, ლეონოვას, შებეშტიენის და **კიირა კორპის** (ფინეთი) შემდეგ. შეგახსენებთ, რომ გაისად მსოფლიოს თასის ეტაპებზე მიწვევისას და განთესვისას სწორედ ამ რეიტინგს გაითვალისწინებენ.

ყინულზე ცეკვების რეიტინგ-ლისტში **ელისონ რიდისა** და **ოთარ ჯაფარიძის** დუეტი ჯერჯერობით მხოლოდ 115-ე პოზიციაზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონერები

# გორგოძე ორი ლელოთი დაბრუნდა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე საპლეიოფო ექვსეულში ვითარება ერთობ გამძაფრდა. ჩემპიონობისთვის მებრძოლთა შორის მოხვედრის თეორიულ შანსს ერთბაშად 9 გუნდი ინარჩუნებს. საკმაოდ დაიძაბა ბრძოლა პირველ-მეორე ადგილებისთვის, რაც პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლებას იძლევა.

24-ე ტურში შარშანდელმა ფინალისტმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" სტუმრად წააგო ფინანსურ კრიზისში მყოფ „სტად ფრანსესთან" - 10:19 და სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურზე დაქვეითდა. მიუხედავად ამისა, „ვულკანები" მეორე ადგილზე გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებენ.

ალსანიშნავია, რომ 19:10 პირველი ტაიმის ანგარიშია. მეორე ნახევარში გუნდებმა მონაგარს ვერაფერი შემატეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 74-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. ტულონელებმა შინ დაამარცხეს აუტსაიდერი „ბაიონი" - 31:13, მათ მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს. ქუბრიაშვილი, რომელმაც სრულად ითამაშა, არბიტრმა 44-ე წუთზე გაასინბინა. ოდნავ მოგვიანებით ათი წუთით მოუნია დასვენებამ მოთამაშე მწვრთნელს, ახალზელანდიელ **ტანა უმაგასაც.**

კვლავ ცუდად ურტყა კარში ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა,** რომელმაც ოთხიდან მხოლოდ ერთი ლელო გარდასახა, თუმცა მონაგარს სამი საჯარიმო მიუმატა.

სატურნირო ცხრილს სათავეში ქვეყნის ჩემპიონი, კატალონიური „პერპინიანი" მოექცა. ჩემპიონებმა სტუმრად დაამარცხეს პირველობისთვის მებრძოლი, **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" - 17:11. ალსანიშნავია, რომ კასტრელებმა მიმდინარე სეზონში პირველად წააგეს საკუთარ მოედანზე. გიორგაძე ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი", რომელმაც შინ მოუგო აუტსაიდერ „ბურგუენს" 25:15. თამაში საკმაოდ უხეში გამოდგა. არბიტრი იძულებული იყო, ორივე გუნდიდან ორ-ორი მოთამაშე გაეშვა სინბინში.

სტუმრები თავგამოდებით იბრძოდნენ და თამაშის ბოლო წუთებამდე მეტოქეს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებოდნენ - 15:18. ანგარიშს წერტილი ბრიველთა მგეზავმა **ფაბრის ესტებანესმა** ლელოთი დაუსვა. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს.

**მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიემ" აუტსაიდერი „ალბი" გაანადგურა - 62:17. გორგოძემ, რომელსაც ტრავმა ბოლომდე ჯერ არ მოურჩენია, ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და ორი ლელო გაიტანა. „გულივერა" 67-ე წუთზე შეცვალეს. ჩხაიძე განაცხადში არ იყო. მამუკას მსგავსად მონპელიელთაგან ორი ლელო მიითვალა საფრანგეთის ნაკრების მგეზავმა **ფრანსუა ტრინ-დუკმა.** ამ გამარჯვებით ჩვენებურთა გუნდი 47 ქულით მე-10 ადგილზე გადაბარგდა.

მომდევნო ტურში „მონპელიეს" სტუმრად მოუწევს თამაში **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანთან", რომელიც ფინანსური პრობლემების გამო საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის ფინანსურმა კომისიამ მეორე დივიზიონში დააქვეითა.

მონტობანელებმა 24-ე ტურში სტუმრად წააგეს ბასკურ „ბიარიცთან" - 13:42. მასპინძლების უპირატესობა თავიდანვე საგრძნობი იყო და ძნელი ასახსნელია, ჩვენებურთა თანაგუნდელები რამ გაავეშა. თამაში იმდენად უხეში გამოდგა, რომ არბიტრმა ორივე გუნდიდან ორ-ორი მოთამაშე გაასინბინა, ხოლო ერთ ბურგუენელს მოედანი თამაშის ბოლომდე დაატოვებინა.

შველიძე მატჩში 47-ე წუთიდან ჩაერთო, შეყლაშვილი მოედანზე 13 წუთის შემდეგ გამოჩნდა.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

XXIV ტური: ტულუზი - მეტრო რასინგი 28:23, ბიარიცი - მონტობანი 42:13, ბრივი - ბურგუენი 25:15, მონპელიე - ალბი 62:17, ტულონი - ბაიონი 31:13, სტად ფრანსე - კლერმონი 19:10, კასტრი - პერპინიანი 11:17

სატურნირო მდგომარეობა: 1. პერპინიანი - 75 ქულა, 2. ტულონი - 72, 3. კასტრი - 72, 4. კლერმონი - 70, 5. ტულუზი - 69, 6. მეტრო რასინგი - 60, 7. ბიარიცი - 57, 8. ბრივი - 57, 9. სტად ფრანსე - 53, 10. მონპელიე - 47, 11. ბურგუენი - 45, 12. მონტობანი - 45, 13. ბაიონი - 43, 14. ალბი - 20

მეორე დივიზიონის ლიდერმა, **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენებურის გუნდმა 26-ე ტურში შინ დაამარცხა „კოლომიე" - 31:3 და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე უახლოეს მდევარ „ოიონაქსს" ექვსი ქულით უსწრებს. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს.

**გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსმა" კი შინ დაამარცხა „ბორდო" - 16:6. მასპინძლებმა პირველი ტაიმი 3:6 წააგეს, თუმცა მერე თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლეს. ჟღენტი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 41-ე წუთიდან გამოჩნდა.

**ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა", რომელიც პლეი ოფში მოხვედრის შანსს კვლავ ინარჩუნებს, შინ მოუგო **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბს" - 36:18. მაგრაქველიძემ, რომელმაც სრულად ითამაშა, 36-ე წუთზე მასპინძლებს ლელო გაუტანა. თავიდან ბოლომდე ითამაშა დათუნაშვილმაც.

**გიორგი კუთარაშვილის** „დაქსმა" შინ დაამარცხა „მონ დე მარსანი"-19:15. კუთარაშვილი თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო. სტუმრად მოუგო „ნარბონს" **გურამ კავთიძის** „ლიონმა" - 27:3. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

XXVI ტური: ორიაკი - ტარბი 36:18, გრენობლი - ექსი 28:5, დაქსი - მონ დე მარსანი 19:15, აჟენი - კოლომიე 31:3, ოში - ლა როშელი 3:9, ოიონაქსი - ბორდო 16:6, ნარბონი - ლიონი 3:27, ლანამეზანი - პო 15:21

სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 89 ქულა, 2. ოიონაქსი - 83, 3. ლა როშელი - 80, 4. ლიონი - 76, 5. გრენობლი - 73, 6. პო - 67, 7. ორიაკი - 66, 8. ნარბონი - 64, 9. ბორდო - 63, 10. დაქსი - 59, 11. ტარბი - 55, 12. მონ დე მარსანი - 53, 13. ოში - 45, 14. კოლომიე - 39, 15. ექსი - 31, 16. ლანამეზანი - 19



მამუკა გორგოძის მორიგი სალელოე გარღვევა

ევროპის ჩემპიონატი U-18



საქართველო-ბელგია

# ესეც ევროპული ბრინჯაო

**საქართველო-ბელგია 18:15**

საქართველო (15-9) კობახიძე, ძნელაძე, გაგოშვილი, შარიქაძე, გოგოლაშვილი, ჭინჭარაული, მისრიაშვილი. (1-8) თეთრაშვილი, ხიდეშელი, ნავროზაშვილი, ქოიავა, ლომიძე, მამრიკიშვილი, სურგულაძე, ბუჯიაშვილი.

*(16-22) ლომთაძე, ჯიბლაძე, არაბიძე, მარდალეიშვილი, ხუციშვილი, მჭედლიძე, ზიბზიბაძე*

*ვლ: ჭინჭარაული, მამრიკიშვილი, გოგოლაშვილი. ს: ძნელაძე*

ბელგია (15-9) ბეირნო, ვან ტრაპენი, პირონი, ტორფსი, სიბერდი, ტიქსონი, ბრაუერზი. (1-8) კუემუ, ამიე, შოლმესტერი, ლენერტსი, დონი, დე ვალკო, რიფონი, რაიკოვი

*(16-22) ბასტინი, დემოლდერი, ვარგასი, ბოსერტი, გაუტიერი, მაპუალი, ჯონსონი*

*2ლ: ვან ტრაპენი (2). ჯ.ა: ტიქსონი*

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა იტალიის ქალაქ ტრევიზოში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლები ირგუნა.

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა" ნახევარფინალში დასანანი მარცხის კომპენსირება ბელგიის ნაკრებთან დრამატულად განვითარებული მატჩის მოგებით შეძლეს. პირველი ტაიმი ჩვენმა გუნდმა მშრალი ანგარიშით - 0:15 დათმო. ორი ლელო ბელგიელთა გარემარბმა **ელიოტ ვან ტრაპენმა** გაგვიტანა, ორიდან ერთი გარდასახა მგეზავმა **არტურ ტიქსონმა,** რომელმაც ანგარიში მე-13 წუთზე არეკნით გახსნა.

საქართველოს ნაკრები მეორე ტაიმში მაქსიმალურად მობილიზებული და გამარჯვებაზე დაგეშილი გამოვიდა მოედანზე. პირველი ლელო დასაწყისშივე მგეზავმა **გოდერძი ჭინჭარაულმა** მიითვალა. ექვსიოდ წუთში **ზურაბ ძნელაძემ** საჯარიმოთი შვიდ ქულამდე შეამცირა ანგარიში - 7:15.

თამაშის დასრულებამდე 16 წუთით ადრე ჩვენმა შერკინებამ იმძლავრა და მორიგი ლელო მესამეხაზელი **ბექა მამრიკიშვილის** ანგარიშზეა. გარდასახვა ამჯერადაც ვერ გამოვიყენეთ და ჩამორჩენა ორ ქულამდე შემცირდა.

თამაშის დასრულებას ალარაფერი აკლდა, როცა გარემარბმა **ლევან გოგოლაშვილმა** მესამე, გამარჯვების ლელო გაიტანა - 18:15. ალსანიშნავია, რომ თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი ჩვენი ნაკრებისთვის საუკეთესო შედეგია.

ევროპის ჩემპიონი კი ზედიზედ მეოთხედ საფრანგეთის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში ირლანდიელებს სძლია - 27:3.

ელიტურ დივიზიონს დატოვებს რუმინეთის ნაკრები. „სტეუარიმ" მეშვიდე ადგილისთვის შეხვედრა რუსეთის ნაკრებთან წააგო - 12:34. რუმინელების ადგილს მომავალ წელს B ჯგუფში გამარჯვებული პორტუგალია დაიკავებს. „პატარა ლობუშებმა" ფინალში ესპანელი თანატოლები დაამარცხეს - 43:3.

| ევროპის ჩემპიონატი. U-18 | |
|---|---|
| **მე-7 ადგილისთვის** | |
| რუსეთი-რუმინეთი | 34:12 |
| **მე-5 ადგილისთვის** | |
| იტალია-გერმანია | 18:13 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| საქართველო-ბელგია | 18:15 |
| **ფინალი** | |
| საფრანგეთი-ირლანდია | 27:3 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი, 2. ირლანდია, 3. საქართველო, 4. ბელგია, 5. იტალია, 6. გერმანია, 7. რუსეთი, 8. რუმინეთი

საქართველოს A ნაკრები

# ორიდან ორი მოგება

საქართველოს A ნაკრებმა, რომელიც სამხრეთ აფრიკაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა, მეორე საკონტროლო შეხვედრაშიც გაიმარჯვა. ჩვენი გუნდი სტელენბოშის რეგიონის ოცდაერთწლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდა და 20:10 მოუგო.

საქართველოს ნაკრებს ოციდან თხუთმეტი ქულა „ლელოს" ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** მოუტანა, მის ანგარიშზე ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ამდენივე საჯარიმოა. ჩვენი გუნდი, რომელსაც **ლევან მაისაშვილი** და **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** წვრთნიან წლეულს კიდევ ორ მატჩს გამართავს, სავარაუდოდ, ჰოლანდიისა და ბელგიის ნაკრებებთან.

**საქართველოს A ნაკრები**

პირველი ხაზი: ირაკლი ჭყონია, ირაკლი მირცხულავა (ორივე-ლელო), ჯაბა ბრეგვაძე, კარლენ ასეიშვილი (ორივე-ვისოლი ყოჩები), ვასილ კაკოვინი (ბრივი), რევაზ ბელქანია (კარკერენი)

მეორე ხაზი: კოტე მიქაუტაძე (აჟენი), ილია სურგულაძე (უნივერსიტეტი)

მესამე ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), შოთა საყვარელიძე (სენტ ეტიენი),

№9: გიორგი კაჭარავა (ლელო), ირაკლი ლვინჯილია (ლოკომოტივი)

№10: ლაშა ხმალაძე (ლელო), თემურ სოხაძე (ვისოლი-ყოჩები)

№12-13: მამუკა ნინიძე (ბათუმი XV), ვიგა კორკელია (ლელო), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), დავით ლოსაბერიძე (აჟენი)

№11-14: ალექსანდრე ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა (ორივე-ვისოლი ყოჩები), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ლექსო გუგავა (ლელო)

№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო)

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

# ჯერ ის ვართ, რაც ვართ...

**ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ოლიმპიზმის ისტორიაში. „ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტებმა ოლიმპიადის მოვლენები ყოვლისმომცველად თამაშების ადგილიდან გააშუქეს. რაკი შესაძლებლობა გვეძლევა, ხელშეწყობისთვის მადლობა გვინდა ვუთხრათ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს და გამომცემლობა „კვირის პალიტრას".
დავბრუნდით თუ არა კანადიდან, საინფორმაციო პორტალის „ამბები.გე" ხელმძღვანელობა შეგვეხმიანა და გაგვაცნო შეკითხვების მთელი დასტა, რაც მკითხველებს ზამთრის ოლიმპიადასთან დაკავშირებით გაუჩნდათ. შეკითხვებს პირადად მე მისვამდნენ და, სიმართლე გითხრათ, სიამოვნებით დავთანხმდი მეპასუხა, მით უფრო, რომ შეკითხვები ზოგადად საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა და საჭიროდ ჩავთვალე, სიცხადე შეგვეტანა ბევრ საკითხში. პასუხები კარგა ხანია, დაიდო ზემოხსენებულ საიტზე. დღეს კი ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც ეძლევათ მისი გაცნობის შესაძლებლობა.**

პატივისცემით,
თენგიზ გაჩეჩილაძე

მკითხველი: გიორგი

**- ბატონო თენგიზ, ვიცით, რომ საქართველოდან 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში 8 სპორტსმენი მონაწილეობდა: ფიგურულ სრიალში, საციგაო სპორტში, სამთოთხილამურობაში. დამეთანხმებით, ალბათ, რომ სპორტის ეს სახეობები არც ისეთი პოპულარულია საქართველოში და, შესაბამისად, სპორტსმენებიც ნაკლებად ცნობადი სახეები არიან. სიმართლე გითხრათ, ოლიმპიელი სპორტსმენებიდან ყველაზე მეტი ინფორმაცია ელენე გედევანიშვილის შესახებ მაქვს, დანარჩენების ვინაობაც კი არ ვიცი. თქვენ რას იტყვით მათ პროფესიონალიზმზე? რამდენად კარგად იყვნენ ისინი მომზადებული?**

**პასუხი:** დიახ, 8 სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოდან 2010 წლის ზამთრის XXI თამაშებში მონაწილეობის უფლება, რაც ადრინდელთან შედარებით უპრეცედენტოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვანკუვერში გამართულ ამ დიდ სპორტულ ფორუმში ჩვენგან მხოლოდ ექვსმა სპორტსმენმა იასპარეზა. ოლიმპიადის გახსნის დღეს, უისტლერის საციგაო ტრასაზე, როგორც იცით, დატრიალდა ტრაგედია - უმძიმესი ტრავმის შედეგად ადგილზე დაიღუპა ქართველი მოციგავე **ნოდარ ქუმარიტაშვილი**, ხოლო მისმა თანაგუნდელმა და თანაკლასელმა მეგობარმა **ლევან გურეშიძემ** უარი განაცხადა ასპარეზობაზე, რაც სავსებით გასაგები იყო როგორც ჩვენი დელეგაციისთვის, ისე ოლიმპიადის ორგანიზატორებისთვის.

რაც შეეხება ფიგურულ ციგურაობას, სამთოთხილამურობას და საციგაო სპორტს, ვერ ვიტყვი, რომ უცხოა ჩვენთვის. კი, არის სპორტის სახეობები, რომელთა პოპულარობის საზომი მასობრიობაა, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც მასობრივი არ არის და ვერც იქნება ვერასდროს თავისი სპეციფიკურობის გამო. ამ შემთხვევაში მათი პოპულარობის საზომია ოსტატობა და ის, რომ შეტანილია ოლიმპიადების პროგრამაში. ფიგურული ციგურაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დამკვიდრდა საქართველოში, კერძოდ, ბაკურიანში, თბილისში კი აიგო საციგურაო და გაიხსნა სპეციალიზებული სკოლა, რომელიც დღესაც მუშაობს.

საკავშირო სარბიელზე პირველები გავიდნენ **ირაკლი ჯაფარიძე** და **მარინე ცერცვაძე**. მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს. ირაკლი ცნობილი მწვრთნელი და ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია. ვანკუვერში ის იყო საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი. ბავშვების აღზრდას ემსახურება მარინე, რომელიც ირაკლის მეუღლე გახდა. მათ შვილია **ოთარ ჯაფარიძე**, რომელიც **ელისონ რიდთან** ერთად წყვილთა ცეკვებში გამოდიოდა ვანკუვერში და 22-ე ადგილი ხვდათ წილად.

**ელენე გედევანიშვილი** თანამედროვე მოციგურავე ქალთა მსოფლიო ელიტაშია შესული. ევროპაში იგი ბოლო ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, ოლიმპიადაზე კი მე-14 იყო. თუ ვიტყვით, რომ ვანკუვერში ელენე ევროპის წლევანდელ ჩემპიონზე წინ აღმოჩნდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ დღეს იგი ევროპის ოლიმპიურ სახეს წარმოადგენს. საერთოდ, მსოფლიოში ტრადიციულად ძლიერი ქვეყნების მოციგურავეთა შორის ელენემ ოცეულში დაიმკვიდრა ადგილი, ეს ცუდი შედეგი არ არის. რა თქმა უნდა, აჯობებდა ათეულში მოხვედრა, რისი შანსიც ელენეს ნამდვილად ჰქონდა. პირველი დღის შემდეგ ის ხომ მე-9 ადგილზე იყო. დავძენთ, რომ ელენე გედევანიშვილი უკვე მეორედ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში, 5-ჯერ გამოსულა ევროპის ჩემპიონატების სარბიელზე, სადაც კონტინენტის ბოლო პირველობამდე მისი საუკეთესო შედეგი მე-5 ადგილი იყო.

ვანკუვერში ორი სამთომოთხილამურე იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას - **იასონ აბრამაშვილი** და **ჯაბა გელაშვილი**. ორივე ბაკურიანელია და ცდილობენ, ღირსეულად გააგრძელონ წინამორბედთა ტრადიციები. იასონმა ბრწყინვალედ ჩაატარა გასული წლის სეზონი - დეკემბერში ზედიზედ იკავებდა ადგილს საპატიო კვარცხლბეკზე გამარჯვებულის თუ პრიზიორის რანგში. წლევანდელი იანვარი შედარებით ჩაუვარდა და ამან თავი თებერვალში ვანკუვერშიც იჩინა. ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიელს ჯაბა გელაშვილს (იგი ახლა გახდა 17 წლის), ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ცუდად არ უასპარეზია. მან და იასონმა საბოლოოდ 50 გამორჩეულს შორის დაიმკვიდრეს ადგილი. სულ კი ოლიმპიადაზე 100-ზე მეტი სამთომოთხილამურე გამოდიოდა.

მთხოვთ, ჩემი აზრი გამოვთქვა ქართველი სპორტსმენების პროფესიონალიზმთან დაკავშირებით. ზემოთქმულს დავამატებ, რომ ოლიმპიადაზე შემთხვევით და დაბალი დონის მონაწილეები ვერ ხვდებიან - უნდა მოიპოვო ლიცენზია, რომელიც მაღალი ოსტატობის სტანდარტებს შეესაბამება. ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის დამსახურება და მონაწილეობა თავისთავად უკვე დიდი მიღწევაა. ოლიმპიადებზე მხოლოდ იმათ ხომ არ იწვევენ, ვისაც მედლის მოპოვების შანსი აქვს. მაშინ თამაშები ინტერესს დაკარგავდა.

მკითხველი: ნიკა

**- ამბობენ, რომ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადა ყველაზე ცუდი იყო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში... მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, ოლიმპიადის სპონსორმა კომპანიებმა თამაშების დაფინანსება 30 მლნ დოლარით შეამცირეს. ამას გარდა, სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი იყო თბილი ამინდი. ბევრი ითქვა უსაფრთხოების ნორმების არარსებობაზე, რასაც ქართველი სპორტსმენი ნოდარ ქუმარიტაშვილი ემსხვერპლა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა დაშავებულ სპორტსმენებზე.**

**თქვენ იქ იმყოფებოდით და ამიტომ მინდა გკითხოთ, რამდენად მაღალ დონეზე იყო მოგვარებული საორგანიზაციო საკითხები და დაცული უსაფრთხოების წესები? ვინ იყო პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე?**

**პასუხი:** ვერ ვიტყვი, რომ ცუდი ოლიმპიადა იყო; ყველაფერი შედარებითია. ცხადია, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა იმოქმედა, მაგრამ კანადამ, კერძოდ, ვანკუვერმა, ვფიქრობ, ღირსეულად გაართვა თავი სიძნელეებს. პრობლემებს გაგებით მოეკიდნენ სტუმრებიც. უსაფუძვლო პრეტენზიები არ ყოფილა. მომჭირნეობა ოლიმპიადას აშკარად ემჩნეოდა. თუმცა არა სტუმრების კომფორტის ხარჯზე. მხედველობაში მაქვს ორგანიზაციული საკითხები, თორემ კულტურული და სხვა ღონისძიებები, სპონსორების ხელგაშლილობა და ა.შ. აშკარად უმნიშვნელო ან საერთოდ არ იყო. გამართულად მუშაობდა ტრანსპორტი, მთავარი და სუბპრესცენტრები, მომსახურების სხვა ობიექტები.

სპორტსმენთა უსაფრთხოდ ვარჯიშისა და შეჯიბრებების ნორმების დაცვაში ნამდვილად იგრძნობოდა გულგრილობა და იყო დაშვებული შეცდომები, რასაც ჩვენი მოციგავის, ნოდარ ქუმარიტაშვილის სიცოცხლე შეეწირა, ზოგიერთი სხვა ოლიმპიელი კი დაშავდა. უსაფრთხოებაზე პასუხს აგებს შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ფედერაცია, რომელიც ითანხმებს ტრასის პროექტს, ამტკიცებს და გადასცემს მშენებლებს. მაგრამ, საბოლოოდ, სწორედ საერთაშორისო ფედერაცია იბარებს ტრასას, დეფექტების შემთხვევაში, აიძულებს სამუშაოთა შემსრულებლებს მის გამოსწორებას. მიდის სამართლებრივი ძიება, რამდენად სწორად იყო გათვლილი პროექტი და როგორ შესრულდა დაკვეთა. ფაქტი კი ფაქტად რჩება, ჩვენი მოციგავის დაღუპვის შემდეგ ტრასის სტარტი 30 მეტრით დაბლა დასწიეს, რათა ზედმეტად მაღალი სიჩქარე არ აეკრიფათ ოლიმპიელებს, კორექტივები შეიტანეს დამცავი კედლების ასამაღლებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ასე რომ, პასუხისმგებელი ტრასის უსაფრთხოებაზე იყო დამკვეთი - საერთაშორისო ფედერაცია. თუმცა არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იხსნის მორალურ პასუხისმგებლობას, რის შესახებაც თავად ოფიციალურად განაცხადა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**. ნოდარი მე-4 იყო, ვინც ზამთრის ოლიმპიადებზე დაიღუპა. საერთოდ, თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიაში ეს შემთხვევა მე-9 იყო.

ამინდზეც მეკითხებით. კლიმატი მართლაც არახელსაყრელი დაემთხვა, მაგრამ ამას დიდად არ შეუშლია ხელი ოლიმპიადის ნორმალური მსვლელობისთვის. თბილი ამინდები უფრო ვანკუვერში იყო, სადაც მხოლოდ დახურული ოლიმპიური არენებია განთავსებული. უისტლერის ტრასებზე კი თავიდან თოვლის ნაკლებობა უხვთოვლობამ და ნისლმა შეცვალა.



მკითხველი: ნათია

**- არ გეჩვენებათ, რომ ზამთრის ოლიმპიადის მიმართ დიდი ინტერესით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა ქართული საზოგადოება (ამას ალბათ იმ ფაქტორმაც შეუწყო ხელი, რომ პირდაპირი ტრანსლაციის საათები ჩვენთან ისეთ დროს ემთხვეოდა, რომ ხალხი თითქმის ვერ უყურებდა), მაგრამ რამდენად იყო ეს განპირობებული იმით, რომ ჩვენთან არ არის განვითარებულის ზამთრის სპორტის სახეობები და არც ძლიერი სპორტსმენები გვყავს? ძლიერი სპორტსმენები არც ფეხბურთში გვყავს, მაგრამ მათ მიმართ ყოველთვის დიდი ინტერესია...**

**პასუხი:** მოდი, შედარებით დავიწყოთ. ფეხბურთს პოპულარობით მსოფლიოში სპორტის ერთი-ორი სახეობა თუ გაუტოლდება. მთავარი ის არის, რომ თუ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, პეკინში 2008 წელს 204 ქვეყანა მონაწილეობდა, ზამთრის თამაშებში წლეულს 82 ქვეყნის სპორტსმენებმა იასპარეზეს და ეს სარეკორდო მაჩვენებელი იყო. ახლა თავად განსაჯეთ, არის თუ არა საამაყო, რომ იმ 82 ქვეყანას შორის ჩვენც ვართ. ხომ იხილა მსოფლიომ ალუმზე საქართველოს დროშა, ხომ გაიგო სამყარომ, რომ იმ ქვეყნების სათვალავში ვართ, ვინც ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. სხვა საქმეა, როდის გვეყოლებიან ჩემპიონები და პრიზიორები. უეჭველად დადგება ეს დროც. არმონაწილეობით კი წინ ვერ წავალთ.

როგორ არ არის ჩვენში განვითარებული სპორტის ზამთრის სახეობები?! არის და ტრადიციებიც გვაქვს. არც ძლიერი სპორტსმენები გვყავსო - ბრძანებთ. ვის უწოდებთ ძლიერს, მხოლოდ მას, ვინც ჩემპიონი ან პრიზიორი ხდება? ეს ლოგიკურია, მაგრამ ძლიერი ისიცაა, ვინც მწვავე კონკურენციაში ოლიმპიადის ლიცენზიას მოიპოვებს. ვიმეორებ, ასეთი კი რვა გვყავდა - ყველაზე მეტი, ვიდრე ოდესმე. ამასთან, ბევრმა ქვეყანამ საერთოდ ვერ მოიპოვა ლიცენზია ან თუ მოიპოვა, ჩვენზე ნაკლები.

ძლიერ ქვეყნებზე არაფერს ვამბობ, ისინი, ტრადიციულად, სრული პროგრამით ჩაერთნენ ოლიმპიადაში და მედლებიც მათ შორის განაწილდა. სულ 82-დან 26-მა ქვეყანამ წაიღო შინ ოლიმპიური ჯილდო. სხვები მონაწილეობას დასჯერდნენ, ისევე როგორც ჩვენ და თუნდაც ერთი ოლიმპიური ჯილდო ვერ დაიმსახურეს.

გეთანხმებით, დროში ზუსტად 12 - საათიანმა განსხვავებამ საქართველოს სპორტის მოყვარულთა უმრავლესობას საშუალება არ მისცა, თამაშები პირდაპირ ეთერში ეხილა.

მკითხველი: ბესიკი

**- გამომდინარე იქიდან, რომ ზამთრის თამაშები საქართველოში ნაკლებადაა განვითარებული, მაინტერესებს, წინა წლებში თუ მიუღიათ ქართველ სპორტსმენებს მონაწილეობა ზამთრის ოლიმპიადებში და რა შედეგებით დაბრუნებულან?**

**პასუხი:** საბჭოთა პერიოდში ერთადერთი სპორტსმენი, რომელიც ზამთრის ოლიმპიადებში გამოსულა, არის ვეტერანი ბაკურიანელი ტრამპლინიდან მხტომელი **კობა წაქაძე**(1956, 1960, 1964, 1972 წლები). საუკეთესო შედეგი ჰქონდა 1972 წელს - IX ადგილი. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, 1994 წელს ლილეჰამერში მონაწილეობდა 5 ჩვენი სპორტსმენი: **ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი** - სამთოთხილამურობაში, **ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი** - ციგაობაში, **კახა წაქაძე** - ტრამპლინიდან ხტომაში. საუკეთესო შედეგი ჰქონდათ მოციგავეებს - XVII ადგილი. ჯიჯიშვილმა სამ კონკურენტს აჯობა და 50-ე იყო სწრაფდაშვებაში. კომბინაციაში კი ვერც მან და ვერც აბრამიშვილმა ფინიშამდე ვერ მიაღწიეს.

მომდევნო ოლიმპიადაზე, 1998 წელს ნაგანოში, საქართველოდან 4 სპორტსმენი გამოდიოდა. მათ შორის იყო ზამთრის სახეობებში პირველი ოლიმპიელი ქალი საქართველოდან **სოფიკო ახმეტელი** - სამთოთხილამურობაში. ზურაბ ჯიჯიშვილს ამჯერად XIV ადგილი ხვდა სამთო კომბინაციაში. ლევან აბრამიშვილმა ტრასა ვერ ჩაამთავრა, კახა წაქაძე საშუალო ტრამპლინზე 55-ე იყო, დიდ ტრამპლინზე - 59-ე.

შემდეგ იყო სოლტ-ლეიკ-სიტი (აშშ). აქ მოციგურავე **ვახტანგ მურვანიძე** XVII ადგილზე გავიდა, წაქაძე ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდა, ახმეტელმა სლალომსა და გიგანტურ სლალომში დისტანცია ვერ ჩაამთავრა, **რობერტ მახარაშვილი** პირველი დაშვებიდან გამოეთიშა შეჯიბრებას.

2006 წელს ტურინში გედევანიშვილმა, მურვანიძემ და აბრამაშვილმა იასპარეზეს. აქ ადრინდელზე ნაკლები მონაწილე გვყავდა. იასონს XXVIII ადგილი ხვდა, მურვანიძეს მოკლე პროგრამაშივე მოეცარა ხელი და 24 უძლიერესში ვერ შევიდა. გედევანიშვილი მე-10 იყო, რაც ჯერჯერობით საუკეთესო შედეგად რჩება დამოუკიდებელი საქართველოს ზამთრის სპორტის ოლიმპიურ ისტორიაში.

მკითხველი: შოთა

**- ოლიმპიადის დღეებში ბევრისგან მსმენია, რომ ქართველი სპორტსმენები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულები და, საერთოდაც, არ ღირდა ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა. მაინტერესებს, რა თანხები დაიხარჯა ქართველი ოლიმპიელების მომზადებაზე და რა წვლილი მიუძღვის ამაში სახელმწიფოს.**

**პასუხი:** რაც შეეხება სპორტსმენთა მომზადებას, ზემოთ ნაწილობრივ ითქვა. გავიმეორებ, მომზადების დონის შემფასებელია ლიცენზიის მოპოვება. ღირდა თუ არა მონაწილეობა? ამ კითხვასაც ზემოთ გაეცა პასუხი. თანხებზე რა გითხრათ. მიზნობრივ დაფინანსებაში, ცხადია, არის ბიუჯეტის წვლილი. ვანკუვერში შევიტყვე, რომ ჩვენი მოციგურავე წყვილის მომზადებაზე 6 ათასი ლარი დახარჯულა. საცეკვაო ეროვნული ტანსაცმელიც კი ოჯახს შეუკერია. ბუნებრივია, შედარებით სოლიდური თანხები იხარჯება უცხოეთში ჩვენი სამთომოთხილამურეების მომზადებაზე, რომლებიც იქ წლიდან წლამდე ცხოვრობენ, ვარჯიშობენ და ასპარეზობენ.

მკითხველი: ანი

**- რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ არის სპორტის სახეობები, რომელთათვისაც ოლიმპიადა მეორეხარისხოვანია, მაგალითად, ფეხბურთი ან თუნდაც კალათბურთი. ოლიმპიადა უფრო სპორტის ინდივიდუალური სახეობებისთვისაა მნიშვნელოვანი და არა გუნდურისთვის.**

**პასუხი:** ვერ გავიზიარებ აზრს, რომ არის სპორტის სახეობები, რომელთათვის ოლიმპიური თამაშები მეორეხარისხოვანია. ფეხბურთსა და კალათბურთზე მიანიშნებთ. მერედა, თუ შესაბამისი ფედერაციები მიიჩნევენ, რომ ეს ასეა, რატომ არ აყენებენ ოლიმპიური პროგრამიდან ამ სახეობების ამოღების საკითხს? მონაწილეობა ნებაყოფლობითია. არიან მსურველები? მაშასადამე, მონაწილეობა მნიშვნელოვანია. ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ ოლიმპიადები უფრო ინდივიდუალური სახეობებისთვისაა მნიშვნელოვანი და არა გუნდურისთვის. თერთმეტ ოლიმპიადაზე ვყოფილვარ და არასდროს შემინიშნავს მაყურებელთა დაუინტერესებლობა თუნდაც იმავე ფეხბურთით ან კალათბურთით, ან ფრენბურთით, ჰოკეით და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ტელევიზიები უინტერესო გუნდური თამაშებისთვის უხდიან მილიონებს ოლიმპიადის ორგანიზატორებს?

მკითხველი: დავითი

**-თქვენი აზრით, უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები მომდევნო ზამთრის ოლიმპიადაზე? რამდენად პერსპექტიულია სპორტის ეს სახეობები ჩვენს ქვეყანაში?**

**პასუხი:** ცხადია, უნდა წავიდნენ. მთავარია, მონაწილეობის უფლება მოიპოვონ სალიცენზიო შეჯიბრებებში. წინ უნდა ვიაროთ. დევიზი უნდა იყოს:

>> მე-17 გვერდზე

« მე-16 გვერდიდან

„რაც შეიძლება მეტი ლიცენზია, რაც შეიძლება მაღალი ოსტატობა" - აი, რა არის მთავარი. მარცხით და ხელმოცარვით, პესიმიზმში ჩავარდნით სპორტის განვითარება ვის გაუგია?! პირიქით, წარმატების მიღწევის ღრმა რწმენით, პრობლემების დაძლევით უნდა ვიაროთ სასურველი მიზნისკენ. რაც შეეხება პერსპექტიულობას.

საქართველო იმ არცთუ ბევრი ქვეყნის ჩამონათვალშია, სადაც უნიკალური ბუნებრივი პირობებია სპორტის ზამთრის სახეობების გასავითარებლად; პერსპექტივა ჩვენს ხელშია და როგორ გამოვიყენებთ, ჩვენივე გადასაწყვეტია. თავისთავად არაფერი მოვა. ჯერ ის ვართ, რაც ვართ... იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, მით უფრო, რომ ოპტიმიზმის საფუძველი დღეს ნამდვილად გვაქვს, როცა ხელისუფლებამ მთელი სერიოზულობით დაიწყო ქვეყანაში საერთოდ სპორტის და, კერძოდ, ზამთრის სახეობების განვითარებისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი პირობების შექმნა. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ტრამპლინიდან ხტომაც, რომლის ოლიმპიურ ტრადიციებს საქართველოსთვის საფუძველი ჩაუყარეს ბაკურიანელმა მამაშვილმა კობა და კახა ნაქაძეებმა.

**მკითხველი: მარიკა**

**- ვანკუვერმა მომდევნო ოლიმპიადის ესტაფეტა სოჭს გადასცა. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინებით, მიიღებს თუ არა საქართველო მონაწილეობას ამ ოლიმპიადაში და რამდენად გამართლებული იქნება ეს?**

**პასუხი:** ჯერ კიდევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა საკითხი, საერთოდ ჩატარდება თუ არა სოჭში ზამთრის 2014 წლის თამაშები. ექსპერტები შეშფოთებული არიან რუსეთის ორჭოფობით. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს რუსეთს სოჭის ოლიმპიადის მასპინძლობის თავიდან მოშორება სურს. ამ ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციები სოჭის მოსახლეობასთან ერთად პროტესტს გამოთქვამენ თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით.

მთავარი მიზეზი ეკოლოგიური კატასტროფაა. იქ ცნობილმა „იმერეთის ველმა" უკვე დაკარგა ისტორიული სახე, მოსახლეობა აყარეს, ჩამოართვეს მიწები. ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებული მუშები სახელფასო დავალიანების გამო გაიფიცნენ.

დაძაბულობა დღესაა რუსეთ-საქართველოს შორის. სამი-ოთხი წლის შემდეგ შესაძლოა, შეიცვალოს ვითარება. მაგრამ, თუ სოჭში თამაშები ჩატარდება და საქართველო მონაწილეობას არ მიიღებს, ეს მან უნდა დაასაბუთოს. ამ საბუთს (მიზეზებს) ან მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ან არა. თუ მიზეზი საპატიოდ არ ჩაითვალა და მაინც არ წავალთ თამაშებზე სოჭში, ამას მკაცრი სანქციები მოჰყვება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან. ოლიმპიური ქარტიისა და ოლიმპიზმის იდეების შეურყევლად დაცვა სოკ-ის ყველა წევრი ქვეყნისთვის სავალდებულოა.

**მკითხველი: მიხეილი**

**-საქართველოში ელენე გედევანიშვილზე არანაკლებ ნიჭიერი მოციგურავეები არიან, მაგრამ უსახსრობის გამო იჩაგრებიან და ვერ ვითარდებიან. სამწუხაროდ, არავის ახსოვს ვახტანგ მურვანიძე. ევროპის მასშტაბით მისი წარმატებები, ვახტანგს ხელშეწყობა აკლდა... ეს უსამართლობაა...**

**პასუხი:** გეთანხმებით, საქართველოში არიან ნიჭიერი მოციგურავეები, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, რომ ელენე გედევანიშვილზე უკეთესი ტალანტები არიან და უყურადღებოდ რჩებიან. თუ ასეა, გვარები დაასახელეთ. ელენემ ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა სალიცენზიო ტურნირებში. ეს სხვებსაც შეეძლოთ, მაგრამ ვის? არც ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი, არც სპორტის დეპარტამენტი და ფედერაცია უყურადღებოდ არავის ტოვებენ. რაც შეეხება ვახტანგ მურვანიძეს, არც მას მოჰკლებია თავის დროზე ყურადღება - მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. მერე თავი გაანება გამოსვლას და უცხოეთში მწვრთნელად მუშაობს მოყვარულებთან.

**მკითხველი: თემური**

**- როგორია თქვენი ზოგადი შთაბეჭდილება ოლიმპიადაზე... კანადა და აშშ რომ მოწინავე პოზიციებზე იქნებოდნენ, ეჭვიც არავის ეპარებოდა, მაგრამ რომელი ქვეყნები წარმოჩნდნენ უკეთესად ან პირიქით, უარესად, წინა ოლიპიადებთან შედარებით?**

**პასუხი:** ტრადიციულად, პირველ ათეულში აშშ, ნორვეგია, გერმანია, ავსტრია, კანადა, შვედეთი, შვეიცარია, იტალია, რუსეთი, საფრანგეთი დომინირებდნენ. ბოლო ოლიმპიადებში დაწინაურდნენ სამხრეთ კორეის და ჩინეთის სპორტსმენები. რუსეთი კი ვანკუვერში ათეულს მიღმა დარჩა.

ახლანდელი ათეული ასე გამოიყურება: 1. კანადა, 2. გერმანია, 3. აშშ, 4. ნორვეგია, 5. ს. კორეა, 6. შვეიცარია, 7. ჩინეთი, 8. შვედეთი, 9. ავსტრია, 10. ჰოლანდია. კანადელებმა ოქროს 13, ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 5 მედლით პირველად მოიპოვეს გუნდური პირველობა, რაც სრულიად დამსახურებული იყო და არცაა გასაკვირი - ისინი საკუთარ ტრასებზე და დარბაზებში ასპარეზობდნენ, მზადებაზე მილიონებიც დახარჯეს ღირსეული წარმატების მისაღწევად. იგივე ითქმის ამერიკელებზე. კანადელები წინა ოლიმპიადაზე მეხუთე ადგილზე გავიდნენ ოქროს მედლებით. ვანკუვერში კი 13 ოქრო ხვდათ წილად. გერმანიას 11 ოქრო ჰქონდა 2006 წელს ტურინში და პირველ ადგილზე იყო, ახლა კი ოქროს 10 მედლით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამერიკამ ბოლო ორ ოლიმპიადაზე 9-9 უმაღლესი ჯილდო მოიპოვა და ორივეჯერ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. რუსეთი 2006 წელს 8 ოქროს მედლით მე-4 ადგილზე იყო. ამჟამად მხოლოდ 3 ოქრო დაიმსახურა და მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

**მკითხველი: გელა**

**- რამდენად იმსახურებდა კანადა ყველა ჯილდოს, რასაც დაეუფლა. ჰქონდა თუ არა მას რაიმე უპირატესობა, როგორც მასპინძელ ქვეყანას და ეს შედეგებთან თუ იყო პირდაპირ კავშირში? თუ შეინიშნებოდა ტენდენციურობის მომენტი? რამდენად ობიექტური იყო მსაჯთა შეფასებები?**

**პასუხი:** კანადა, ვიმეორებ, ყველა ჯილდოს, რაც მოიპოვა, იმსახურებდა. ვერ ვიტყვი, რომ არაობიექტურმა მსაჯობამ შეუწყო ხელი კანადელების დაწინაურებას. ეს არ არის პირადი შთაბეჭდილება, საბუთად ვიშველიებ იმ ფაქტს, რომ მსაჯთა კოლეგიებში არ შესულა პროტესტი ტენდენციურობასთან დაკავშირებით.

**მკითხველი: მამუკა**

**- კანადელებს რომ მართლაც ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ რამდენად განაპირობა ოლიმპიადაზე კანადელებისა და ამერიკელების წარმატება იმან, რომ თამაშები კანადაში ტარდებოდა? ანუ აკლიმატიზაცია რამდენად ახდენს გავლენას სხვა ქვეყნის სპორტსმენებზე და ეს აისახება თუ არა მათ შედეგებზე?**

**პასუხი:** ცხადია, კანადელებიც და ამერიკელებიც ძლიერები არიან და მათ შესაძლებლობების სრულად წარმოჩენაში ხელი შეუწყო იმან, რომ ოლიმპიადა ჩატარდა კანადაში. რა თქმა უნდა, აკლიმატიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ამას ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნები ითვალისწინებენ და დროულად გადიან შესაბამის პროცესს.

**მკითხველი: ირაკლი**

**- ჩემი აზრით, ელენე გედევანიშვილის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი ჭარბი წონაც იყო. ძალიან დამწყდა გული... არ ფიქრობთ, რომ ის მოციგურავე, რომელიც ოლიმპიადაზე გამოსასვლელად ემზადება, უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს?**

**პასუხი:** ვერ ვიტყვი, რომ ელენე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საქმეს. წონის რეგულირება მწვრთნელთან და ექიმთან თანამშრომლობით ხდება. შეიძლება, ელენეს ზედმეტი წონა მართლაც ჰქონდა, მაგრამ ამ „ზედმეტი" წონით ხომ შევიდა ფინალში, სადაც პირველი დღის შემდეგ მე-9 იყო, მაგრამ მეორე დღეს ისე ლაღად ველარ შეასრულა რთული ილეთები, დაეცა კიდეც და ათეულში ველარ მოხვდა. სხვათა შორის, ელენეზე ტიტულოვანი სპორტსმენებიც დარჩნენ ათეულის მიღმა. განწყობაცაა, გამართლებაც, ყველაფერს წონას ნუ დავაბრალებთ.

**მკითხველი: ზაზა**

**- ინტერნეტიდან შევიტყვე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა წინააღმდეგი იყო ოლიმპიური თამაშების. რამდენად მართალია ეს და საერთოდ, როგორი განწყობა იყო უბრალო ხალხში ოლიმპიური თამაშების მიმართ? ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგედიაში ისინი ვის მიიჩნევდნენ დამნაშავედ? და რამდენად იყვნენ კმაყოფილები თავად ოლიმპიელები კანადელთა მასპინძლობით?**

**პასუხი:** XX საუკუნის ბოლო მეოთხედის დასაწყისიდან მოყოლებული, თითქმის არც ერთი ზამთრის ოლიმპიადა არ დაგეგმილა და ჩატარებულა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი არ გამოეწვია. ასე იყო ვანკუვერშიც. პროტესტის ტალღა თამაშების დასაწყისშივე ადრინდელზე მძაფრად აგორდა, რასაც ექსცესებიც მოჰყვა. დარბევებზე ალარაფერს ვამბობ. საფრთხე შეექმნათ ოლიმპიადის მონაწილეებსაც, რაც უსაფრთხოების სამსახურების მთავარ საზრუნავად იქცა. საბედნიეროდ, ყველაფერი მალე ჩაცხრა. კანადელები თავმოყვარე ხალხია, ვითარება ალარ გაამწვავეს. რაც შეეხება საერთო განწყობას, ყველამ იხილა, რომ თამაშებს საზეიმო ელფერი არ დაჰკლებია, კანადელთა საყოველთაო გულშემატკივრობა კარგად აისახა მათ ერთსულოვან საერთო მოწოდებაში GO, KANADA, GO! კანადელთა მასპინძლობა არაფრით ჩამოუვარდებოდა დამკვიდრებულ ტრადიციას. ეგაა, ბევრ მოხალისეს წარმოდგენა არ ჰქონდა არც ვანკუვერსა და მის ქუჩებზე თუ სტუმრებისთვის მნიშვნელოვან ობიექტებზე, არც სპორტული ბაზების მდებარეობაზე, სხვა ორგანიზაციულ საკითხებში დახმარებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მიზეზი კი ისაა, რომ ათასობით მოხალისე (ე.წ. ვალანტიორი) ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან და უცხოეთიდანაც კი მიიწვიეს. მთავარ პრესცენტრში ერთ-ერთ ორგანიზაციულ საკითხში ჩემ გასარკვევად რუსული ენის თარჯიმანს უხმეს. ის კი... ქართველი აღმოჩნდა - ლონდონელი სტუდენტი ვაჟი.

ტრაგედიაზე თქვენც მეკითხებით. გაინტერესებთ, ადგილობრივი მოსახლეობა ვის მიიჩნევს დამნაშავედ ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვაში. გეტყვით, რომ ყველა დარწმუნდა ტრასის მომწყობთა უპასუხისმგებლობაში. მთავარი დამნაშავე დამკვეთია - საერთაშორისო ფედერაცია. ძიება მიმდინარეობს და ყველაფერს ფარდა აეხდება.

**მკითხველი: ეკა**

**- თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას იმის შესახებ, როდის დაიწყება ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის ტრასის მშენებლობა?**

**პასუხი:** ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასის მშენებლობა ბაკურიანში მალე დაიწყება. ჯერ მიმდინარეობს პროექტირება და სახსრების გამოყოფაზე შეთანხმება, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში იოლი არ არის. ამასთან, მოდის შემოწირულობები მთელი მსოფლიოდან როგორც ოჯახის, ისე ტრასის მშენებლობაში დასახმარებლად.

**მკითხველი: ტარიელი**

**- როდემდე უნდა მივილოთ მონაწილეობა ოლიმპიადებში უშედეგოდ, არ ჯობია, ამ ფულით სპორტსმენები მოვამზადოთ და მერე გავუშვათ საასპარეზოდ?**

**პასუხი:** ვფიქრობ, ცხელ გულზე გაქვთ ეს შეკითხვა დასმული. ბევრჯერ მითქვამს და დაუღლელად იმდენჯერ გავიმეორებ, რამდენჯერაც საჭირო იქნება - მონაწილეობა აუცილებელია, უალტერნატივოა. რა ფულზეა ლაპარაკი. ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის თანხას არავინ იხდის. პირიქით, სრული მომსახურება უფასოა. ასე რომ, ოლიამპიადაში არმონაწილეობით ვერაფერსაც ვერ დავზოგავთ, დაკარგვით კი ბევრს, ძალიან ბევრს დავკარგავთ...

ჭადრაკი

# ქართული დესანტი დუბაიში

ბრძენთა თამაშის მოყვარულები ახლა ოფიციალური ტურნირებით არ არიან დაკავებული, ამიტომ ძალებს საერთაშორისო პაექრობებში ცდიან. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებას დუბაი მასპინძლობს. პირველობისთვის საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატები იბრძოლებენ — სომეხი **გაბრიელ სარგისიანი** (2675), უკრაინელი **ვლადიმირ ბაკლანი** (2644), ინდოელი **პარიმარიან ნეგი** (2634), უნგრელი **ჩაბა ბალოში** (2622), მოლდოველი **ვიორელ იორდაჩესკუ** (2621), რუსი **სერგეი ვოლკოვი** (2612), აზერბაიჯანელი **გადირ ჰუსეინოვი** (2609), ვენესუელელი **ედუარდო იტურისაგა** (2604), ბელარუსი **ალექსეი ალექსანდროვი** (2601) და სხვები. მოასპარეზეთა შორის ქართველებიც იქნებიან — **თამაზ გელაშვილი** (2621), **ლევან ფანცულაია** (2588), **მერაბ გაგუნაშვილი** (2582), **დავით არუთინიანი** (2576), **თორნიკე სანიკიძე** (2566), **კონსტანტინე შანავა** (2544), **ნანა ძაგნიძე** (2479) და **სოფიკო ხუხაშვილი** (2421). მათს შედეგებს ყოველდღიურად შემოგთავაზებთ.

# ელადური ბატალიები

სალონიკში გრძელდება მოჭადრაკეთა მე-6 სათამაშო ფესტივალი. იგი რამდენიმე ტურნირს აერთიანებს, მათ შორის — ქალაქის ღია პირველობას, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 55 წარმომადგენელი მონაწილეობს. თბილისელმა დიდოსტატმა **გიორგი ბალათუროვმა** მე-8 ტურში შავი ფიგურებით **ილია სიდორენკო** (ისრაელი) დაამარცხა. საერთაშორისო ოსტატმა **ბორის ესენმა** (თურქეთი), ასევე შავებით, ბულგარელ **ვლადიმირ გეორგიევს** სძლია და 6,5 ქულით ბალათუროვთან ერთად მეწინავეობს.

შეჯიბრებაში მონაწილეობს საერთაშორისო ოსტატი **ნიკოლოზ შავთვალაძე**. მე-8 ტურში იგი ბულგარელ **ხრისტო ველჩევს** დაუზავდა და 5 ქულა მოაგროვა.

მე-9 ტურში ბალათუროვი თეთრებით გეორგიევს შეუტევს, ესენი — პოლონელ მიროსლავ პერდეკს დაუპირისპირდება, ხოლო შავთვალაძე ილია სიდორენკოს შეხვდება.

■ ■ ■

8 აპრილს სალონიკშივე ფესტივალის პროგრამით სტარტს აიღებს ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც სახელოვანი დიდოსტატებიდან იასპარეზებენ: **ნონა გაფრინდაშვილი**, **ვიტალი ცეშკოვსკი** (რუსეთი), **გენადი ტიმოშჩენკო** (სლოვაკეთი), **ნიკოლაი პუშკოვი** (რუსეთი), **ვიქტორ კუპრეიჩიკი** (ბელარუსი), **ალგიმანტას ბუტნორიუსი** (ლიტვა), **ლუდმილა საუნინა**, **გალინა სტრუტინსკაია**, **ელენა ფატალიბეკოვა** (ყველა — რუსეთი), **თამარ ხმიადაშვილი**, **ტატიანა ფომინა** (ესტონეთი) და სხვები, სულ 68 მოჭადრაკე.

რაც შეეხება ევროპის ინდივიდუალურ სასკოლო ჩემპიონატს, აქ 227-მა მოჭადრაკემ მოიყარა თავი. შეჯიბრების რეიტინგ-ფავორიტია **ზურაბ ჯავახაძე** (2338), მეორე ადგილზე **მერი არაბიძე** (2292). ელადაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას, ასევე, დაიცავენ: **ანა შამათავა** (191), **გიორგი დანგაძე** (1832) და **მარიამ წულაია** (1459).

# ლობჟანიძე ახლოსაა

ქართველი საერთაშორისო ოსტატი **დავით ლობჟანიძე** გერმანიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, სადაც წარმატებით იბრძვის 22 დიდოსტატისა და 27 საერთაშორისო ოსტატის წინააღმდეგ. 7 ტურის შემდეგ იგი 6 ქულით მეორე-მერვე ადგილებს იყოფდა. 6,5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობდა **პაბლო ლაფუენტე**, რომელიც მე-8 ტურში შავებით **ვიქტორ ერდოშს** დაუზავდა. ასევე, ქულები გაიყვეს ლობჟანიძემ და **რაინერ ბუხმანმა**. სამაგიეროდ, ლაფუენტესთვის ქულებით გათანაბრების შანსი გამოიყენეს **მარკუს ლამერსმა** და **დავიდ მიედემამ**, რომლებმაც, შესაბამისად, **ხიმენეს კორალესი** და **მიხალ ოლშევსკი** დაამარცხეს.

ბოლო ტურის წინ ლაფუენტეს, ლამერსსა და მიედემას 7-7 ქულა აქვთ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლობჟანიძე, ბუხმანი, ერდოში, სტროპაკერი და ბოროვიკოვი, რომლებიც მეოთხე-მერვე ადგილებს ინაწილებენ.

ვაჟა დანელია

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი; 8. ოლიმპიური ბაზა აფხაზეთში; 9. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჩეხი ფეხბურთელი; 10. შეჯიბრება პატარა ავტომობილებით; 11. საფეხბურთო კლუბ "ბორდოს" მთავარი მწვრთნელი; 13. ცნობილი ინგლისელი მოკრივე; 15. თურქეთის საკალათბურთო გუნდი; 16. ცნობილი ირლანდიელი ფეხბურთელი; 17. ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მსაჯი; 20. კრაკოვის საფეხბურთო გუნდი; 22. ძიუდოს ფუძემდებელი; 24. ცნობილი ბელგიელი ჩოგბურთელი ქალი; 25. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე; 26. ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი; 28. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი; 31. ბურთის გასვლა მოედნის გარეთ; 32. რუსეთის ქალთა საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი; 33. გერმანიის "შალკე 04"-ის ქართველი ლეგიონერი.

**შვეულად:** 1. ნბა-ში მოთამაშე არგენტინელი კალათბურთელი; 2. სპორტის სახეობა; 3. ბელგიის საფეხბურთო კლუბი; 4. "კარლ ცაისის" ქალაქი; 5. ლეგენდარული ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი; 6. უეფას ჩემპიონთა ლიგის სპონსორი ლუდსახარში; 7. ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 12. ლეგენდარული უკრაინელი ჭოკით მხტომელი; 14. პელეს მშობლიური კლუბი; 18. ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი; 19. იხ. სურათი; 20. თბილისის ყოფილი საკალათბურთო გუნდი; 21. შეჯიბრება მთიდან თხილამურებით სწრაფდაშვებაში; 22. კრივში: წესის დარღვევა – მოწინააღმდეგის ხელების დაჭერა ან მის სხეულზე შემოჭდობა; 23. გამოჩენილი რუმინელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 27. ჭადრაკის ფიგურა; 29. იაპონელი ტანმოვარჯიშე, რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 30. ყველაზე დაბალი შეფასება ძიუდოში.

პასუხები იხილეთ ლელოს მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

## ● კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 2 აპრილი

**შარლოტი-მილუოკი 87:86 (ო)**

17:19, 27:26, 21:20, 15:15, 7:6

შ: ჯექსონი (32), ფელტონი (12+6 პასი), უოლასი (5+11 მოხსნა).
მ: სალმონსი (28+5 პასი), ბოგუტი (19+12 მოხსნა+7 დაფარება), დელფინო (14).

**ინდიანა-მაიამი 96:105 (ო)**

22:23, 27:16, 18:31, 22:19, 7:16

ი: მერფი (29+15 მოხსნა), გრეინჯერი (25), პრაისი (13), რაში (10).
მ: უეიდი (43+9 მოხსნა+6 პასი), ბიზლი (12+7 მოხსნა), რაიტი (11+7 მოხსნა), ჩალმერსი (10).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 87:95**

25:30, 25:23, 25:23, 12:19

ვ: ბლეტჩი (18+13 მოხსნა+7 პასი), მილერი (15+7 პასი), მაკგი (13+9 მოხსნა), ლივინგსტონი (12), იანგი (10).
ჩ: როუზი (24+5 პასი), გიბსონი (14+16 მოხსნა), დენგი (14), ნოა (10+8 მოხსნა), ჰაინრიხი (10+5 პასი).

**ბოსტონი-ჰიუსტონი 114:119 (ო)**

30:32, 23:25, 30:30, 26:22, 5:10

ბ: პირსი (27), რონდო (23+10 პასი+5 ჩაჭრა), პერკინსი (15), ტ. ალენი (12), გარნეტი (12), უოლასი (11+8 მოხსნა).
ჰ: ბრუქსი (30+9 პასი), სკოლა (27+11 მოხსნა), ბადინგერი (24), ლოური (18+5 პასი).

**კლივლენდი-ატლანტა 93:88**

23:23, 26:23, 20:20, 24:22

კ: ჯეიმსი (27+13 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (24), ჯეიმისონი (12+7 მოხსნა).
ა: სმიტი (20+7 მოხსნა), კროუფორდი (17), ჰორფორდი (13+8 მოხსნა), ჯონსონი (13+5 პასი).

**დეტროიტი-ფინიქსი 94:109**

23:26, 27:30, 23:29, 21:24

დ: გორდონი (21), პრინსი (17), ძერებკო (14+10 მოხსნა), სტაკი (10+5 პასი).
ფ: სტაუდმაიერი (29), დადლი (20+5 პასი), ჰილი (17+8 მოხსნა+6 პასი), რიჩარდსონი (12).

**მემფისი-ნიუ ორლეანი 107:96**

25:20, 36:26, 25:25, 21:25

მ: მაიო (27), გეი (20+9 მოხსნა), იანგი (19+7 მოხსნა), კონლი (15).
ნ-ო: ტორნტონი (19), პოლი (16+8 პასი), კოლისონი (15), უესტი (13+9 მოხსნა).

**სან ანტონიო-ორლანდო 112:100**

29:27, 25:29, 33:22, 25:22

ს-ა: ჯონობილი (43+6 მოხსნა+5 პასი), დანკანი (23+8 მოხსნა), ბონერი (15), მაკდაესი (10+7 მოხსნა).
ო: პიეტრუსი (18), ლუისი (18), ნელსონი (15+6 პასი), რედიკი (15), კარტერი (12), ჰოვარდი (10).

**გ. სტეიტი-ნიუ იორკი 128:117**

34:32, 31:19, 32:38, 31:28

გ-ს: მოროუ (35), უილიამსი (23), მაგეტი (21), კარი (15+10 პასი), ტოლივერი (10+8 მოხსნა).
ნ-: ლი (37+20 მოხსნა+10 პასი), გალინარი (29+8 მოხსნა+8 პასი), უოლკერი (14), დუჰონი (14).

**ლეიკერსი-იუტა 106:92**

33:16, 21:29, 21:22, 31:25

ლ: ოდომი (26+10 მოხსნა), ბრაიანტი (25), გასოლი (14+16 მოხსნა+9 პასი), ფიშერი (14).
ი: ბუზერი (20+18 მოხსნა), უილიამსი (20+10 პასი), მეტოუზი (14), ოქური (11).

### 3 აპრილი

**ფილადელფ-ტორონტ 123:128 (ო)**

24:26, 36:37, 27:36, 27:15, 9:14

ფ: იგუოდალა (33+11 პასი+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჰოლიდეი (25+7 პასი), გრინი (13+5 პასი), უილიამსი (12+5 პასი), ბრენდი (12).
ტ: ბოში (28+12 მოხსნა+7 პასი), ბარნიანი (23), უიმსი (18), რაიტი (15), თურქოგლუ (11+5 პასი), ჯეკი (11+5 პასი).

**ლეიკერსი-სან ანტონიო 81:100**

24:22, 16:26, 19:19, 22:33

ლ: გასოლი (32+7 მოხსნა+6 პასი), ბრაიანტი (22+8 მოხსნა+6 პასი).
ს-ა: ჯინობილი (32+5 პასი), დანკანი (24+11 მოხსნა), ჯეფერსონი (14).

**ატლანტა-დეტროიტი 91:85**

23:21, 31:24, 20:29, 17:11

ა: კროუფორდი (29+6 პასი), ჰორფორდი (20+14 მოხსნა), სმიტი (13+14 მოხსნა), ევანსი (10).
დ: სტაკი (22), პრინსი (17+7 მოხსნა), ბინუმი (13), ძერებკო (11+9 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ნიუ ორლეანი 115:87**

30:24, 29:23, 25:24, 31:16

ნ-ჯ: დაგლა-რობერტსი (17), უილიამსი (14+14 მოხსნა), დულინგი (13), ბუნი (12+7 მოხსნა), ლოპესი (12), ჰემფრიზი (10+12 მოხსნა), იანლიანი (10), ჰეიესი (10).

ნ-ო: უესტი (25+7 მოხსნა+6 პასი), ტორნტონი (18+8 მოხსნა), სონგაილა (10).

**ჩიკაგო-შარლოტი 96:88**

29:24, 21:17, 20:22, 26:25

ჩ: როუზი (26+5 პასი), ჰაინრიხი (24), გიბსონი (14+15 მოხსნა), დენგი (12+7 მოხსნა), ნოა (11+16 მოხსნა).
შ: დიაო (18+7 მოხსნა+6 პასი), ჰიუზი (14), უოლასი (14), ფელტონი (10+5 პასი), ტომასი (10).

**მინესოტა-მაიამი 84:97**

27:25, 17:28, 14:20, 26:24

მინ: სეშენსი (12+5 პასი), ჯეფერსონი (12), ლავი (11+11 მოხსნა), მილიჩიჩი (10).
მაი: უეიდი (39+8 მოხსნა+6 პასი), რიჩარდსონი (14), ჰასლემი (13+17 მოხსნა), აროიო (12+9 პასი), ბიზლი (12).

**დალასი-ოკლაჰომა 116:121**

37:35, 22:32, 26:27, 31:27

დ: ნოვიცკი (30+13 მოხსნა), კიდი (24+6 პასი), ნახერა (11), ბარეა (10), ბატლერი (8+10 მოხსნა).
ო: დურანტი (23+5 პასი+5 ჩაჭრა), გრინი (22), უესტბრუკი (17+6 პასი), კოლისონი (17), მეინორი (14), ჰარდენი (11).

**მილუოკი-ფინიქსი 107:98**

22:18, 36:16, 23:28, 26:36

მ: ჯენინგსი (23), დელფინო (16+9 მოხსნა), სალმონსი (14), ილიასოვა (12+7 მოხსნა), ბოგუტი (12), ტომასი (10+7 მოხსნა), რიდნური (10+6 პასი).
ფ: სტაუდმაიერი (22+8 მოხსნა), ბარბოზა (21), დრაგიჩი (20+6 პასი), ნეში (10+5 პასი).

**დენვერი-კლიპერსი 98:90**

25:34, 22:21, 29:16, 22:19

დ: ენტონი (24+5 პასი), ნენე (18+7 მოხსნა), ბილაპსი (14+6 პასი), პეტრო (14).
კ: გორდონი (23), კამანი (14+11 მოხსნა), ბლეიკი (12+8 პასი), აუთლო (12).

**საკრამენტო-პორტლენდი 87:98**

25:32, 24:16, 20:24, 18:26

ს: უდრიხი (22+7 მოხსნა+6 პასი), ტომპსონი (18), ლენდრი (14+9 მოხსნა), კასპი (13), ნოჩიონი (12).
პ: როი (24+6 პასი), მილერი (23), ოლდრიჯი (21+9 მოხსნა), ბატუმი (21), კემბი (2+15 მოხსნა).

### 4 აპრილი

**ბოსტონი-კლივლენდი 117:113**

33:24, 31:25, 34:32, 19:32

ბ: ალენი (33), გარნეტი (19+8 მოხსნა), რონდო (16+14 პასი), პირსი (16+5 პასი), პერკინსი (10+10 მოხსნა).
კ: ჯეიმსი (42+9 პასი+7 მოხსნა), უილიამსი (17), ჯეიმისონი (16+10 მოხსნა), ჰიქსონი (14+11 მოხსნა), პარკერი (10), ილგაუსკასი (10).

**ინდიანა-ჰიუსტონი 133:102**

33:28, 39:28, 29:19, 32:27

ი: ჰიბერტი (20+11 მოხსნა+7 პასი), მაკრობერტსი (18+12 მოხსნა), გრეინჯერი (18), მერფი (17+12 მოხსნა), პრაისი (17), დანლივი (15), ჯონსი (11), უოტსონი (10+5 პასი).
ჰ: ბადინგერი (17), ლოური (16), სკოლა (15), ჰილი (15), ბრუქსი (11+5 პასი).

**ორლანდო-მემფისი 107:92**

32:24, 22:22, 21:23, 32:23

ო: კარტერი (27+7 მოხსნა+6 პასი), ნელსონი (18+5 პასი), ლუისი (18), რედიკი (15), ბასი (11), ჰოვარდი (8+11 მოხსნა+5 დაფარება).
მ: რენდოლფი (24+18 მოხსნა), გეი (18), მაიო (17), კონლი (14).

**ტორონტო-გ. სტეიტი 112:113**

24:37, 30:20, 25:31, 33:25

ტ: ბოში (42+12 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჯეკი (19), ბარნიანი (18+9 მოხსნა).
გ-ს: მაგეტი (31), კარი (29+12 პასი+8 მოხსნა), მოროუ (25+10 მოხსნა), ტოლივერი (12).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 109:99**

29:22, 26:26, 25:23, 29:28

ვ: ბლეტჩი (20+13 მოხსნა+9 პასი), მილერი (17+13 მოხსნა), ლივინგსტონი (16+8 პასი), იანგი (16), მარტინი (16), მაკგი (14).
ნ-ჯ: ლოპესი (22), ჰარისი (22), უილიამსი (15), დაგლას-რობერტსი (14).

**ოკლაჰომა-მინესოტა 116:108**

43:25, 29:25, 18:31, 26:27

ო: დურანტი (40+9 მოხსნა), გრინი (16+10 მოხსნა), იბაკა (14+9 მოხსნა), კრსტიჩი (14), უესტბრუკი (10).
მ: ფლინი (22+5 პასი), გომესი (22), ბრიუერი (18), ჯეფერსონი (16+7 მოხსნა), უილკინსი (12).

**კლიპერსი-ნიუ იორკი 107:113**

27:29, 28:30, 24:27, 28:27

კ: დეივისი (23+11 პასი+8 მოხსნა), კამანი (22+16 მოხსნა), გუდენი (17), გორდონი (17), ჯორდანი (10+10 მოხსნა).
ნ-ი: ლი (29+10 მოხსნა), ჰარინგტონი (26), უოლკერი (18), დაგლასი (13), ბარონი (10).

## ● ნიჩბოსნობა



# კემბრიჯის რევანში

ლონდონში მდინარე ტემზაზე ნიჩბოსანთა ტრადიციული რეგატა გაიმართა - ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სტუდენტები 156-ედ შეხვდნენ ერთმანეთს.

ეს რბოლა უკვე დიდი ხანია არა მარტო ბრიტანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს და არაერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ჩვეულებისამებრ, სტუდენტებს ტემზის დინების საწინააღმდეგოდ 6 კილომეტრისა და 800 მეტრის დაფარვა უწევთ.

წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის უპირატესობა შეიმჩნეოდა და ფინიშზეც პირველი ეს გუნდი მივიდა, რითაც რევანში აიღო წინა სამი წლის განმავლობაში განცდილი ზედიზედ სამი მარცხისთვის. თუმცა რბოლა მაინც დაძაბული გამოვიდა. კემბრიჯელები სტარტიდანვე დაშორდნენ მეტოქეს, მაგრამ ოქსფორდი ბოლო მოსახვევში დაეწია და კინაღამ გაასწრო კემბრიჯს, თუმცა შარშანდელ გამარჯვებულს თავისი საფირმო საფინიშო სპურტი არ გამოუვიდა და საბოლოოდ, ნახევარი კორპუსი წააგო.

აღსანიშნავია, რომ საერთო ანგარიშიც კემბრიჯს მიჰყავს - 80:75. ამ რბოლის ისტორიაში ერთადერთხელ ვერ გამოვლინდა გამარჯვებული - შორეულ 1877 წელს გუნდები ერთდროულად მივიდნენ ფინიშთან.

## ● ჩოგბურთი — ტურნირების მიმოხილვა

# მაიამი კიმის და ენდისია



ქალთა შორის მაიამის სუპერტურნირი **კიმ კლაისტერსის** დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ბელგიელმა ფინალში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო **ვენუს უილიამსს** და WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულში დაბრუნდა.

ფინალამდე ორივე ჩოგბურთელს თითო რთული მატჩის ჩატარება მოუხდა. კიმისთვის ნამდვილი გამოცდა გახდა ნახევარფინალში ბელგიური დერბი, სადაც მას **ჟუსტინ ანენთან** ორი ტაი-ბრეიკის ჩატარებამ მოუწია და მესამე სეტში მეოთხე მატჩ-ბოლიდან მოიგო მატჩი. კიმს მეოთხედფინალში **სამანტა სტოსურმაც** გაუმართა ბრძოლა, მაგრამ ავსტრალიელი თავისივე არასტაბილურობისა და შეცდომების მსხვერპლი გახდა. დანარჩენი მატჩები იოლი გამოდგა: პირველ ორ წრეში კლაისტერსმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო **კვიტოვასა და პეერს**, მეოთხეში კი მოულოდნელად გაანადგურა მოქმედი ჩემპიონი **ვიქტორია აზარენკა**.

ვენუსისთვის ყველაზე რთული იყო მეოთხე წრის მატჩი **დანიელა ჰანტუხოვას** წინააღმდეგ. არადა, ამ მატჩამდე ამერიკელმა ზედიზედ ცხრა შეხვედრა მოუგო სლოვაკს და ჯამში მხოლოდ ერთი სეტი დათმო. აქ კი უილიამსისთვის ყველაფერი ძალიან ცუდად დაიწყო - 1:6 პირველ სეტში, მაგრამ ამერიკელი დროულად მოეგო გონს და შეძლო თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა. მომდევნო ორმა მეტოქემ - **აგნიეშკა რადვანსკამ და ბარტოლიმ** ვენუსს პრობლემები ვერ შეუქმნეს.

უფროსი უილიამსი და კლაისტერსი მეთორმეტედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და მინიმალური უპირატესობა ამერიკელის მხარეს იყო - 6:5. თუმცა ბოლო სამი შეხვედრა ბელგიელმა მოიგო, მათ შორის ერთი დაბრუნების შემდეგ.

აღნიშნულმა ფინალმა არ გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი - მთელი შეხვედრა ერთი ჩოგბურთელის, კიმ კლაისტერსის კარნახით წარიმართა. ბელგიელი თავიდან ოდნავ ნერვიულობდა, რის გამოც საწყის გეიმში 30:0-დან ბრეიკის ალების შანსი გაუშვა ხელიდან, მაგრამ კიმი მალე დამშვიდდა და მეტოქის რბევა დაიწყო. თავის მხრივ, ვენუსს ტრავმა უშლიდა ხელს. თუ ბარტოლისთან ნახევარფინალში ამერიკელს მხოლოდ ბარძაყზე ჰქონდა დამაგრებული სახვევი, ფინალში მას მუხლიც შეხვეული ჰქონდა. როგორც ჩანს, ტრავმა სერიოზული იყო, რადგან ვენუსს თამაში საერთოდ არ მისდიოდა. მისი საყვარელი მოწოდებაც კი ვერ შველოდა. შედეგად, კლაისტერსმა პირველი სეტი 6:2 დაასრულა თავის სასარგებლოდ.

თამაშის ხასიათი არც მეორე სეტში შეცვლილა. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ უილიამსის თამაში კიდევ უფრო გაუარესდა. გახშირდა ორმაგი შეცდომა, საკუთარ მოწოდებაზე მესამე გეიმი კი ამერიკელმა "ნულზე" წააგო, რასაც ჩვეულებრივ სიტუაციაში ვენუსი არ დაუშვებდა. მეორე პარტიაში იყო ერთი მონაკვეთი, როცა კიმმა ზედიზედ 17 (!) ქულა აიღო. უილიამსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პატივი სცა მაყურებელს და ვადაზე ადრე არ შეწყვიტა მატჩი. უფრო მეტიც, სეტის ბოლოს პრესტიჟის ერთი გეიმიც კი აიღო. საბოლოოდ, კლაისტერსმა კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე იოლი ფინალი ითამაშა და დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ მესამე ტიტული (სულ - 37) მოიგო.

*"დღევანდელი გამარჯვება ვარჯიშებზე გაწეული უდიდესი შრომის შედეგია. სასიამოვნო გრძნობაა 2005 წლის შემდეგ აქ კიდევ ერთი ტრიუმფის მიღწევა"*, - განაცხადა ფინალის შემდეგ ბელგიელმა.

ამ ტიტულის წყალობით კიმი WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულში შევიდა - მან იქ სამანტა სტოსურის ადგილი დაიკავა. კლასიფიკაციაში კიდევ რამდენიმე ცვლილება მოხდა - ვენუს უილიამსმა **სვეტლანა კუზნეცოვას** გაასწრო და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა, ტიტული ვერ დაიცვა და მეცხრე საფეხურამდე ჩამოქვეითდა ვიქტორია აზარენკა, რომელსაც აგნიეშკა რადვანსკამ და **ელენა იანკოვიჩმა** გაუსწრეს. ჟუსტინ ანენმა ერთბაშად ცხრა ადგილი მოიგო და მსოფლიოს 23-ე ჩოგანი გახდა.

■ ■ ■

**ენდი როდიკი** ყველაზე დამაჯერებელი იყო ამერიკულ მასტერსებზე. ინდიან უელსსა და მაიამიში ამერიკელმა 12 შეხვედრა ჩაატარა და 11 მოიგო. ბოლოს როდიკი ზედიზედ ორჯერ მასტერსების ფინალში 2003 წელს გავიდა. მაშინ მან მონრეალსა და ცინცინატიში გამარჯვებას მიაღწია, რის შემდეგაც ამერიკის ღია ჩემპიონატშიც მოიპოვა პირველობა. როგორც ჩანს, ახლა ენდის მეორე სუნთქვა გაეხსნა.

როგორც გახსოვთ, ინდიან უელსში როდიკმა ფინალში ხორვატ **ივან ლუბიჩიჩთან** წააგო. ამ უკანასკნელის წარმატება სენსაციად მოინათლა, მაიამიში კი სიტუაციის ამრევი ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** გახდა, რომელიც კარიერაში მეორედ გავიდა მასტერსის ფინალში. 2005 წელს, პარიზში მან ხუთ სეტში დაამარცხა ლუბიჩიჩი. ბერდიხმა ჯერ კიდევ ინდიან უელსში აჩვენა ამერიკული ჰარდისთვის კარგი მომზადება, მაიამიში კი განამტკიცა წარმატება. ფლორიდაში ჩეხი ჩოგბურთელისთვის ყველაზე რთული მატჩი **როჯერ ფედერერთან** იყო, სადაც მან გამარჯვებას მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე მიაღწია და თან რამდენიმე მატჩ-ბოლი მოიგერია.

ამ სეზონში როდიკი და ბერდიხი მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. წინა ორ მატჩში წარმატებას ამერიკელმა მიაღწია და პირადი შეხვედრების ანგარიში 5:2-მდე აიყვანა.

შაბათს ბერდიხს დასვენების დღე ჰქონდა, როდიკმა კი საქველმოქმედო მატჩში მიიღო მონაწილეობა. მან **ჯიმი კურიესთან** ერთად **გუსტავო კუერტენისა და ფერნანდო გონსალესის** დუეტის წინააღმდეგ ითამაშა. ჩოგბურთელებმა პუბლიკა გაართეს და თან ფული შეაგროვეს ჩილეში მიწისძვრით დაზარალებულებისთვის. ამ მატჩს როდიკისთვის დიდი ენერგია არ წაურთმევია, პირიქით, ვეტერანებთან თამაშმა ამერიკელს ფინალის წინ დადებითი ემოციები შესძინა.

გადამწყვეტ მატჩს მოსაწყენი არ ეთქმოდა, მაგრამ ამავდროულად, მაყურებელმა ვერ იხილა ლამაზი ჩოგბურთი. გათამაშებების დიდი ნაწილი რამდენიმე დარტყმაში მთავრდებოდა ან სულაც ერთი მოწოდება იყო საკმარისი ქულის ასაღებად. თავიდან უფრო აქტიური ბერდიხი იყო. ენდი შეეცადა ბადესთან გასვლებით შეეცვალა სიტუაცია, მაგრამ ჩეხმა რამდენიმე შესანიშნავი შემოვლითი დარტყმა შეასრულა. ამგვარი დაუფიქრებელი თამაშის გამო, როდიკს მეტად უსიამოვნო მომენტი ჰქონდა, მაგრამ მას თავად მეტოქე დაეხმარა, რადგან ერთი პირობა ბერდიხი ამერიკელის მეორე მოწოდებასაც ვერ პასუხობდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ტაი-ბრეიკი, მით უფრო ნერვიულობდა ბერდიხი. მნიშვნელოვან მომენტში მან ორმაგი შეცდომა დაუშვა, შემდეგ კიდევ ერთი ბურთი ააცილა და როდიკს ბრეიკი აჩუქა. ამერიკელმაც კარგად შეირგო საჩუქარი და სეტზე დამაჯერებლად ჩააწოდა - 7:5. პირველ პარტიაში ჩეხმა ორჯერ მეტი შეცდომა დაუშვა და ეს აღმოჩნდა მისი მარცხის მთავარი მიზეზი.

ენდიმ მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალა და მეორე პარტიის პირველივე გეიმში მეორე ბრეიკი მიითვალა. თუმცა აქ მას კვლავ მართებდა მეტოქისთვის მადლობის თქმა, რადგან ჩეხი საერთოდ ველარ არტყამდა ბურთს მიზანში. ამის შემდეგ ამერიკელის ამოცანა მარტივი გახდა - მას უნდა შეენარჩუნებინა საკუთარი მოწოდება და ტიტული გარანტირებული ექნებოდა. ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ენდი იმ დღეს კარგად აწვდიდა - ჩეხს არათუ მეორე სეტში, მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. პარტიის ბოლოს როდიკს კიდევ ერთი ბრეიკის შესრულება შეეძლო, მაგრამ ტომაში ბოლომდე იბრძოდა. საკუთარ მოწოდებაზე მან ორი მატჩ-ბოლი გადაარჩინა, მაგრამ მიღებაზე შეცდა - 4:6.

ამერიკელისთვის ეს 29-ე ტიტული იყო კარიერაში და მეორე - მაიამიში. პირველად მან აქ ექვსი წლის წინ იმარჯვა.

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 645 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ენდი როდიკი (აშშ, 6)-რაფაელ ნადალი (ესპ, 4) 4:6, 6:3, 6:3; ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 16)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) 6:2, 6:2.

**ფინალი**

ენდი როდიკი (აშშ, 6)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 16) 7:5, 6:4.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**ფინალი**

კიმ კლაისტერსი (ბელ, 14)-ვენუს უილიამსი (აშშ, 3) 6:2, 6:1.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1 — მალაიზიის გრან-პრი

# რედ ბულმა ნავსი გატეხა



„რედ ბულის“ პილოტებმა - **სებასტიან ფეტელმა** და **მარკ უებერმა** მესამე ცდიდან შეძლეს ჩემპიონატის უსწრაფესი ბოლიდისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება და მალაიზიაში დუბლი გაიფორმეს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ კვირის რბოლამ ნაწილობრივ გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. ჯერ ერთი, არ გამართლდა სინოპტიკოსთა მოლოდინი, რომლებიც ეტაპის მსვლელობისას წვიმას ვარაუდობდნენ - მთელი რბოლა მშრალ ასფალტზე წარიმართა. გარდა ამისა, „მაკლარენისა“ და „ფერარის“ პილოტებმა, რომლებმაც ჩააგდეს შაბათის კვალიფიკაცია, საკმაოდ იოლად, მაგრამ ნაკლებად ეფექტურად შეაღწიეს საუკეთესო ათეულში - მათი გარღვევა არა გასწრებებით, არამედ კარგად ორგანიზებული ტაქტიკით იყო განპირობებული. და მესამე მიზეზი: გამარჯვებისთვის ბრძოლა პრაქტიკულად პირველ მოსახვევში დასრულდა, როცა სებასტიან ფეტელმა ერთი შეტევით ჩამოიცილა უკან მარკ უებერი და **ნიკო როსბერგი** („მერსედესი“).

მთელი 56 წრის განმავლობაში ფეტელისა და უებერის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. „რედ ბულისთვის“ ერთადერთი პრობლემა იყო ბოქსებში ავსტრალიის შეყოვნება, რის გამოც უებერმა რამდენიმე წამი დაკარგა, მაგრამ ამას ბრძოლის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია. RB6-ის ბოლიდმა, როგორც იქნა, პირველი გამარჯვება მოიპოვა და რაც მთავარია, საიმედოობის მხრივ პრობლემა არ წარმოქმნილა. მოკლედ, „წითელმა ხარებმა“ მკაფიო სიგნალი მისცეს კონკურენტებს: „რედ ბულმა“, როგორც იქნა, დაიწყო დაპირებული შეტევა.

ნიკო როსბერგმა, რომელმაც „რედ ბულთან“ სტარტი წააგო, შემდეგ მაქსიმუმი მიიღო თავისი „მერსედესისგან“ და ფინიშამდე შეინარჩუნა მესამე ადგილი. არანაკლებ დამაჯერებელი იყო **რობერტ კუბიცა** („რენო“), რომელსაც ფეტელის მსგავსად შეიძლება სტარტის გმირი ვუწოდოთ. მოულოდნელად მშვიდი და გონიერი რბოლა წარმართა **ადრიან სუტილმა** („ფორს ინდია“) - გერმანელი მეხუთე მივიდა ფინიშთან.

„მაკლარენისა“ და „ფერარის“ ბრძოლაში გამარჯვებული **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი“) გამოვიდა. ბრიტანელი ამ ვარსკვლავურ ჯგუფში თავიდანვე დაწინაურდა, შემდეგ კი ჩამორჩენილ ფავორიტთაგან ერთადერთი გახდა, ვინც სწრაფად ჩამოიტოვა უკან **სებასტიან ბუემი** („ტორო როსო“), რომელმაც სხვები გვარიანად შეაფერხა.

საბოლოოდ ამ გაქცევით ჰემილტონმა მეექვსე ადგილი გაინაღდა, მეშვიდე იყო **ფელიპე მასა** („ფერარი“), ვინც ზედ ფინიშთან გაასწრო **ჯენსონ ბატონს** („მაკლარენი“). იღბალმა ზურგი აქცია **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი“): ესპანელი დიდხანს არ შედიოდა ერთადერთ დაგეგმილ პიტ-სტოპზე, რადგან წვიმის იმედი ჰქონდა, შემდეგ იძულებული გახდა ისევ გამოსდევნებოდა ბატონი-მასას წყვილს. დაეწია და ბოლოსწინა წრეზე გაუსწრო კიდეც მოქმედ ჩემპიონს, მაგრამ იქვე იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა - ძრავამ უღალატა.

შესაძლოა, ეს ტექნიკური წუნი გადაცემათა კოლოფის დაზიანების ბრალი იყო, რასაც ჯერ კიდევ გასახურებელ წრეზე ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ, ალონსომ მთელი რბოლის განმავლობაში უარი თქვა დამუხრუჭების სტანდარტულ ტექნიკაზე და უნებურად, დატვირთვა გაზარდა მანქანის კვანძებზე. შესაძლოა, სწორედ ამან გამოიწვია რბოლიდან გამოთიშვა. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილ პირობებში ფერნანდომ ბრწყინვალედ წარმართა ბრძოლა.

მისთვის საპატიო მეცხრე ადგილი დაიკავა **მიხაელ შუმახერის** („მერსედესი“) ავსტრალიელმა მოსწავლე **ხაიმე ალგერსუარიმ** („ტორო როსო“) - ესპანელი მთელი რბოლა პარტნიორზე წინ იყო და საბოლოოდ, ბუემისგან განსხვავებით ქულათა ზონაში შევიდა. სად იყო ამ დროს შუმახერი? მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა საკმაოდ კარგი სტარტი აიღო, მაგრამ იძულებული გახდა პირველ წრეებიდან ჩამოშორებოდა რბოლას - საბურავს ჭანჭიკი ასძვრა და „მერსედესის“ პილოტმა ბოქსებამდე ვერ მიაღწია. შუმი ზედიზედ მესამე რბოლაში ჩამორჩა ახალგაზრდა პარტნიორს...

ალონსოს წარუმატებლობამ საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი გაუნაღდა მასას, მაგრამ ფერნანდო და ფეტელი მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან ბრაზილიელს. ოთხი ქულით ნაკლები აქვთ როსბერგსა და ბატონს, ჰემილტონიც და კუბიცაც ახლოს არიან...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**მალაიზიის გრან-პრი (სეპანგი)**
**56 წრე, 310.408 კმ**

| | |
|---|---|
| 1(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:33.48,412 |
| 2(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +4,849 |
| 3(2). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +13,504 |
| 4(6). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +18,589 |
| 5(4). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +21,059 |
| 6(20). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +23,471 |
| 7(21). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +27,068 |
| 8(17). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +37,918 |
| 9(14). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +1.10,602 |
| 10(5). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | +1.13,399 |
| 11(13). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +1.18,938 |
| 12(7). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 13(19). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 2 წრე |
| 14(24). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 3 წრე |
| 15(22). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 3 წრე |
| 16(23). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 4 წრე |
| 17(18). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 5 წრე |
| 18(15). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 14 წრე |
| 19(11). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 22 წრე |
| 20(10). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 43 წრე |
| 21(8). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 46 წრე |
| 22(9). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 45 წრე |
| 23(16). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 52 წრე |
| 24(12). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | 56 წრე |

*უსწრაფესი წრე: მარკ უებერი (რედ ბული) - 1.37,054 (53)*

**პირადი ჩათვლა**

1. ფელიპე მასა - 39; 2. ფერნანდო ალონსო - 37; 2. სებასტიან ფეტელი - 37; 4.ჯენსონ ბატონი - 35; 4. ნიკო როსბერგი - 35; 6. ლუის ჰემილტონი - 31; 7. რობერტ კუბიცა - 30; 8. მარკ უებერი - 24; 9. ადრიან სუტილი - 10; 10. მიხაელ შუმახერი - 9; 11. ვიტანტონიო ლიუცი - 8; 12. რუბენს ბარიკელო - 5; 13. ხაიმე ალგერსუარი - 2; 14. ნიკო ჰიულკენბერგი - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ფერარი - 76; 2. მაკლარენი - 66; 3. რედ ბული - 61; 4. მერსედესი - 44; 5. რენო - 30; 6. ფორს ინდია - 18; 7. უილიამსი - 6; 8. ტორო როსო - 2.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-პიტერბრო | 2:2 |
| ბლეკპული-დონკასტერი | 2:0 |
| კრ. პალასი-პრესტონი | 3:1 |
| დერბი-იფსვიჩი | 1:3 |
| ლესტერი-ქუინზ პარკი | 4:0 |
| პლიმუტი-მიდლსბრო | 0:2 |
| რიდინგი-ქოვენთრი | 3:0 |
| უენსდი-ბრისტოლი | 0:1 |
| სუონსი-სკანთორფი | 3:0 |
| უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| ნოტინგემი-კარდიფი | 0:0 |
| ნიუკასლი-შეფილდი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| იეოვილი-ლიდსი | 1:2 |
| კოლჩესტერი-მილუოლი | 1:2 |
| ბრენტფორდი-ექსეტერი | 0:0 |
| როვერსი-მილტონი | 1:0 |
| ჩარლტონი-კარლაილი | 1:0 |
| ჯილინგემი-საუთენდი | 3:0 |
| ჰარტლპული-ბრაიტონი | 2:0 |
| ნორვიჩი-სტოკპორტი | 2:1 |
| საუთჰემპტონი-ლეიტონი | 2:1 |
| სუინდონი-ტრანმერი | 3:0 |
| უოლსოლი-უიკომბი | 2:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-გრიმსბი | 2:3 |
| ალდერშოტი-როტერჰემი | 3:0 |
| ბარნეტი-ჩესტერფილდი | 3:1 |
| ბრედფორდი-მაკლსფილდი | 1:2 |
| ბერი-ბარტონი | 3:0 |
| ქრიუ-ჩელტენემი | 1:2 |
| დარლინგტონი-ჰერეფორდი | 0:1 |
| ლინკოლნი-მორეკამბი | 1:3 |
| ნორთჰემპტონი-ტორკი | 0:0 |
| პორტ ვეილი-დაგენჰემი | 3:1 |
| როჩდეილი-ბორნმუთი | 0:0 |
| შრიუსბერი-ნოტსი | 0:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-სტივენეიჯი | 0:3 |
| კემბრიჯი-მენსფილდი | 3:2 |
| ქროული-ჰეიესი | 1:0 |
| ებსფლიტი-ისტბურნი | 3:2 |
| ფორესტ გრინი-ტამუორტი | 3:4 |
| კეტერინგი-ჰისტონი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-რაშდენი | 1:1 |
| ლუტონი-გრეისი | 6:0 |
| ოქსფორდი-სალისბერი | 1:0 |
| რექსჰემი-გეიტშიდი | 0:0 |
| იორკი-ალტრინჩემი | 2:1 |

### კალათბურთი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-მიტლდოიჩე | 74:66 |
| ტრირი-ულმი | 89:74 |
| ფინიქსი-ოლდენბურგი | 64:73 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ობრადოირო | 98:58 |
| ფუენლაბრადა-ვალიადოლ. | 78:70 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-მვდ | 6:1 |
| აკ ბარსი-ს. იულიაევი | 2:2 დ.დ. 1:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-აისბარენი | 3:5 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 4:1 |
| ინგოლშტად.-ფრანქფურ. | 2:2 დ.დ. 1:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-კოშიცე | 2:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-ჰპკ | 2:3 |
| კალპა-ტაპარა | 3:3 დ.დ. 1:0 |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 3:3 დ.დ. 0:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ვიტკოვიცე | 5:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ცუგი-სერვეტი | 2:7 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 2:0 |
| აიკ-ჰვ71 | 2:2 დ.დ. 0:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. კასაბლანკა**

| | |
|---|---|
| სტარაჩე-ლუჩაკი | 6:3, 7:5 |
| მატიო-ერნანდესი | 6:7, 3:6 |
| გრანოლერსი-ჰაასე | 7:6, 7:6 |

**WTA. მარბელია**

| | |
|---|---|
| ცერპოგი-ოლარუ | 6:3, 6:4 |
| ზახვალოვა-მალეკი | 4:6, 0:6 |
| მარტიჩი-კაბესა | 6:1, 6:7, 2:6 |
| რეზაი-რუანო პასკუალი | 6:1, 6:1 |

**WTA. პონტე ვედრა**

| | |
|---|---|
| კუდრიავცევა-კრეიბასი | 6:1, 6:4 |
| პავლიუჩენკოვა-მაკაროვა | 7:5, 5:7, 6:4 |
| ციბულკოვა-ჩინკი | 6:1, 6:4 |
| არვიდსონი-გალიქსონი | 6:0, 6:2 |

## TV პროგრამა

**6 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ცსკა-ინტერი (LIVE).

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-არსენალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ბოლონია.
08:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
10:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
12:20 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პროკომი-ოლიმპიაკოსი.
14:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
16:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ცსკა-ინტერი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-არსენალი (LIVE).
00:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო.
02:25 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პროკომი-ოლიმპიაკოსი.
04:10 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
06:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ლოს ანჯელესი.
09:15 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალი-ბარსელონა.
10:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო.
12:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. არსენალი-ბარსელონა.
14:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პროკომი-ოლიმპიაკოსი.
16:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ცსკა.
17:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-ატლეტიკო.
19:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი
22:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:30 100% დინამო.
00:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ცსკა-ინტერი.
02:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-არსენალი.
04:45 პოკერი.
05:35 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პროკომი-ოლიმპიაკოსი.

## ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

**2 აპრილი**

**ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კოვალჩუკი-40 (ელიაში-28, ტარკოვი-10), 1:1 ვერსტივი-18 (ბიფულინი-14, მარიან ჰოსა-24).
ბულიტები გაიტანეს: ტევზი (ჩიკაგო).

**ფილადელფია-მონრეალი 0:1**

0:1, 0:0, 0:0

გოლი: 0:1 პლეკანეცი-24 (ა. კოსტიცინი-17, მ-ა. ბერჟერონი-20).

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 0:5**

0:4, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 პრუსტი-3 (ანისიმოვი-12), 0:2 მ. სტაალი-7 (გაბორიკი-41), 0:3 პროსპალი-1, 0:4 დუბინსკი-19 (ტირარდი-16, ა. ერიქსონი-4), 0:5 ვოროსი-2 (დელ ზოტო-27).

**მინესოტა-სან ხოსე 2:3**

0:2, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 მალორტა-13 (რ. ბლეიკი-22, მაკგინი-3), 0:2 ნიკოლი-4 (ი. მიტჩელი-6, რ. ბლეიკი-23), 1:2 კლატრბუკი-13 (ლატენდრესი-13, ზენონი-12), 2:2 მიეტინენი-19 (ბრუნეტი-34, ტოდლიცკი-37), 2:3 კუტური-4 (ბოილი-42, ქლოუ-35).

**დალასი-ედმონტონი 6:3**

3:0, 0:3, 3:0

გოლები: 1:0 ჯ. ნილი-26 (ბ. რიჩარდსი-65, ლ. ერიქსონი-40), 2:0 ბ. რიჩარდსი-24 (რიბეირო-33, მოროუ-26), 3:0 ლეჰტინენი-4 (სატერბი-4, ბენი-18), 3:1 პენერი-28 (პოტულნი-14), 3:2 მ. პუო-7 (პენერი-29), 3:3 მორო-7 (რაიან უიტნი-29, პორკოფი-21), 4:3 ბენი-20 (მოდანო-14, ლეჰტინენი-11), 5:3 რიბეირო-19 (დელი-14, ლეჰტონენი-1), 6:3 ბენი-21 (მოდანო-15, ლეჰტინენი-12).

**კოლორადო-კალგარი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 დეივსი-14 (მოსი-8, კონროი-12), 0:2 რენე ბურკი-26 (სერიჩი-6, ბეკლუნდი-8), 1:2 გალიარდი-14 (კ. სტიუარტი-34, პ. მიასტენი-57).

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 4:5 (ბ)**

0:0, 2:1, 2:3, 0:1

გოლები: 1:0 ს. კოიუ-17 (ჯ. ბლეიკი-24), 1:1 გრაბნერი-3 (კესლერი-48), 2:1 სელანე-23 (ვიშნოვსკი-27, ს. ნიდერმაიერი-37), 2:2 გრაბნერი-4 (კესლერი-49, დემიტრა-12), 2:3 გრაბნერი-5 (ერჰოფი-28, კესლერი-50), 3:3 სელანე-24 (ს. კოიუ-30, ვიშნოვსკი-28), 3:4 ჰანსენი-9 (ერჰოფი-29, დ. სედინი-53), 4:4 ს. კოიუ-18 (სელანე-21, რაიანი-26).
ბულიტები გაიტანეს: დემიტრა (ვანკუვერი).

**3 აპრილი**

**მონრეალი-ბაფალო 3:0**

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ო'ბირნი1 (მური-16, ა. კოსტიცინი-11), 2:0 პიატი-2 (ლაპიერი-7, გილი-9), 3:0 ა. კოსტიცინი-7 (მოენი-11, მური-17).

**პიტსბურგი-ატლანტა 4:3 (ო)**

0:1, 1:1, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 აფინოგენოვი-24 (ბერგფორსი-23, ანტროპოვი-43), 1:1 მალკინი-25 (გონჩარი-25, კროსბი-48), 1:2 სტეპლტონი-2 (ოდუია-10, ენსტრომი-44), 2:2 ტაილერ კენედი-12 (გონჩარი-35, კროსბი-49), 2:3 პევერლი-22 (მაკარტური-18, ე. კეინი-12), 3:3 გონჩარი-11 (მალკინი-47, გოლიგოსკი-26), 4:3 ლეოპოლდი-8 (კროსბი-50).

**კოლამბუსი-ვაშინგტონი 2:3**

1:3, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 სიომინი-38 (ლეიჩი-33, სლოუნი-4), 0:2 ფლიშმანი-22 (ნუბლი-23, ფერი-18), 0:3 მაიკ გრინი-19, 1:3 ვერმეტი-26 (ნეში-33), 2:3 ვერმეტი-27 (ნეში-34, მეტოტი-6).

**სტ. ლუისი-დალასი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ოში-17 (პოლაკი-17, ენდი მაკდონალდი-28), 1:1 მოროუ-19 (ბ. რიჩარდსი-65), 2:1 კოლაიაკოვო-6 (პერონი-22, ბეკსი-29).

**აილენდერსი-ოტავა 4:1**

0:0, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 ტავარესი-22 (კომო-17, ოკპოსო-30), 2:0 როსი-2 (პარკი-20, ფ. მეიერი-9), 3:0 პილენი-3 (ჯეკმენი-5, პარკი-21), 4:0 ბერგენჰაიმი-9 (ტავარესი-27, კომო-18), 4:1 კულენი-16 (ფილიპსი-14, ელიოტი-1).

**დეტროიტი-ნეშვილი 3:4 (ო)**

1:0, 1:3, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 რაფალსკი-8 (ფრანცენი-9, ჰოლმსტრომი-18), 1:1 შ. უებერი-15 (რ. სუტერი-32), 1:2 ერატი-21 (ლეგუანდი-27), 2:2 ლიდსტრომი-9 (ჰოლმსტრომი-19, დაციუკი-42), 2:3 დუმონი-17 (ბოიდი-13, ჯ. უორდი-20), 3:3 დაციუკი-26 (ჰოლმსტრომი-20, ფრანცენი-10), 3:4 რ. სუტერი-4 (ჯ. უორდი-21).

**ტორონტო-ბოსტონი 1:2 (ო)**

1:0, 0:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ორი-4 (ფანოფი-20, ჯ. მიტჩელი-14), 1:1 შატანი-7 (კრეისი-31, ვიდემანი-22), 1:2 შატანი-8 (ხარა-34, კრეისი-32).

**კაროლინა-ნიუ ჯერსი 0:4**

0:2, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ზუბრუსი-9 (პარიზე-40, ე. გრინი-29), 0:2 ელიაში-16 (კოვალჩუკი-40, კლარკსონი-13), 0:3 პარიზე-36 (ზუბრუსი-14), 0:4 კლარკსონი-10 (ელიაში-28, კოვალჩუკი-41).

**ფლორიდა-რეინჯერსი 1:4**

0:0, 1:0, 0:4

გოლები: 1:0 ბალარდი-8 (მატიასი-7, დვორაკი-17), 1:1 მ. სტაალი-8 (ლუნდკვისტი-1), 1:2 პრუსტი-3 (შელი-7, დელ ზოტო-27), 1:3 დრური-13 (ვოროსი-4, გაბორიკი-41), 1:4 გაბორიკი-41.

**ფინიქსი-ედმონტონი 3:2 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ლომბარდი-17 (ვოლსკი-39, იენდლი-26), 1:1 რ. ჯონსი-8 (გილბერტი-18, სტორტინი-9), 2:1 ვინიკი-4 (კორაბიკოვსკი-5, იენდლი-27), 2:2 პენერი-29 (გილბერტი-19, კოლიანო-16).
ბულიტები გაიტანეს: ლომბარდი (ფინიქსი).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ჯ. ჯონსონი-7 (რ. სმიტი-28, რ. ჯონსი-15), 1:1 ს. კოიუ-19 (რაიანი-26, პერი-46).
ბულიტები გაიტანეს: ს. კოიუ (ანაჰაიმი).

**4 აპრილი**

**ფილადელფია-დეტროიტი 4:3**

2:2, 2:0,0:1

გოლები: 1:0 კარჩილო-12 (ლაპერიერი-16), 2:0 ტიმონენი-6 (ლაპერიერი-17, ბუშე-1), 2:1 კლირი-14 (კრონვალი-14, იესი-10), 2:2 ჰელმი-11 (რაფალსკი-33, კლირი-17), 3:2 ტირუ-15, 4:2 ემემი-10 (ტიმონენი-32, ლეინო-5), 4:3 დაციუკი-27 (ჯეისონ უილიამსი-9, ზეტერბერგი-45).

**ჩიკაგო-კალგარი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კოპეცკი-10 (ჰიალმარსონი-15, იგერი-8), 2:0 ბროუერი-22 (სიბრუკი-23, პ. კეინი-55), 3:0 პ. კეინი-29 (სიბრუკი-24, ნიემი-1), 3:1 ი. უაიტი-12 (ბეკლუნდი-9), 4:1 ბიფულინი-17 (მარიან ჰოსა-25, ტევზი-40).

**კოლორადო-სან ხოსე 5:4 (ო)**

1:2, 2:0, 1:2, 1:0

გოლები: 0:1 დ. მიურეი-4 (ბოილი-43, ჯ. ტორნტონი-67), 0:2 მაკგინი-9 (ორტმაიერი-11, ტ. მიტჩელი-7), 1:2 ჭუნსი-6 (რ. ო'რაილი-18), 2:2 პ. მიულერი-12 (ფუტი-9, კამისკი-13), 3:2 პ. მიულერი-13 (დუშენი-31, ჰენანი-14), 4:2 პ. მიასტენი-19 (შეიდუკი-19, პ. მიულერი-24), 4:3 მარლო-43 (ჰიტლი-40, ჯ. ტორნტონი-68), 4:4 პაველსკი-24 (ჰიტლი-41, ქლოუ-36), 5:4 ლაილსი-6 (ულსონი-15, შეიდუკი-20).

**ვანკუვერი-მინესოტა 4:3 (ო)**

1:0, 1:0, 1:3, 1:0

გოლები: 1:0 კესლერი-24 (ბაროუზი-30, სალო-17), 2:0 უელვუდი-14 (ბიექსა-18, დემიტრა-13), 2:1 ბრუნეტი-24 (მიეტინენი-22, შულტცი-18), 3:1 ედლერი-5, 3:2 ელმონდი-1 (ველმანი-2, შულტცი-19), 3:3 მიეტინენი-20 (ბრუნეტი-35, ჰაველატი-36), 4:3 სალო-9 (ჰ. სედინი-77, დ. სედინი-54).

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ჰეის ნოკაუტი და ჯალათის რევანში

**გასული უქმეები კრივის მოყვარულთათვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. გაიმართა სუპერმძიმე წონაში სატიტულო ბრძოლა, გარდა ამისა, ვეტერანმა ამერიკელებმა 17 წლის წინ დაწყებული დავის გარკვევა შაბათს დაასრულეს.**

მძიმეწონოსნების - ბრიტანელი **დევიდ ჰეისა** და ამერიკელი **ჯონ რუისის** საჩემპიონო ბრძოლა (WBA-ის ვერსიით) მანჩესტერის MEN Arena-ზე გაიმართა. ბრძოლის ადგილი სწორად იქნა შერჩეული - მსოფლიოს ჩემპიონი ჰეი მშობლიურ ქალაქში გადაჭედილი ტრიბუნების ქვეშ ამერიკელ პრეტენდენტს ხვდებოდა. ამ ბრძოლას ამერიკაში დიდი რეიტინგი არ ექნებოდა, რადგან იქ რუისის შესაძლებლობების თითქმის არავის სჯეროდა.

გონგისთანავე მეტოქეები შეტევაზე გადავიდნენ. პირველმა მოწინააღმდეგის რეაქცია რუისმა შეამოწმა, თუმცა ჰეი მის დარტყმებს იოლად გაექცა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ამერიკელი უკვე ნოკდაუნში იყო. ასეთ დასაწყისს ცოტა ვინმე თუ იწინასწარმეტყველებდა. რუისმა მერვე თვლაზე წამოდგომა მოახერხა, მაგრამ მშველელ კლინჩში შესვლა ვერ მოასწრო და ჰეისგან კიდევ რამდენიმე დარტყმა მიიღო. შედეგად, რაუნდის ბოლოს რუისი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა იატაკზე. ოღონდ ამჯერად, პანამელ არბიტრს მსოფლიოს ჩემპიონისთვის გაფრთხილების მიცემამ მოუწია, რადგან ბაგირებზე გადაყუდებულ ამერიკელს დევიდმა კეფაში დარტყმა მიაყოლა, რაც წესებით აკრძალულია. ასეა თუ ისე, რუისმა გონგამდე მიაღწია. პირველი რაუნდი უკან დარჩა, მაყურებელი კი მოუთმენლად ელოდა მეორე სამწუთეულს და სწრაფ ნოკაუტს.

მაგრამ მეორე რაუნდში კრივი საერთოდ არ ყოფილა. ჰეი წინ არ მიდიოდა, რადგან გრძნობდა, რომ უპირატესობა უკვე მის მხარეზე იყო, რუისს კი ორი ნოკდაუნის შემდეგ უბრალოდ ეშინოდა შეტევა. მესამე რაუნდი უფრო საინტერესო გამოვიდა: მეტოქეებმა რამდენიმე კარგი შეტევა განახორციელეს, მაგრამ ამას მეოთხე რაუნდში გაგრძელება არ მოჰყოლია.

მეხუთე რაუნდში ჰეი ისევ გააქტიურდა და რუისს დაცვაში გადასვლა აიძულა. ერთ-ორ გაშვებულ დარტყმას თუ არ ჩავთვლით, ამერიკელი მედგრად იდგა. მაგრამ გონგამდე რამდენიმე წამით ადრე ჯონი ისევ ნოკდაუნში აღმოჩნდა, თუმცა ჰეიმ აქაც არ გაუშვა შანსი ხელიდან და კეფაში კიდევ ერთხელ მოსცხო მეტოქეს.

ჰეი მთელი ექვსი რაუნდი ცდილობდა ნოკაუტის მიღწევას, მაგრამ რუისი წაქცევას არ აპირებდა. ის შვიდი-რვა წამი წამოჯდებოდა რინგზე და ისევ აგრძელებდა ბრძოლას. ჰეიმაც დასვენება გადაწყვიტა და მეშვიდე და მერვე რაუნდი მეტოქეებმა უაზრო ხტუნვაში გაატარეს. დასამახსოვრებელი იყო მხოლოდ მასპინძელი მოკრივის აპერკოტი, რომელმაც მიზანს მიაღწია.

მეცხრე რაუნდში კი ბრძოლა დასრულდა, თუმცა ეს საკმაოდ მოულოდნელად მოხდა. მეტოქეები, ჩვეულებისამებრ პასიურობდნენ: რუისს ისე ეჭირა თავი, თითქოს შეტევას ცდილობდა, ჰეი კი თავს იცავდა, არადა, პრაქტიკულად, მთელი ბრძოლა დაშვებული ხელებით გაატარა. მაგრამ ბრიტანელი უცებ „აფეთქდა“ და მეტოქეს თავში ზედიზედ ოთხჯერ მოარტყა. რუისს ცხვირიდან სისხლი წასკდა და მისმა სეკუნდანტმა რინგზე თეთრი პირსახოცი ისროლა.

■ ■ ■

პარალელურად, ამერიკის ქალაქ ლას ვეგასში ნანატრი მატჩრევანში გაიმართა 45 წლის **ბერნარდ ჰოპკინსსა** და 41 წლის **როი ჯონს-უმცროსს** შორის. 1993 წელს, ახალგაზრდა ჯონსმა ქულებით დაამარცხა ჰოპკინსი და საშუალო წონაში IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ არ წყდებოდა ლაპარაკი რევანშის შესახებ და კრივის მოყვარულებს 17 წელი მოუწიათ ამ მოვლენის ლოდინმა.

ჰოპკინსის სერიოზული განწყობა ბრძოლის წინ გამოჩნდა, როცა ის რინგზე ჯალათის ნიღბით ავიდა, თუმცა ჯონსი მეტოქის ამ ტრიუკს არ შეუშინებია. ასაკის მიუხედავად, მეტოქეებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს ბრძოლა და დარტყმების სერიები გაცვალეს.

შეხვედრა მეტად პრინციპული გამოდგა. მეექვსე რაუნდში ჯონსმა კეფაში ჩაარტყა ჰოპკინსს, რის გამოც მსაჯებმა მას ქულა ჩამოართვეს. თავის მხრივ, „ჯალათი“ ყოველ რაუნდში ზრიდა თავის უპირატესობას - მისი დარტყმები უფრო ხშირად ხვდებოდა მიზანში. ჯონსს კი წაგება ძალიან არ უნდოდა და მერვე რაუნდში ისევ დაარტყმა მეტოქეს კეფაში.

ამ დარტყმისგან ჰოპკინსი კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. ორი წუთი მუხლებზე იდგა და წამოდგომას ვერ ახერხებდა, მაგრამ ექიმმა ბერნარდს ბრძოლის გაგრძელების უფლება მისცა.

მოწინააღმდეგის არასპორტულმა საქციელმა ჰოპკინსი ძალიან გააბრაზა და ჯონსი მხოლოდ გონგმა იხსნა მერვე რაუნდში გარდაუვალი ნოკდაუნისგან. მეცხრე რაუნდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მეათეს დასაწყისში კი ჯონსმა ყბასა და ფილტვში მოარტყა ჰოპკინსს და ექიმმა ისევ შეამოწმა „ჯალათის“ ჯანმრთელობა. ბერნარდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალეს და ბრძოლა გაგრძელდა. თუმცა აშკარად ჩანდა, რომ ჰოპკინსი ძალიან დაღლილი იყო.

მე-11 რაუნდში „ჯალათმა“ როის ყველანაირი წყენისთვის სამაგიერო გადაუხადა. ერთ-ერთი შეტევისას მან თავი ჩაარტყა მეტოქეს და წარბი გაუხეთქა.

ექიმი ახლა უკვე ჯონსს ამოწმებდა. ჭრილობა მობანეს და მოკრივეებს კვლავ რინგზე უხმეს. ჰოპკინსი პირდაპირ გახეთქილ წარბს უმიზნებდა და ბრძოლის ნაადრევად დასრულებას ლამობდა. მაგრამ როიმ გაუძლო. საქმე მე-12 რაუნდამდე მივიდა, სადაც ორივე მოკრივე ბოლომდე შეტევაზე ფიქრობდა და ბრძოლას არ გაურბოდა.

საბოლოოდ, მსაჯების გადაწყვეტილებით ჰოპკინსმა გაიმარჯვა (117:110, 117:110 და 118:109), რომელმაც 17 წლის წინანდელი მარცხისთვის დაგვიანებული რევანში აუღო ჯონსს.

**გია თვალაბეიშვილი**




